პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№225 (12 295)

24 სექტემბერი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი




# რასიზმი თუ პროვოკაცია?

## მტყუან-მართალი მალე გაირკვევა

"მგლები"-"დინამოს" მატჩს ექსცესების გარეშე არ ჩაუვლია. იყო მცირე შეხლა-შემოხლა გულშემატკივრებს შორის, მთავარი მოვლენები კი უშუალოდ მოედანზე განვითარდა. ფეხბურთელები ხშირად კინკლაობდნენ, რასაც საბოლოოდ ხელჩართული ჩხუბი და ზუგდიდელი **ჯოჯუასა** და დინამოელი **აკირემის** გაძევება მოჰყვა.

მხარეები მომხდარს განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევენ. ქვემოთ კლუბების თითო წარმომადგენლის კომენტარს შემოგთავაზებთ, თემას კი უფრო ვრცლად "ლელოს" ხვალინდელ ნომერში მივუბრუნდებით.

**გიგა გვენცაძე** (დინამოს პრეს-ატაშე): *"მთელი მატჩის განმავლობაში ზუგდიდელი გულშემატკივრები და ფეხბურთელები ჯორჯ აკირემის რასისტულ შეურაცხყოფას აყენებდნენ. აკირემი საკმაოდ დინჯი და თავშეკავებული ადამიანია, მაგრამ ბოლოს ნერვები ველარ მოთოკა და მეტოქის პროვოკაციას აჰყვა. იმედია, პროფესიული ფეხბურთის ლიგა მომხდარს დეტალურად განიხილავს და სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს".*

**ბესიკ შეროზია** (მგლების მთავარი მწვრთნელი): *"რას ამბობთ, რა რასიზმი?! ზუგდიდში ნამდვილი საფეხბურთო გარემო იყო. მეტოქეს უდიდესი პატივისცემით ვეპყრობოდით, მაგრამ როცა დინამოელებმა შეატყვეს, რომ ვერაფრით გვჯობნიდნენ, აქეთ წამოვიდნენ პროვოკაციაზე".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. VI ტურის მიმოხილვა 2-4

**რეპორტაჟის სპონსორია საქართველოს ოლიმპიური ფონდი**

ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი

# გააგრძელებს თუ არა კარიერას ოლიმპიური ჩემპიონი?

CHANGMAI THAILAND 2007 WORLD WEIGHTLIFTING CHAMPIONSHIPS


გიორგი ასანიძე

**ზვიად შათირიშვილი**
ჩიანგმაიდან

**სამწუხარო ამბით კი გვიწევს მორიგი რეპორტაჟის დაწყება, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არაა - შაბათს გიორგი ასანიძემ აკვრაში საწყისი წონა ვერ აწია და, პირველად სპორტულ კარიერაში, ორჭიდში ნული მიიღო.**

ასეთი შედეგი თითქოს მოულოდნელი კი იყო, მაგრამ თუკი კარგად დავაკვირდებით, ძალიანაც არ უნდა გაგვკვირვებოდა - საქმე ისაა, რომ ასანიძე სერიოზული ტრავმით გამოდიოდა და ამაზე რამდენჯერმე დავწერეთ: ცხადია, ვშიშობდით, რომ ხელი ისე არ ტკენოდა, წონა ვერ დაეძლია, თუმცა მისი სულიერი და საერთო ფიზიკური სიძლიერის იმედი გვქონდა, რისი წყალობითაც არაერთხელ გადაულახავს სხვათათვის და უძლეველი ზღუდეები.

ეს სამწუხარო საქმე ასე დაიწყო გიორგი B ჯგუფში გამოდიოდა და ატაცში 160 კილოგრამით დაწყება გადაწყვიტა. ეს წონა მისთვის ა[illegible] ეტაპზე მაქსიმალური იყო. უფრო სწორად, ბოლო ორი თვეა, მეტი არ აუწევია შეჯიბრებებზე. საქართველოს ჩემპიონატზე, რომელიც ერთი თვის წინათ გაიმართა, სწორედ 160 კილოგრამი დაძლია.

ვრცლად 12



# ასათიანის გადამწყვეტი გოლი მოსკოვურ თრილერში

ქართული ლეგიონის უქმეები 5

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE




**ინგლისი**
**ჩელსის გრანტი ფერგიმ შეჭამა**
მოურინიოს აჩრდილი ოლდ ტრაფორდზე, არსენალი კი შეუდარებელია

**იტალია**
**ტოტის დუბლი საკმარისი არ არის**
იუვენტუსმა რომას კვანტი დაუდო

**ესპანეთი**
**აქეთ მესი, იქეთ სავიოლა**
ბარსა და რეალი არგენტინელებმა იხსნეს

**გერმანია**
**ბაიერნი მაინც ბატონია**
ვერდერმა ფეხბურთი ითამაშა, სად მიძვრება ჰერტა?

ევროუქმეების მიმოხილვა 6-10

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# საქართველოს XIX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. VI ტური

**ზესტაფონი-ოლიმპი**

**2:1**

22.09. ზესტაფონი. ცენტრალური
4 000 მაყურებელი

1:0 ფიფია (83), 1:1 კოშკაძე (88), 2:1 ფიფია (90)

ზესტაფონი: ჭანტურია - თოდუა, საჯაია, ლობჟანიძე, კ.ჩხეტიანი (75. იონანიძე) - ონიანი, ჟონატასი (70. ბიტოო), კესანი, ვიეირა - გ.ჭელიძე, გოცირიძე (62.ფიფია)

*სათადარიგოები: ჯალალონია, შ. ღონღაძე, ნ. კვასხვაძე, ხიდეშელი*

ოლიმპი: ალავიძე - მახვილაძე, აკუასაგა, ორბელაძე, სილაგაძე - ნავალოვსკი, კახელიშვილი, ქებაძე, დევდარიანი (77. მგელაძე) - ჯიქია (62.დვალიშვილი), ყრუაშვილი (82.კოშკაძე)

*სათადარიგოები: კობახიძე, კორსანტია, ჩივაძე, მასუანგა*

გაფრთხილება: კახელიშვილი (58), ფიფია (74), სილაგაძე (87), იონანიძე (87), ალავიძე (90)

გაძევება: კახელიშვილი (89)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

**12.** რუსთაველთა კუთხურის შემდეგ ქებაძის თავური ასცდა მიზანს.

**22.** როინ ონიანის მარჯვენა დაბალ კუთხეში გაგზავნილმა ბურთმა ძელს ჩაუქროლა.

**24.** ნავალოვსკის კუთხურს აკუასაგას თავური დარტყმა მოჰყვა, მაგრამ კვლავ უზუსტოდ.

**28.** ჯიქიას ნაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა მახვილაძემ შეასრულა. ბურტი ჭანტურიამ ხელებში ვერ შეიმაგრა, ბედად იქვე საჯაია აღმოჩნდა და კუთხურზე მოიგერია.

**29.** კახელიშვილმა კუთხურიდან მოაწოდა ბურთი, დევდარიანის ძლიერი დარტყმა მცველს მოხვდა და კუთხურზე გადავიდა. ამ ეპიზოდში ერთ-ერთ ზესტაფონელს.ბურთი ხელზე მოხვდა. რუსთაველები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ არბიტრმა წესების დარღვევა არ დააფიქსირა.

**35.** ნავალოვსკიმ ალავიძეს დაუგორა ბურთი, მეკარეს გოცირიძე წამოეპარა, თუმცა ალავიძემ შეძლო და მას ფეხებში ვარდნით აართვა ბურთი.

**46.** ვიეირამ მარცხნიდან შორეულ კუთხეში უყურადღებოდ მიტოვებულ გოცირიძეს ჩაუკიდა ბურთი, თუმცა მისი თავური არაზუსტი გამოდგა.

**67.** ჭელიძე აღმოჩნდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ალავიძემ დაასწრო და მდგომარეობა განმუხტა.

**69.** საჯაიამ დაახლოებით 40 მეტრიდან უძლიერესად დაარტყა, ალავიძემ აკრობატულ ნატომში შეძლო ბურთის ცხრიანიდან ჩამოხსნა.

**74.** ფიფია შეიჭრა საჯარიმოში და მცველთან ორთაბრძოლისას დაეცა. მსაჯმა ჩათვალა, რომ სიმულიაციას ჰქონდა ადგილი და ყვითელი აუფრიალა.

**76.** დევდარიანის დარტყმა ჭანტურიამ კუთხურზე მოიგერია.

**80.** კესანიმ ბრწყინვალე გადაცემა გაუკეთა თანამემამულე ბიტოოს, მაგრამ კარიდან სამ მეტრში მდგომმა გაბონელმა ფორვარდმა ბურთს ფეხი ააცილა.

**83.** 1:0 ჭელიძის გადაცემის შემდეგ იონანიძემ ქუსლით ეფექტურად დაარტყა, ბურთი მარცხენა ძელს მოხვდა და იქვე გამოვარდა, სიტუაციას ყველაზე კარგად ალღო ფიფიამ აუღო და ანგარიში გახსნა.

**88.** 1:1 ნავალოვსკის დარტყმული ჭანტურიამ უხერხულად მოიგერია, ზესტაფონელი მცველებიც დაიბნენ და რამდენიმე რიკოშეტის შემდეგ ბურთი კოშკაძესთან აღმოჩნდა, რომელსაც ორიოდე მეტრიდან არ გასჭირვებია ანგარიშის გათანაბრება.

**89.** კახელიშვილი მეტოქეს ეუხეშა და წითელი ბარათი მიიღო. ჯარიმას კი ზესტაფონელთა მეორე გოლი მოჰყვა. ფიფიამ პირდაპირ კარში ჩაახვია ბურთი, არადა იგი ჩაწოდებას ცდილობდა და გოლი რომ გავიდა, თავადაც გაკვირვებული დარჩა.

# დრამატული ბოლო დაუჯერებელი გოლით

**ჩ**ემპიონატის ერთ-ერთი ლიდერისა და მოქმედი ჩემპიონის დაპირისპირება ქართული ფეხბურთის გურმანთა შორის დიდ ინტერესს იწვევდა. მატჩს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაციც** დაესწრო. იგი ამჯერად იმერეთს მარტო, ამალის გარეშე ეწვია და სანახაობით კმაყოფილი დარჩა.

„ზესტაფონმა" ჩემპიონატში კარგი სტარტი კი აიღო, მაგრამ აქამდე მაინც დებიუტანტები და, ასე ვთქვათ, მეორე ეშელონის გუნდები: „მესხეთი", „მგლები", „ლოკომოტივი" და „დილა" ჰყავდა დამარცხებული. „ვიტ-ჯორჯიასთან" კი საკუთარ მოედანზე მხოლოდ ფრეს გამოჰკრა ხელი. ამდენად ფეროელთა ნამდვილი ძალა ამ მატჩში უნდა გამოჩენილიყო. მართალია, „ოლიმპი" წლეულს მთლად ჩემპიონურად ვერ გამოიყურება და არც ძველებური ამბიციები ამოძრავებს, მაგრამ ბრძოლა ჯერაც ხელეწიფება. ეს რუსთაველებმა ზესტაფონურ შეხვედრაშიც დაამტკიცეს. რომ არა უილბლობა, ისინი იმერეთიდან ქულით ხელდამშვენებულები გაემგზავრებოდნენ.

ჩემპიონობისთვის მებრძოლ „ზესტაფონს" თუკი სანუკვარი მიზნის მიღწევა სურს, თამაშის ხარისხი აუცილებლად უნდა გააუმჯობესოს. ის ფაქტიც გასათვალისწინებელია, რომ იმერლებმა სეზონის მიმდინარეობისას რამდენიმე ახალი ფეხბურთელი დაიმატეს და ახლა მათ გუნდთან ადაპტაციის პერიოდი აქვთ. სავარაუდოდ, „ზესტაფონი" ტრადიციულად თანდათან მოუმატებს და, ალბათ, უკეთაც ათამაშდება. ამის პოტენიალი იმერლებს ნამდვილად გააჩნიათ, „ოლიმპთან" თანაბარ ბრძოლაში კი **თემურ მახარაძის** შეგირდემა იღბლისა და **გოგი ფიფიას** უცნაური გოლის წყალობით გაიმარჯვეს.

მატჩის უმეტესი დრო საკმაოდ მოსაწყენ ბურთაობაში გაილია. განსაკუთრებით ეს პირველ ტაიმზე ითქმის. გუნდები ერთფეროვნად, ქაოტურად უტევდნენ. ცვლილებებისა და ტაქტიკური გადაადგილებების შემდეგ კი თამაშიც გამოსწორდა და შეხვედრის ბოლო საინტერესო და ემოციებით დატვირთული გამოდგა. მატჩი ბოლო რვა წუთში გატანილმა სამმა გოლმა გაალამაზა.

პირველ ტაიმში „ოლიმპი" უკეთ გამოიყურებოდა. რუსთაველებმა საკუთარი საჯარიმო კარგად გამოკეტეს. თავდამსხმელებსა და სწრაფ ფლანგელებს გასაქანი არ მისცეს, შეტევაში კი აქცენტი სტანდარტულებზე გააკეთეს და კუთხურებისა თუ ჯარიმების შესრულების შემდეგ რამდენჯერმე დაემუქრნენ კიდეც მეტოქის კარს. კახელიშვილის კუთხურს მოჰყვა რუსთაველთა ყველაზე რეალური საგოლე მომენტი, როცა დევდარიანის დარტყმული ბურთი კარის ხაზთან მცველს თავზე შეეხო და კუთხურზე გადავიდა. იქამდე ბურთი ერთ-ერთ მცველს ხელზეც მოხვდა და ჩემპიონები პენალტს ითხოვდნენ, თუმცა არბიტრმა წესების დარღვევა არ დააფიქსირა. ამან „ოლიმპის" მწვრთნელი **ანატოლი პისკოვეცი** ისე გააცოფა, რომ მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენიაზე არბიტრი ნაირ-ნაირი „დითირამბებით" შეამკო. ზესტაფონელებსაც ჰქონდათ პრეტენზიები არბიტრთან, ხელით თამაშისთვის ისინიც ითხოვდნენ პენალტს, მაგრამ **ხარიტონაშვილი** იქაც პრინციპული იყო. მასპინძელთა მომენტებიდან პირველ ტაიმში ის ეპიზოდია გამოსარჩევი, როცა **ნავალოვსკისა** და **ალავიძის** შეუთანხმებელი თამაშის შემდეგ ბექა **გოცირიძეს** მიეცა გოლის გატანის შანსი, თუმცა მეკარემ ბოლო წამს იმარჯვა.

მეორე ნახევარში ორივე გუნდის შემადგენლობაში მოხდა ცვლილებები და ტაქტიკური გაადგილებები. სტუმრები უფრო დროის გაყვანაზე ფიქრობდნენ და იმდენად აღარ აქტიურობდნენ, **თემურ მახარაძე** კი ვა-ბანკზე წავიდა, სამი თავდამსხმელი **ფიფია, ბიტოო** და **იონანიძე** შეიყვანა მოედანზე და ერთბაშად ოთხი ნომინალური ფორვარდით შეუტია. ავანტიურამ გაამართლა. შეცვლაზე შემოსულმა ფეხბურელებმა თამაში მნიშვნელოვნად გაამწვავეს. **ვიეირა** და **ჭელიძეც** უფრო გააქტიურდნენ და ალავიძეს რამდეჯერმე მოუხდა ოსტატობის გამოვლენა. დაძაბულობამ იმატა და მატჩის ბოლო რვა წუთი მართლაც რომ დრამატული გამოდგა. პირველი გოლისას აღსაიშნავია იონანიძის ბრწყინვალე თამაში, როცა მისი ქუსლური დარტყმა ძელმა აისხლიტა და იქვე მყოფ ფიფიას არ გასჭირვებია გატანა. სტუმრებმა მალევე გაათანაბრეს: ნავალოვსკის დარტყმული იმ დღეს არასტაბილურად მოთამაშე **ჭანტურიამ** უხერხულად მოიგერია, ბურთი ვერც მცველებმა გამოიტანეს და ხუთიოდე წუთით ადრე შემოსულმა **კოშკაძემ** წონასწორობა აღადგინა. ოლიმპელებს ზეიმი არ ჰქონდათ დამთავრებული, რომ ჯერ **კახელიშვილი** გაუძევეს, შემდეგ კი ფიფიას იღბლიანმა დარტყმამ მათ ოცნებას - ზესტაფონიდან ქულა წაეღოთ - ცივი შხაპი გადაასხა. გოლის გატანით გამოწვეული გაკვირვება მან ხელების გაშლითა და მხრების აჩეჩვით გამოხატა. სტუმრები ამ ეპიზოდსაც აპროტესტებდნენ, ზესტაფონელები საჯარიმოში წესებს არღვევდნენო, მაგრამ აქედან მხოლოდ ალავიძის ყვითელ ბარათს გამორჩნენ. მოკლედ, „ზესტაფონმა" რთული, მაგრამ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარა, „ოლიმპი" კი ნელ-ნელა ქვემოთ ეშვება.

### მატჩის შემდეგ

**ანატოლი პისკოვეცი (ოლიმპი):** „მსაჯებზე საუბარი და მათი განსჯა არ მჩვევია, მაგრამ დღეს ისეთი საშინელი მსაჯობა იყო, რომ ვერ გავჩუმდები. პირველ ტაიმში არბიტრმა 100%-იანი პენალტი არ დაგვიდო, როცა ზესტაფონელებმა ხელით გამოაგდეს ბურთი. სხვა ეპიზოდებშიც არაობიექტურ გადაწყვეტილებებს იღებდა. თუკი მსაჯი ასეთ მომენტებს ვერ ხედავს, აჯობებს სათვალე გაიკეთოს ან ლინზები ჩაისვას. ასეთი არბიტრები ჩემპიონატს არ უნდა გააკარო. სწორედ ისინი აბინძურებენ ქართულ ფეხბურთს და ეს ტალახი აუცილებლად უნდა ჩამოვირეცხოთ... არ ვამბობ, რომ „ზესტაფონთან" პენალტის არდანიშვნის გამო წავაგეთ. მეტოქემ კარგად ითამაშა და ჩვენი მარცხი კანონზომიერი იყო, მაგრამ მსაჯის დღევანდელ ქმედებებს გამართლება არ აქვს."

**თემურ მახარაძე (ზესტაფონი):** „მსაჯებზე საუბარი მიყვარს და მათი შეფასებისგან ამჯერადაც თავს შევიკავებ. საინტერესო, დაძაბული თამაში იყო. პირველ ტაიმში საკმაოდ გაგვიჭირდა, მეორე ნახევარში თამაში მნიშვნელოვნად გამოვასწორეთ და საჭირო სამი ქულა ავიღეთ. ფიფია და იონანიძე შეცვლაზე ეფექტურები არიან და ესეც ჩვენი ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო."

### რჩეული

**გოგი ფიფია**

თამაშში 62-წუთიდან ჩაერთო და ზესტაფონის შეტევებს სიმწვავე შემატა... ბოლოს და ბოლოს დუბლი გაიფორმა და „ზესტაფომა" აქტივში მეტად საჭირო სამი ქულა მისი წყალობით ჩაიწერა

დავით კოხრეიძე
ზესტაფონიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 6 | 6 | 0 | 0 | 15-2 | 18 |
| 2. ზესტაფონი | 6 | 5 | 1 | 0 | 14-3 | 16 |
| 3. ბორჯომი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-4 | 11 |
| 4. მესხეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-6 | 11 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 1 | 2 | 7-7 | 10 |
| 6. ამერი | 6 | 3 | 0 | 3 | 13-8 | 9 |
| 7. მგლები | 6 | 3 | 0 | 3 | 5-5 | 9 |
| 8. სიონი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-9 | 8 |
| 9. სპარტაკი | 6 | 2 | 2 | 2 | 3-6 | 8 |
| 10. ოლიმპი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-6 | 7 |
| 11. ლოკომოტივი | 6 | 2 | 0 | 4 | 5-11 | 6 |
| 11. დილა | 6 | 1 | 0 | 5 | 4-9 | 3 |
| 13. მერანი | 6 | 1 | 0 | 5 | 2-14 | 3 |
| 14. ბათუმი | 6 | 0 | 1 | 5 | 2-7 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 4 |
| ხუციშვილი (დინამო) | 4 |
| შ. ჯიძია (ბორჯომი) | 4 |
| ვიეირა (ზესტაფონი) | 3 |
| კაიდარაშვილი (მესხეთი) | 3 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 3 |
| გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 3 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 3 |
| აკირემი (დინამო) | 3 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 3 |
| ფიფია (ზესტაფონი) | 3 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| ძარდავა (სიონი) | 3 |

### VII ტური

**28 სექტემბერი. პარასკევი**

**16:00** სიონი-ზესტაფონი
**16:00** ბორჯომი-მესხეთი
**16:00** მერანი-ვიტ ჯორჯია
**16:00** დილა-მგლები

**29 სექტემბერი. შაბათი**

**16:00** ოლიმპი-ლოკომოტივი
**16:00** სპარტაკი-ამერი
**16:00** დინამო-ბათუმი

# ბათუმი იძირება

**ბათუმი-სპარტაკი**

**0:1**

22.09. ბათუმი. ადელი
250 მაყურებელი

0:1 ჯანელიძე (34. გოგოხიას პასით)

ბათუმი: მამინაშვილი - ლ. მახარაძე (46. ოქრუაშვილი), ჭელიძე, თედორაძე, მაკარიანი (58. ცანავა) - ბეჟანიძე, კ. მახარაძე, დარჩიძე, დემურაძე - კაკალაძე, მოდებაძე (69. ტულუში).

*სათადარიგოები: თოთლაძე, ბაჯელიძე, ბ. მახარაძე, გალოგრე.*

სპარტაკი: კოდალაევი - ბახტურიძე, ხაჭიპერიძე, ქემოკლიძე, მამუკაშვილი - ხიდეშელი (65. მედოევი), ძირია (58. კუპრეიშვილი) ჩირიკაშვილი, თარხნიშვილი, გოგოხია - ჯანელიძე (77. ტატაევი).

*სათადარიგოები: ქვილითაია, პარამონოვი, კ. ავალიანი, კეტაშვილი.*

გაფრთხილება: დარჩიძე (63), ხიდეშელი (63) ცანავა (64), ტულუში (70)

არბიტრი: კ. ჭაჭუა

**20.** კაკალაძე-მოდებაძე-დარჩიძის კომბინაცია ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმით დასრულდა, კოდალაევი ბურთს იგერიებს, დამატებაზე ბეჟანიძეს მცველმა დაასწრო.

**28.** ძარიას დასარტყამ პოზიციაზე გაჰყავს ხიდეშელი, მაგრამ სუსტი დარტყმა მამინაშვილის იოლი ნადავლი ხდება.

**34.** 0:1 მარცხენა ფლანგიდან გოგოხია საჯარიმოში გამჭოლ გადაცემას აკეთებს, ბურთი ყველასთვის მოულოდნელად ხიდეშელს ქუსლზე ხვდება და კარისკენ მიდის. მამინშვილი უძლურია.

**63.** დარჩიძისა და ხიდეშელის ნაკინკლავება მსაჯის მიერ ორივეს „გაყვითლებით" დასრულდა.

**70.** შეცვლაზე შემოსული ტულუში საჯარიმოში ნაქცევისთვის 11-მეტრიან დარტყმას ითხოვს, მსაჯი კი სიმულაციისთვის ყვითელ ბართს უჩვენებს.

ასეთი რთული ვითარება, რაც ზღვისპირულ კლუბში სუფევს, ბათუმის „დინამოს" ყველაზე სტაჟიან გულშემატკივარსაც კი არ ახსოვს. გუნდი კატასტროფის პირასაა და ასეთი სვლით, პირველ ლიგაშიც დაქვეითდება. ხუთი ტურის შემდეგ ბათუმელებს მხოლოდ ერთი ქულა ჰქონდათ აქტივში და მათგან ახლა მაინც ელოდნენ გამარჯვებას, მაგრამ ცხინვალმა, ისე კარგად შეასრულა **ჟორჟიკაშვილის** დავალებები, მასპინძლებს ანგარიშის გათანაბრების შანსიც კი არ დაუტოვა. პირველ რიგში სტუმართა დაცვის კარგი თამაშია აღსანიშნავი. მართალია, მასპინძლებს ჰქონდათ კარში დარტყმის რამდენიმე კარგი შანსი, მაგრამ რატომღაც ბურთს იცილებდნენ და ერთმანეთს აწვდიდნენ პასებს, ძვირფასი დროც იკარგებოდა და სტუმრები მთელი გუნდით ასწრებდნენ დაცვაში ჩასვლას.

შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით დაიწყო. **გოგიტიძეს** ჩვეული 4-4-2 სქემისთვის არც ამჯერად ულალატია, რომელსაც ჟორჟიკაშვილმა 4-5-1 დაუპირისპირა. მატჩის პირველი 15 წუთი ისე მიილია, საინტერესო ვერც ერთმა გუნდმა ვერაფერი გააკეთა. მე-20 წუთზე მარცხენა ფლანგიდან **კაკალაძის** მიერ დაწყებულ იერიშს დროებით ცენტრისკენ გადაწეული **დემურაძისადმი** პასი მოჰყვა, მანაც დროულად შენიშნა **დარჩიძის** მოძრაობა და პასი არ დაუგვიანა. ბათუმელთა გამთამაშებელმა კარგად კი დაარტყა, მაგრამ მეკარემ მოიგერია, დამატებაზე კი **ბეჟანიძეს** მცველმა დაასწრო და ბურთი მოიგერია.

საპასუხო იერიში 8 წუთის შემდეგ ვიხილეთ. **ძარიამ,** რომელიც მეტოქის საჯარიმოს ცენტრიდან მიუახლოვდა, ოდნავ მარჯვნივ გადააწოდა ბურთი **ხიდეშელს,** მაგრამ მან იჩქარა დარტყმა და მეკარემ იოლად მოიგერია. ოდნავ წინ რომ შენეულიყო, დარტყმაც ძლიერი გამოუვიდოდა და შესაძლოა, გოლიც გაეტანა. ამ მომენტში კი **მამინაშვილმა** აჯობა.

34-ე წუთზე შეხვედრის ერთადერთი გოლი გავიდა. მარცხენა ფლანგიდან **გოგოხიამ** საჯარიმოში გამჭოლი გადაცემა გაკეთა, მამინაშვილმა დროულად დატოვა კარი და ბურთსაც დაუფლებოდა, რომ არა ბედის ირონია. ბურთისკენ ხიდეშელი დაიძრა, რომელსაც სრულიად შემთხვევით ის ქუსლზე მოხვდა, აიჭრა და მამინაშვილის უკან კარში ჩაეშვა - 0:1.

მეორე ტაიმში მოედანზე არაფერი შეცვლილა. 63-ე წუთზე დარჩიძემ და ხიდეშელმა წაიკინკლავეს, რის გამოც მსაჯმა ორივეს ყვითელი ბარათი უჩვენა. გოგიტიძემ შეტევის გაძლიერება სცადა და მცველ **მაკარიანის** ნაცვლად მინდორზე შემტევი ნახევარმცველი **ცანავა** შეუშვა, თუმცა მან თავი 64-ე წუთზე, უხეში თამაშით დაგვამახსოვრა. ანალოგიური დაემართა **ტულუშსაც,** რომელიც 70-ე წუთზე მეტოქის საჯარიმოში დაეცა და პენალტი მოითხოვა, სანაცვლოდ კი სიმულაციისთვის გაფრთხილება მიიღო. დარჩენილ დროში, ბურთს მთლიანად ბათუმელები აკონტროლებდნენ, მაგრამ კარში დარტყმას ვერა და ვერ ახერხებდნენ. მასპინძლებს სისწრაფე აკლდათ, მათი წამოწყებული შეტევების დროს, სპარტაკელები მთელი შემდგენლობით ახერხებდნენ დაცვაში ჩასვლას, მასპინძლებს თავისუფალ ზონას უკეტავდნენ. მატჩის მიწურულს **კაკალაძე** წაიქცა საჯარიმოში და მაშინვე პენალტი მოითხოვა, თუმცა **ჭაჭუას** სასტვენი ამჯერადაც სდუმდა, რამაც ბათუმელი გულშემატკივრების აღშფოთება გამოიწვია. შეხვედრის დასრულების შემდეგ ისინი მსაჯის ოთახისკენ გაემართნენ და... თუ რა სიტყვების კორიანტელი ატყდა იქ, მას ეთიკური მოსაზრების გამო, არ ვწერთ.

ირაკლი დარცმელიძე
ბათუმიდან

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

**მგლები-დინამო**

**1:2**

22.09. ზუგდიდი. ცენტრალური
3 500 მაყურებელი

1:0 ქირია (12. კაკაბაძის პასით), 1:1 მერებაშვილი (45.), 1:2 ხუციშვილი (55. დილმელაშვილის პასით)

მგლები: ივარდავა - ექონია, კაკაბაძე, ფარულავა, მაჭავარიანი - ქირია, ვართაგავა (75. ბაკარანძე), ხუბუა, ჯოჯუა, წურწუმია (59. გაბედავა) - კრასოვსკი (57. ლიპარტია).

*სათადარიგოები: ჭითანავა, ქომეთიანი, ნარსია, კუტალია.*

დინამო: ოვონო - შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში - სპასოევიჩი (88. კობახიძე), ხმალაძე, დილმელაშვილი, ხუციშვილი (74. ოდიკაძე), მერებაშვილი (90. ფეიქრიშვილი) - აკირემი.

*სათადარიგოები: გრიშიკაშვილი, თომაშვილი, გ. კაშია, ფირცხალავა.*

გაფრთხილება: კობახიძე (90)

გაძევება: ჯოჯუა (90), აკირემი (90).

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

**12** 1:0 მასპინძელთა პირველივე დარტყმა კარში გოლით დასრულდა - ქირიამ კაკაბაძის პასი შეირგო.

**19.** ჯოჯუამ შორი მანძილიდან გაისროლა, ოდნავ ააცილა კარს.

**32.** მერებაშვილის მიერ ოსტატურად შესრულებული ჯარიმა მცირედით ასცდა ივარდავას კარს.

**38.** კრასოვსკიმ ძლიერად დაარტყა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა.

**45.** 1:1 ტაიმის ბოლოს დინამოელთა შტურმი შედეგიანად დასრულდა. მერებაშვილს ივარდავამ ვერ აუღო.

**55.** 1:2 დილმელაშვილის პასით ხუციშვილმა "დინამო" დააწინაურა.

**56.** მერებაშვილი კიდევ ერთხელ დაემუქრა მასპინძელთა კარს, მაგრამ ამჯერად ივარდავამ იმარჯვა.

**58.** სპასოევიჩმა ძლიერად დაარტყა, მაგრამ ოდნავ ააცილა კარს.

**60** ბაკარანძეს ოვონომ რთული ბურთი აუღო.

**63.** ოვონო კაკაბაძის ძლიერ დარტყმას გადაეფარა.

**76.** ბაკარანძემ კარგად დაარტყა, მაგრამ ოვონო კვლავ მოწოდების სიმაღლეზეა.

**86.** ბაკარანძე მასპინძლებს კარგად გაჰყავდათ დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ ოვონო გამოვიდა კარიდან და ვითარება განმუხტა.



# დინამომ მგლები შეაჩერა

თამაში დიდ ინტერესს იწვევდა და სტადიონზეც სრული ანშლაგი იყო. როგორც მატჩის ბოლოს გაირკვა, გაყიდული ბილეთების რაოდენობით (2 500-მდე) ზუგდიდმა ზესტაფონის რეკორდი მოხსნა. მასპინძლები მხოლოდ ერთს ჩიოდნენ, **ჭედიას** და **დევაძეს** რომ მოესწროთ ტრავმების მოშუშება, "დინამოს" ზუგდიდიდან უქულოდ გავუშვებდითო. დევაძის საიმედოობაზე არავინ დავობს, მაგრამ მისმა დუბლიორმა შაბათის მატჩიც საიმედოდ ჩაატარა.

"მგლები" მეხუთე ადგილზე დაუხვდა ლიდერს და თავიდანვე მწვავე თამაში შესთავაზა. მასპინძლებს ადგილობრივი ფანკლუბი ამხნევებდა, სტუმრებს კი თბილისიდან წამოსული ქომაგები. მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობა საწყის წუთებშივე გამოიკვეთა. პირველად კარში ზუგდიდელებმა დაარტყეს და შედეგიანადაც. ტაიმის შუა ნაწილს **დუშან უპრინის** შეგირდებმა თამაშის გათანაბრება შეძლეს. ტაიმის ბოლოს კი შტურმი მოუწყეს და ანგარიშიც გაქვითეს. **მერებაშვილმა** არბიტრის მიერ კომპენსირებულ დროში გაიტანა. ზუგდიდელები არბიტრის მიმართ პროტესტს გამოთქვამდნენ, **ვადაჭკორიამ** ტაიმს 5-6 წუთი დაამატაო....

მეორე ნახევარი დინამოელებმა უფრო აქტიურად დაიწყეს და მალევე დაწინაურდნენ კიდეც. **დილმელაშვილის** ჩინებული პასით **ხუციშვილმა** ისარგებლა - 1:2.

მასპინძლებმა გაორმაგებული ძალით იწყეს მეტოქეზე ზეწოლა. შესაბამისად დინამოელებს ნახევარდაცვასა და დაცვაში დიდი ჯაფა დაადგათ. განსაკუთრებით გამოსარჩევი კი მეკარე **ოვონოს** თამაში გახლდათ.

მატჩის ბოლოს მოედნის ცენტრში **აკირემისა და ჯოჯუას** ორთაბრძოლას გაუგებრობა და გაწევ-გამოწევა მოჰყვა. თამაში 20-30 წამით გაჩერდა, მაგრამ სტადიონის უსაფრთხოების სამსახურმა იმარჯვა და ყველაფერი მალე ჩაწყნარდა. არბიტრმა ორივეს წითელი ბარათი უჩვენა.

### მატჩის შემდეგ

**კახა კაჭარავა (დინამო):** "თამაში დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. "დინამოს" წინააღმდეგ ყველა გაორმაგებული მონდომებით თამაშობს. საამისოდ მზად ვიყავით. ასეთი თამაშები ეროვნულ ჩემპიონატს ამშვენებს და რაც შეიძლება მეტი უნდა იყოს. ჩვენი ბიჭების თამაშითა და შედეგით კმაყოფილი ვარ".

**ბესიკ შეროზია (მგლები):** "ჩვენ ყველა გუნდის წინააღმდეგ ბოლომდე ვიხარჯებით და ასე იყო დღესაც. მოგება გვინდოდა, მაგრამ ეს ვერ შევძელით. თამაშით კმაყოფილი ვარ. რომ არა ოვონოს საიმედო თამაში, ფრესა და ქულას მოვიპოვებდით".

### რჩეული

**დიდიე ოვონო**

კარგი იყო მერებაშვილი, დიდი სამუშაო გასწია ჯოჯუამ. ქირია გოლის გარდა, აქტიურობდა. თუმცა დიდიე ოვონომო გამოვარჩიეთ. მან სამი "მკვდარი ბურთი" აიღო. რომ არა მისი საიმედო თამაში, "დინამო" ზუგდიდიდან 3 ქულას ვერ წამოიღებდა.

**დავით ცაბაძე**
ზუგდიდიდან

**ამერი-მერანი**

**7:0**

22.09. თბილისი. ამერი
600 მაყურებელი

1:0 დავითაშვილი (24), 2:0 დობროვოლსკი (49), 3:0 დოლიძე (57. დეკანოსიძის პასით), 4:0 გოცირიძე (63. ჯელაძის პასით), 5:0 გოცირიძე (67. ელბაქიძის პასით), 6:0 ტატანაშვილი (84), 7:0 ჯელაძე (90. ალავიძის პასით)

ამერი: ქვაჩახია - მესხი, დიდავა, მესხი, ელბაქიძე - დოლიძე (67. ალავიძე), ბოლქვაძე (61. ჯელაძე), დობროვოლსკი, დეკანოსიძე - დავითაშვილი (61. ტატანაშვილი), გოცირიძე

*სათადარიგოები: ნადირაშვილი, კაკაშვილი, ჩიკვილაძე, ცხადაძე*

მერანი: სეფიაშვილი - ლოლაძე (70. ხუჭუა), კობიაშვილი, გიგაური, სარალიძე - ტყეშელაშვილი, ბ. ნოზაძე (61. ქობალია), ჯანგიძე, ლომაშვილი - გოჩაშვილი (37. სევასტოპულო), ბ. ყლენტი

*სათადარიგოები: თევდორაძე, ფურთუხია, კობერიძე, დეისაძე*

გაფრთხილება: ჯანგიძე (4), დავითნიძე (35), სარალიძე (53)

გაძევება: ჯანგიძე (42)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

**12.** ბოლქვაძის დარტყმა "მერანის" კარს მცირე მანძილით ასცდა.

**15.** დობროვოლსკის მეკარემ აუღო.

**24.** 1:0 - ელბაქიძის შორეული დარტყმა სეფიაშვილმა მოიგერია, დამატებაზე ყველას დავითაშვილმა დაასწრო.

**42.** ჯანგიძემ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და თავისი გუნდი უიმედო მდგომარეობაში ჩააგდო.

**49.** 2:0 - დობროვოლსკიმ შორიდან დაარტყა, ბურთი სეფიაშვილის ცხვირწინ დაეცა და "მერანის" მეკარემ კარი ვერ იხსნა.

**57.** 3:0 - დეკანოსიძის ჩაწოდებულს მეტოქის კართან ახლოს მდგომმა დოლიძემ თავი შეაგება.

**63.** 4:0 - ჯელაძის პასი გოცირიძემ კარგად დაამუშავა და ცხრიანში ეფექტურად გაიტანა.

**65.** ჯელაძის შორეული დარტყმა კარს ზემოდან მცირედით გადასცდა.

**67.** 5:0 - გოცირიძემ ელბაქიძის პასი მიიღო და ბურთს მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში მიუჩინა ადგილი.

**79.** ჯელაძის დარტყმა მეკარემ მოიგერია.

**84.** 6:0 - დობროვოლსკის მეკარემ აუღო, დამატებაზე ყველას ტატანაშვილმა დაასწრო.

**87.** ჯელაძე სამ მეურვეს გაექცა და ოდნავ არაზუსტად დაარტყა.

**90.** 7:0 - ალავიძის ჩაწოდებულს ჯელაძემ ფეხი დაუხვედრა და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

# ამერული რეკორდი და 17:0

გამარჯვება, მით უმეტეს ასეთი ლალი და ძალდაუტანებელი, "ამერისთვის" მისწრებაა. თასის მფლობელებს ჩემპიონატის სტარტზე საქმეები ცუდად წაუვიდათ და გუშინაც რომ დაეკარგათ ქულები, ისედაც უხეირო სატურნირო მდგომარეობას კიდევ უფრო დაიმძიმებდნენ. მათდა საბედნიეროდ, მეტოქე ჰყავდათ მეტისმეტად სუსტი. "ამერმა" სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა თავიდანვე მოიპოვა, **ლაშა ჯანგიძის** გაძევების შემდეგ კი "მერანი" სულ მთლად აირია და გლდანელებს უფრო მეტი საგოლე მომენტი რომ გამოეყენებინათ, ორნიშნა სხვაობით მოიგებდნენ.

ამერელთა შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები იყო. მისთვის უჩვეულო პოზიციაზე, მარჯვენა მცველად ითამაშა **მიხეილ მესხმა** და არცთუ ურიგოდ. **გივი დიდავა** ცენტრალურ მცველობას მიჩვეული კია, მაგრამ "ამერში" მარჯვნივ დგას ხოლმე. როგორც იქნა, პირველი ოფიციალური ამერული გოლები გაიტანა **რევაზ გოცირიძემ**, რომელიც ამჯერად საკმაოდ აქტიური იყო.

აუტსაიდერმა "მერანმა" სეზონის ყველაზე ცუდი მატჩი ჩაატარა. სტუმრები ყველა რგოლში უსუსურად ირჯებოდნენ, ვერც მეტოქის შეტევებს უხერხებდნენ რამეს და თავადაც იშვიათად გადადიოდნენ მის ნახევარზე.

გამარჯვებულებს გუშინ, გამორჩეული ლიდერი არ ჰყოლიათ, მოწინააღმდეგის სისუსტე იმის საშუალებას იძლეოდა, რომ ყველა ფეხბურთელს თავი მაქსიმალურად გამოეჩინა.

"ამერს" ამხელა ანგარიშით ოფიციალური შეხვედრა აქამდე არასდროს მოეგო, "მერანს" კი მისი რისხვა უკვე მესამედ დაატყდა თავზე. ეს გუნდები ეროვნულ ჩემპიონატში მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს, საერთო ანგარიში 17:0-ია "ამერის" სასარგებლოდ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# რა დაემართა ვიტ ჯორჯიას?

**ვიტ ჯორჯია-ბორჯომი**

**1:2**

23.09. მცხეთა. არმაზი
100 მაყურებელი

0:1 შ. ჯიქია (6. გრიგალაშვილის პასით), 0:2 გრიგალაშვილი (30), 1:2 გელაშვილი (37. სახოკიას პასით)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, კაიშაური, ჯაფარიძე - რაზმაძე (83. ინჯგია), გ. დათუნაიშვილი, მელქაძე - კლინიაშვილი, სახოკია (82. ბერიაშვილი), გელაშვილი (86. ლუჭაშვილი)

*სათადარიგოები: მიქაბერიძე, ადამაძე, პირველი, მაისაშვილი*

ბორჯომი: შეყრილაძე - ლ. ჭელიძე, ქარქოზაშვილი, ლ. მერებაშვილი, აკობია - ნერგაძე, მემარნიშვილი, ბაბუნაშვილი, კ. ხანიშვილი (64. ყველაშვილი), გრიგალაშვილი (72. გოგიჩაიშვილი) - შ. ჯიქია (89. ნასყიდაშვილი)

*სათადარიგოები: გლუნჩაძე, ლომიძე, დევიძე*

გაფრთხილება: გრიგალაშვილი (25), პ. დათუნაიშვილი (60), ბაბუნაშვილი (68)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

**6.** 0:1. შოთა გრიგალაშვილმა კარგ პოზიციაზე გაიყვანა შოთა ჯიქია, რომელმაც გრიგოლ ბედიაშვილს შორეულ კუთხეში გაუტანა.

**32.** 0:2. ვიტელები ხელოვნურ თამაშგარეს შექმნას ცდილობდნენ, მაგრამ გრიგალაშვილმა პასი არავის გადააწოდა, თვითონ გაარღვია დამცავი ჯებირი და მეკარესთან პირისპირ გასულმა ბორჯომელთა უპირატესობა გაზარდა.

**33.** ირაკლი კლიმიაშვილი სტუმართა საჯარიმოში შეიჭრა და წაიქცა. ვიტელები პენალტს ითხოვდნენ, თუმცა უშედეგოდ.

**37.** 1:2. ზაზა სახოკიამ მარჯვნიდან ჩააწოდა მაღალი ბურთი. ნიკა გელაშვილმა კი ბექა შეყრილაძეს დაასწრო და მოხდენილი თავურით გაიტანა.

**75.** ჯიქია დარჩა კარგ პოზიციაზე, მაგრამ სიზუსტემ უმტყუნა.

**86.** "ბორჯომის" საჯარიმოში არეულობა შეიქმნა და ბურთი კარში აღმოჩნდა, თუმცა არბიტრმა მეკარეზე თავდასხმა დააფიქსირა და გოლი არ ჩაითვალა.

**88.** ლექსო კვახაძის ახლო თავური ბექა შეყრილაძეს ხელებში მიუვიდა.

**რ**იხიანი დასაწყისის შემდეგ "ვიტ ჯორჯიას" საქმე დაღმა წავიდა - **ნესტორ მუმლაძის** გუნდმა ზედიზედ მეორე თამაში წააგო. ვიტელებს განსაკუთრებით დაცვაში უჭირთ - ძალიან ბევრ პოზიციურ შეცდომას უშვებენ და ბოლო ორ შეხვედრაში ხუთი გოლიც გაუშვეს. მცირე კრიზისი გუნდს შარშანაც ჰქონდა. მაშინ თამაშებს ვერ იგებდა, თუმცა არც ზედიზედ აგებდა. არადა, სეზონის დასაწყისი გუნდს ისეთი ჰქონდა, ასეთ გაგრძელებას ვერავინ იწინასწარმეტყველებდა.

"ბორჯომი" კი, წინ მიიწევს - მოწინავე გუნდებთან სამ-სამ ქულას აგროვებს. წინა ტურში თბილისის "ამერს" მოუთავა საქმე (3:0), გუშინ კი "ვიტ ჯორჯიას". **ვლადიმერ ხაჩიძის** უნარი ნორმალური გუნდის გაკეთებისა არაერთხელ დამტკიცებულა. ახლაც მწვრთნელი საკმაოდ ბრძოლისუნარიან გუნდს აყალიბებს, რომელიც, ვფიქრობთ, მეორე წრეში კიდევ უფრო კარგად ათამაშდება. ამის წინაპირობა სტაბილური შემადგენლობა უნდა იყოს. შარშან, სეზონის მანძილზე, ბორჯომელთა მწვრთნელს შემადგენლობის რამდენჯერმე ცვლა მოუწია, მაგრამ ამას საერთო მდგომარეობისთვის კარგი არაფერი მოაქვს.

მაინც რა სჭირს "ვიტ ჯორჯიას"? კარგი მოსამზადებელი პერიოდი, ნორმალური კონტინგენტი და ძალიან უფასეულო თამაში ბოლო ორ ტურში.

ზოგადად, გუნდის საძირკველი დაცვის ხაზია და ამ რგოლში რატომ მოისუსტებს ასე ძალიან მუმლაძის გუნდი, ეს ალბათ ყველაზე კარგად "ვიტ ჯორჯიაში" უწყიან.

გუშინ, "ვიტ ჯორჯია" უტევდა, თითქოს უპირატესობასაც ფლობდა, მაგრამ არ ემჩნეოდა ის მუხტი, რითაც გამარჯვება იჭედება. არც "ბორჯომი" ჩამდგარა ყრუ დაცვაში. ბურთს უფრო დიდ ხანს მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ ვლადიმერ ხაჩიძეს გუნდს თავს უნარიანად იცავდა და მწვავე კონტრშეტევებსაც ახერხებდა. ერთი-ორჯერ სტუმრებმა მართლაც კარგი კონტრიერიში გაახერხეს, თუმცა ბოლო პასი არ უვარგოდათ.

**ნიკა გვათუა**



მერანის რბევა ჯელაძე (14)-ტატანაშვილმა (18) დაასრულეს

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლოკომოტივი-დილა**

**1:0**

22.09. თბილისი. მ. მესხი
200 მაყურებელი

1:0 ბარბაქაძე (61)

ლოკომოტივი: გვარამაძე - ა. კობიაშვილი, ლალაძე, ფოფხაძე, ქუხილავა - გულორდავა, ბარბაქაძე (79. ტიკურიშვილი), მალიჩავა, ხოხონიშვილი - მიქაძე (62. ალავერდაშვილი), დ. ჩაგელიშვილი (58. კირკიტაძე).

*სათადარიგოები: ცერცვაძე, ლ. ჩაგელიშვილი, იმედაძე.*

დილა: ილურიძე - ბალიაშვილი, ლაცაბიძე, დ. ხანიშვილი, ბალაშვილი - სადალაშვილი, ნ. ნოზაძე (75. სულთანიშვილი), ტლაშაძე, შერმადინი (64. კურტანიძე) - ბ. ჩიტაია, სამადაშვილი (73. ლ. თურმანიძე).

სათადარიგოები: *კეჩხუაშვილი, ი. თაყაძე, მასურაშვილი, ლომიძე.*

გაფრთხილება: ხოხონიშვილი (19), მიქაძე (32), ტიკურიშვილი (85).

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი (თბილისი)

**2.** გიორგი მიქაძე სტუმართა მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ თამაზ ილურიძემ "დილა" გადაარჩინა.

**8.** დავით ჩაგელიშვილის თავური დარტყმა სტუმართა კარს ოდნავ ასცდა.

**18.** ლერი ხოხონიშვილის სახიფათო ფლანგური გარღვევა ილურიძემ განმუხტა.

**28.** ნოდარ ნოზაძის შორეული საჯარიმო დარტყმა კინაღამ გოლით დასრულდა.

**29.** დავით ტლაშაძემ საჯარიმოს მისადგომებიდან გაისროლა - ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს.

**32.** მიქაძე მეტოქის საჯარიმოში ნაქცევისთვის პენალტს ითხოვდა - მსაჯმა სხვაგვარად განსაჯა და "სიმულიანტობისთვის" ყვითელი ბარათით დასაჯა.

**36.** პირველი ტაიმის ყველაზე სახიფათო მომენტი: მიქაძეს ორი პარტნიორი "ეხსნებოდა", მაგრამ მასპინძელთა ფორვარდმა ყველაზე ცუდი გადაწყვეტილება მიიღო და არაზუსტად დაარტყა.

**61.** 1:0 ბარბაქაძემ 35 მეტრიდან ბურთი მეკარისაგან დაუცველ კუთხეში გაგზავნა.

**87.** შეცვლაზე შემოსულ საბა სულთანიშვილს ცოტა დააკლდა, ანგარიში რომ გაეთანაბრებინა.

**89.** გიორგი გულორდავას სახიფათო სოლო-რეიდს პარტნიორებისგან (კირკიტაძე და ალავერდაშვილი) უხეირო გაგრძელება მოჰყვა.

**90+2.** ირაკლი მალიჩავამ ბურთი ცარიელ კარს ააცილა.

# თავის მოტყუება

"ლოკომოტივმა" ჩემპიონატი, მართლაც, "ხმაურით" დაიწყო - ვინ იფიქრებდა, რომ ახალგაზრდა მწვრთნელ-ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტს "ამერს" დაამარცხებდა. მაგრამ მერე სიტუაცია უარესობისკენ შეიცვალა - სასტარტო მატჩში გამარჯვებას ზედიზედ ოთხი წაგება მოჰყვა და "ლოკომოტივიც" სატურნირო ცხრილის ფსკერისკენ დაეშვა. აბსოლუტურად იგივე სიტუაციაში აღმოჩნდა გორის "დილაც" და, მოკლედ, აუტსაიდერთა შეხვედრა გარკვეულ ინტერესსაც იძენდა. თუმცა ინტერესს ვახსენებთ და გულისტკივილით ისიც უნდა ვთქვათ, თუ როგორ შეაქცია ზურგი ქართველმა გულშემატკივარმა ეროვნულ ჩემპიონატს. გავიძახით - ინტრიგამ მოიმატა, მაყურებელიც ესწრება, დონეც გაიზარდაო, ამ დროს კი... 200 კაცამდეც ვერ გროვდება თამაშებზე (სამი-ოთხი სტადიონის გარდა). ეგ კი არა, ნურავის გაუკვირდება, მალე ეს 200 კაციც სანატრელი რომ გაგვიხდეს! ხალხს სანახაობა აინტერესებს, ფეხბურთით დატკბობა უნდა... მაგრამ, როცა მოთამაშე ერთ მეტრში ზუსტ პასს ვერ გააკეთებს, როცა ცარიელ კარს სამი მეტრით აცილებს ბურთს, უკაცრავად და, მათ სანახავად ვინღა მივა?..

... სატურნირო ცხრილის მეზობლების შეხვედრებზე ხშირად უთქვამთ - ექვსქულიანი მატჩი იყოო. აი, ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ კონკრეტულ შეხვედრას ორივე გუნდისათვის. თანაც, მასპინძლები ერთობ მძიმე მდგომარეობაში შეხვდნენ მატჩს - დისკვალიფიკაციისა თუ სხვა მიზეზის გამო "ლოკომოტივი" ძირითადის განახევრებული კი არა, გამეოთხედებული შემადგენლობით ასპარეზობდა. თავად განსაჯეთ: ტრიბუნიდან ადევნებდა თამაშს თვალს მთავარი მწვრთნელი **გიორგი კიკნაძე**, არ იყვნენ **გუშარაშვილი, კვახაძე, სამხარაძე, ულენტი**; და, რაც მთავარია, არ იყო **ლევან ყენია**! ამის გამოც იყო მასპინძლები ექსპერიმენტული შემადგენლობით რომ გამოვიდნენ მოედანზე და ბევრ ფეხბურთელს თავისთვის უჩვეულო პოზიციაზეც მოუწია თამაში.

მატჩი "ლოკომოტივის" უპირატესობით დაიწყო, მაგრამ გამოცდილი **გიორგი მიქაძისა** და თავდასხმაში მისი ახალგაზრდა პარტნიორის **დავით ჩაგელიშვილის** აქტიურობას შედეგი არ მოჰყოლია. თუმცა ნურც "დილას" გამოცდილი მეკარის **თამაზ ილურიძის** საიმედოობას დავივიწყებთ. ტაიმის შუაგულისთვის სტუმრებმა თამაში გაათანაბრეს და ერთწუთიან მონაკვეთში ორჯერ ზედიზედ შორეული დარტყმებით "ლოკომოტივის" მეკარე **დავით გვარამაძეც** შეაწუხეს. ყველაზე რეალური მომენტი მაინც მასპინძლებს ჰქონდათ, როცა მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან "ლოკომოტივის" სამი ფეხბურთელი "დილას" ორი მცველის პირისპირ აღმოჩნდა. სამწუხაროდ, გიორგი მიქაძემ ყველაზე ცუდი ვარიანტი აირჩია და ხელსაყრელ პოზიციებზე მყოფ პარტნიორებისთვის პასის მიცემის ნაცვლად თავად გადაწყვიტა იერიშის დაგვირგვინება - დარტყმა არაზუსტი აღმოჩნდა.

მეორე ტაიმში თამაში სულ ოდნავ გამოცოცხლდა, მაგრამ თვალში საცემი იყო უამრავი ტექნიკური წუნი, კურიოზულზე მეტადაც რომ ჩანდა ტრიბუნიდან. მერე კი ამ შეხვედრის ერთადერთი გოლიც ვიხილეთ - მასპინძელთა ჭაბუკმა ნახევარმცველმა **გაგა ბარბაქაძემ** ლამის მოედნის ცენტრიდან მოხდენილი დარტყმით ეფექტური გოლი გაიტანა. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ილურიძეს სწორი პოზიცია რომ შეერჩია, ბურთს უპრობლემოდ აიღებდა. აი, ეს იყო და ეს, თუ არ ჩავთვლით მატჩის მიწურულს განვითარებულ მოვლენებს. ჯერ იყო და, ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევისას, **საბა სულთანიშვილს** თავისი გუნდისთვის ქულის მოპოვება შეეძლო, მაგრამ მისი "ერთი შეხებით" დარტყმული ბურთი გვარამაძის კარს ზემოდან გადასცდა; მერე კი, უკვე დამატებულ დროში **ირაკლი მალიჩავამ** ცარიელ კარს ვერ დაუმიზნა ბურთი!

დაბოლოს, ამ ულიმღამო მატჩის ერთ-ერთ დადებით მომენტზეც. მასპინძელთა ძირითადში დებიუტი ჰქონდა 17 წლის **არჩილ კობიაშვილს**. გვინდა, რომ წარმატებული კარიერა ჰქონდეს, როგორც მის უფროს ძმას, **ლევან კობიაშვილს**...

**გია ტუხაშვილი**



უშუალო კონკურენტების მატჩს რკინიგზელები უფრო მობილიზებულნი შეხვდნენ

**მესხეთი-სიონი**

**2:2**

23.09. ახალციხე. მ. იაძე
500 მაყურებელი

1:0 ვაშაკიძე (27. საკ. კარში), 1:1 ქარდავა (40), 2:1 აფრიამაშვილი (46. თურმანიძის პასით), 2:2 ქარდავა (62. ქუცურუას პასით)

მესხეთი: სომხიშვილი - ძამსაშვილი, ნადირაშვილი (70. ქობესაშვილი), ჟვანია, ლეკიშვილი - მ.თაყაძე (80. ინასარიძე), ჩხეტიანი, აფრიამაშვილი, გვირჯიშვილი (70. ლონღაძე), თურმანიძე - კაიდარაშვილი

*სათადარიგოები:* ძამუნაშვილი, აკოფიანი, გ.სუდაძე, რ.სუდაძე

სიონი: სტურუა - რაქვიაშვილი, მენთესაშვილი, ბოიომო, ვაშაკიძე - კვიტაიაშვილი (46. ქუცურუა), სანიკიძე, ბაჯელიძე (82. ქურასბედიანი), ნადირაძე, ქუთათელაძე - ქარდავა (71. კვიციანი)

*სათადარიგოები:* იაშვილი, თავბერიძე, გაგუა

გაფრთხილება: ვაშაკიძე (35), ძამსაშვილი (51), თაყაძე (51), ქუცურუა (51)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

**22.** ბოლნისელთა პირველი სახიფათო იერიში: გიორგი სომხიშვილმა ზედიზედ ორი შორეული, ძლიერი დარტყმა მოიგერია.

**27.** 1:0 - პაატა გვირჯიშვილმა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა, ვაშაკიძემ კი თავით სახიფათო მომენტის განმუხტვა სცადა და საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი.

**30.** ძამსაშვილმა შორიდან ძლიერად დაარტყა, სტურუამ უხერხულად მოიგერია, ბურთი კაიდარაშვილისკენ წავიდა, თუმცა რაქვიაშვილმა ბოლო მომენტში ააცალა ის ბომბარდირს.

**40.** 1:1 - ქარდავამ შორიდან მიიღო თანაგუნდელის პასი, გასცდა ნადირაშვილს და ანგარიში გაათანაბრა.

**46.** 2:1 - თურმანიძემ კუთხურიდან მოაწოდა ბურთი, რომელიც აფრიამაშვილმა თავით გადაგზავნა სტურუას კარში.

**62.** 2:2 - ქუცურუას ჩაწოდებულზე ქარდავამ თავით მცველებს დაასწრო და კიდევ ერთხელ გაათანაბრა.

**85.** ჟვანიას თავური ძელს მოხვდა, ჩხეტიანის ახლო მანძილიდან დამატებული კი ასცდა კარს.

# არ არის ჩასემი, არის ქარდავა

ბოლნისელები მატჩის წინ, პირველ ყოვლისა, **ჩასემის** არყოფნაზე სწუხდნენ, მაგრამ ეს დანაკლისი ამ მატჩში **ბესიკ ქარდავამ**, ალბათ, საერთოდ დაავიწყა მათ. მართალია, ეს ფეხბურთელი „სიონის" წამყვანი ფიგურა არ ყოფილა, მაგრამ მოპოვებული ქულა სწორედ მისი დამსახურებაა. ქარდავა მოედანზე უმეტესწილად არ ჩანდა, „გამოჩნდებოდა" და გოლიც გაჰქონდა. არადა, ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მასპინძლები სამი ქულის მოპოვების ღირსნი იყვნენ.

ახალციხელთა კაპიტნის **პაატა გვირჯიშვილის** მეორე წუთზევე ოდნავ არაზუსტად დარტყმულმა ამ შეხვედრაში უამრავი სახიფათო მომენტის ნუსხას დაუდო სათავე. მესხებმა პირველი წუთებიდანვე აამუშავეს მთავარი კოზირი - ფლანგური შეტევები. მარცხნიდან გვირჯიშვილი და მარჯვნიდან **მიხეილ თაყაძე** თავიდანვე „მესხეთის" შეტევის ფრთათა მაკონტროლებლებად მოგვევლინენ. ორივე ეს ფეხბურთელი ერთმანეთის მიყოლებით, ზედიზედ განხორციელებული გარღვევებით მუდმივ წნეხში ამყოფებდა ბოლნისელ მცველებს. **ალექსანდრე კაიდარაშვილს** გამუდმებით ორი ცენტრალური მცველი მეურვეობდა. მცველებმა ამ კონკრეტულ მოთამაშესთან მიმართებაში დაკისრებულ მოვალეობას კარგად გაართვეს თავი, რა დროსაც, ბუნებრივია, გამოთავისუფლებული ფეხბურთელის ხარჯზე უნდა ეხეირა „მესხეთს", მაგრამ მასპინძლებმა უამრავი შანსი გაატანეს ქარს.

მეორე ტაიმში მასპინძელთა მორიგი დაწინაურების შემდგომ, ვიდრე ხელახლა გათანაბრდებოდა ანგარიში, სახიფათო მომენტებმა იკლო და სამაგიეროდ დაძაბულობამ ერთობ იმატა. **კრიჭაშვილმა** გაცხარებული მოთამაშეების ყვითელი ბარათებით დაწყნარება გარკვეულწილად შეძლო, მაგრამ მაყურებელთა საპროტესტო შეძახილების მოსმენა კი ბოლომდე მოუწია. ადგილობრივი გულშემატკივარი ყველაზე უფრო გათანაბრების შემდეგ მოჰყვა არბიტრის კიცხვას. ახალციხელებს უბრალოდ მოპოვებული უპირატესობის (ანაგარიშში სხვაობის) დაკარგვის მონელება უჭირდათ და დაუმსახურებელ ცოდვებსაც მსაჯს ამიტომ მიაწერდნენ.

ჩანს, ჩვენი ქვეყნის სამხრეთი ფეხბურთმა გვარიანად გამოაცოცხლა, ლიდერებში გარეულმა „მესხეთმაც" საკუთარ გულშემატკივარს მადა საწყის ტურებშივე მოუყვანა და ამიერიდან მათგან კიდევ უფრო მეტის მოთხოვნას უნდა ელოდოს. ოღონდ „მესხეთმა" ისეთი სიხშირით თუ გააცუდა საგოლე მომენტები, როგორც თუნდაც ამ შეხვედრაში, მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა ძალიან გაუჭირდება.

**მატჩის შემდეგ**

**გიორგი ყიფშიძე (სიონი):** „ მატჩი მძიმე გამოდგა, ჩვენ გვაკლდნენ ჩასემი, ოქროპორიძე, სვანიძე, მაგრამ ვიბრძოლეთ და ქულა მოვიპოვეთ, თუმცა ცოტა გაგვიმართალა კიდეც."

**ლერი გაბისკირია (მესხეთი):** "ვულოცავ ქულას ბოლნისს, მაგრამ ჩვენ უდავოდ მოგებას ვიმსახურებდით. კმაყოფილები ვართ თამაშით და არა შედეგით. არაუშავს, მომავალში გავიმარჯვებთ".

**რჩეული**

**პაატა გვირჯიშვილი**

**ახალციხელთა მთავარი მამოძრავებელი ძალა და მატჩის გამორჩეული ფიგურა გახლდათ. მეტად ეფექტური იყო განსაკუთრებით პირველ ტაიმში მისი და მიხეილ თაყაძის ფლანგური იერიშები.**

**ვასილ ბალახაძე**
ახალციხიდან

ლეგიონერი

# ჯაბა მუჯირი ნახევარფინალისთვის იაპონიაში გაფრინდა

ირანში სეზონი ისე დაიწყო, ისპაჰანის "სეპაჰანის" **ჯაბა მუჯირს** ჯერ ერთი თამაშიც არ უთამაშია. ისპაჰანელები თვრამეტგუნდა სპარსულ ლიგაში ახლა მესამე ადგილზე არიან და აზიის ჩემპიონთა ლიგაშიც თამაშობენ. ყველაფერ ამაზე გუშინ მუჯირსაც დავეკითხეთ, როცა თეირანის აეროპორტში მყოფს დავურეკეთ.

- სეზონის წინ კუნთი მქონდა დაჭიმული, მერე კი ერთ-ერთ ამხანაგურ მატჩში ფეხის თითის ტრავმა მივიღე. 20 სექტემბერს აზიის ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის პირველი მატჩი გვქონდა იაპონურ "კავასაკ-ფრონტელესთან" და 0:0 ვითამაშეთ, მე კი ამ სეზონში პირველად მოვხვდი სამატჩო განაცხადში. ოთხშაბათს საპასუხო მატჩია იაპონიაში და იქ ახლა მივფრინავთ. სწრაფი ფორვარდები გვყავს და შეგვიძლია მეტოქის კონტრშეტევებზე გამოჭერა. მოკლედ, ნახევარფინალში გასვლის არც თუ ცუდი შანსი გვაქვს. სასტარტოში ისევ არ ვიქნები, შესაძლოა, შეცვლაზე ვითამაშო - გვითხრა მუჯირმა.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ლეგიონის უქმეები

# ასათიანის გადამწყვეტი გასროლა

**ზედიზედ** ორკვირიანი საგოლე შიმშილის შემდეგ ქართველმა ლეგიონერებმა გოლების გემო გაიხსენეს - რუსეთში თავი მალხაზ ასათიანმა და დავით მუჯირმა გამოიჩინეს. სიძლიერით შედარებით დაბალ საფეხურზე მყოფ ლიტვის ჩემპიონატში კი გივი კვარაცხელიამ დუბლი შეასრულა.

### ასათიანის პირველი, მუჯირის მეხუთე

შესაძლოა, **მალხაზ ასათიანის** გოლმა "სპარტაკს" ჩემპიონობა დააკარგვინოს, გუშინ "ლოკომოტივი" "სპარტაკი" ჰოკეის ანგარიშით დასრულდა - 4:3. ბოლო, მეოთხე დამატებულ წუთზე ასათიანმა რკინიგზელებს მოაგებინა, მანამდე კი ყვითელი ბარათი მიიღო. "კრილია სოვეტოვმა" **დავით მუჯირის** გოლის წყალობით არ წააგო "ტომთან" (1:1), თუმცა ქართველმა ეს გოლი პენალტით გაიტანა. ყოფილი კლუბის წინააღმდეგ თამაშით დაბრუნდა **გოგიტა გოგუა**, რომელმაც "სატურნის" შემადგენლობაში 8 წუთი ითამაშა. ორ წუთში ქართველი ლეგიონერი გააფრთხილეს. ნალჩიკელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა **ალექსანდრე ამისულაშვილმა**.

### კახა არ ათამაშეს

**კახა კალაძე** სერია A-ს მორიგი ტურის მატჩს სათადარიგოთა სკამზე შეხვდა, მის ნაცვლად "მილანის" მთავარმა მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ დანიელე ბონერა** გაამწესა დაცვაში. ასე რომ, "მილანმა" შინ რომ ვერ მოუგო "პარმას" (1:1), ქართველ ლეგიონერს ბრალი არ მიუძღვის. ასევე არ უთამაშია **ზურაბ ხიზანიშვილს** "ბლექბერნის" შემადგენლობაში "პორტსმუთთან" 0:1 წაგებულ მატჩში. **შოთა არველაძე** კი კვლავ ტრავმირებულია, მისი "ლევანტე" შინ "ატლეტიკთან" 1:2 დამარცხდა.

### ონიანის უიღბლო დებიუტი

**ლევან კობიაშვილი** ბუნდესლიგის მორიგი ტურის მატჩს დააკლდა ტრავმის გამო, "შალკემ" უმისოდ დაამარცხა "არმინია" 3:0. აი, **ალექსანდრე იაშვილს** კი მოულოდნელად მოუწია მოედანზე გასვლა, "კარლსრუე" "ბაიერნს" მასპინძლობდა. როცა პირველი ტაიმის მიწურულს სამხრეთაფრიკელმა **ბრედლი კარნელმა** ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად მოედანზე ქართველი ფორვარდი შეიყვანეს, იმ დროისთვის მასპინძლები უკვე 0:2-ს აგებდნენ, საბოლოოდ კი "კარლსრუე" 1:4 დამარცხდა. ჩვენს თანამემამულეს თავი არაფრით გამოუჩენია.

"მიუნხენი" 14 ქულით მეორე ბუნდესლიგის ლიდერია, **მათე ღვინიანიძემ** "ზანკტ პაულის" ძლევაში შეუცვლელად მიიღო მონაწილეობა. **დავით სირაძის** "პადერბორნს" ძალზე ცუდად აქვს საქმე, კლუბი შინ 0:2 დამარცხდა "ჰოფენჰაიმთან". ქართველი ფორვარდი სათადარიგო იყო. მისი გუნდი 2 ქულით ბოლოსწინაა და, რაც ყველაზე სამარცხვინოა, ექვსი ტურის შემდეგ გოლი არ გაუტანია. ერთადერთი ვისაც "პადერბორნი" უსწრებს ქართველთა "კარლ ცაისია". **ვალდას ივანაუსკასის** დებიუტი კრახით დასრულდა, "კარლ ცაისმა" სტუმრად 1:5 წააგო "ვეენთან". **ილია კანდელაკმა** 90 წუთი ითამაშა, მეორე ბუნდესლიგაში დებიუტი ჰქონდა **გიორგი ონიანს**, რომელმაც მეორე ტაიმი ითამაშა.

### იაშვილის გოლი კვლავ არ ჩანს

ფეხი დაუცდა **გიორგი შაშიაშვილის** "შტურმს", რომელიც სტუმრად "აუსტრიასთან" 0:1 დამარცხდა, ჩვენებურმა კი ყვითელი ბარათი მიიღო. "შტურმი" 16 ქულით მეექვსე ადგილზეა. რვა ქულით ბოლოსწინა ადგილზეა **სანდრო იაშვილის** "თუნი". ჯერჯერობით ვერც ქართველი ფორვარდი ამართლებს, მის პირველ გოლს შვეიცარიის ჩემპიონატში ისევ ველით.

### საგოლე პასი მორიგ ტურში

უკრაინაში მოთამაშე ქართველ ლეგიონერთაგან ბოლო ტურში ერთადერთი **დავით კვირკველიას** თუ გამოვყოფთ, რომელმაც კუთხურიდან ჩაწოდებით საგოლე პასი მიითვალა (ზედიზედ მეორე ტურში).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



სპარტაკს გამარჯვების გოლი მალხაზ ასათიანმა გაუტანა

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სეზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **იტალია** | | | | |
| სერია A, IV ტური | | | | |
| კახა კალაძე | მილანი-პარმა | 1:1 | სათადარიგო | 3 თ, 0 გ. |
| **ესპანეთი** | | | | |
| პრიმერა, IV ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ლევანტე-ატლეტიკი | 1:2 | ტრავმა | 0 თ, 0 გ. |
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა, VII ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი-პორტსმუთი | 0:1 | არ უთამაშია | 0 თ, 0 გ. |
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა, VI ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე-არმინია | 3:0 | ტრავმა | 2 თ, 1 გ. |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე-ბაიერნი | 1:4 | 46 წთ. (შეცვლაზე) | 5 თ, 0 გ. |
| II ბუნდესლიგა, VI ტური | | | | |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი-ზ. პაული | 2:1 | 90 წთ | 6 თ, 0 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | მაინცი-ფრაიბურგი | 1:1 | არ უთამაშია | 0 თ, 0 გ. |
| დავით სირაძე | პადერბორნი-ჰოფენჰაიმი | 0:2 | სათადარიგო | 4 თ, 0 გ. |
| ილია კანდელაკი | ვეენი-კარლ ცაისი | 5:1 | 90 წუთი | 5 თ, 0 გ. |
| გიორგი ონიანი | ვეენი-კარლ ცაისი | 5:1 | 45 წთ. (შეცვლაზე) | 1 თ, 0 გ. |
| გიორგი სეთურიძე | ვეენი-კარლ ცაისი | 5:1 | ტრავმა | 0 თ, 0 გ. |
| რეგიონალლიგა, VII ტური | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი-მიუნხენი II | 1:4 | 21 წთ. (შეცვლაზე) | 3 თ, 0 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა, IX ტური | | | | |
| დავით კვირკველია | მეტალისტი-მეტალურგი ზ. | 2:1 | 90 წუთი, საგოლე პასი | 10 თ, 0 გ. |
| ირაკლი მოდებაძე | მეტალისტი-მეტალურგი ზ | 2:1 | არ უთამაშია | 0 თ, 0 გ. |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი-მეტალურგი ზ. | 2:1 | სათადარიგო | 1 თ, 0 გ. |
| ვასილ გიგიაძე | ნეფტიანიკი-მეტალურგი დ. | 2:2 | 91 წთ. (შეცვალეს) | 10 თ, 0 გ. |
| ლადო ბურდული | ზარია-ხარკივი | 2:1 | 88 წთ. (შეცვალეს) | 10 თ, 0 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | ზარია-ხარკივი | 2:1 | არ უთამაშია | 0 თ, 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | არსენალი-ჩერნომორეცი | 1:2 | 22 წთ. (შეცვლაზე) | 9 თ, 2 გ. |
| ოთარ მარცვალაძე | ზაკარპატიე-კრივბასი | 2:3 | 90 წუთი | 8 თ, 1 გ. |
| კახა ალადაშვილი | ზაკარპატიე-კრივბასი | 2:3 | 90 წუთი | 4 თ, 0 გ. |
| ჯაბა კანკავა | შახტარი-დნიპრო | 4:1 | 90 წუთი | 8 თ, 0 გ. |
| **ავსტრია** | | | | |
| ბუნდესლიგა, XI ტური | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | აუსტრია-შტურმი | 1:0 | 90 წუთი | 11 თ, 0 გ. |
| II ბუნდესლიგა, IX ტური | | | | |
| მირზა ბულავა | პარნდორფი-აუსტრია ლ. | 0:4 | არ უთამაშია | 3 თ, 0 გ. |
| **დანია** | | | | |
| სუპერლიგა, X ტური | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ოდენსე-ვიბორგი | | დღეს | 4 თ, 0 გ. |
| **შვეიცარია** | | | | |
| სუპერლიგა, IX ტური | | | | |
| სანდრო იაშვილი | თუნი-ლუცერნი | 0:1 | 26 წთ. (შეცვლაზე), გააფრთხ. | 6 თ, 0 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| სუპერლიგა, XXIV ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | სპარტაკი ნ.-სატურნი | 1:3 | 8 წუთი (შეცვლაზე), გააფრთხ. | 11 თ, 0 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი-ზენიტი | 1:4 | არ უთამაშია | 2 თ, -2 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი-ზენიტი | 1:4 | 90 წუთი | 8 თ, 0 გ. |
| დავით მუჯირი | ტომი-კრილია სოვეტოვი | 1:1 | 90 წთ, 1 გოლი | 20 თ, 5 გ. |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი-სპარტაკი | 4:3 | 90 წუთი, 1 გოლი, გააფრთხ. | 11 თ, 1 გ. |
| ალეკო ამისულაშვილი | სპარტაკი ნ.-სატურნი | 1:3 | 90 წუთი | 23 თ, 2 გ. |
| ლევან გვაზავა | ლუჩი-კრილია სოვეტოვი | 0:0 | 10 წთ. (შეცვლაზე) | 18 თ, 0 გ. |

# დღეს აღმასკომია

## ფედერაციასა და კლუბებს შორის მემორანდუმიც გაფორმდება?

დღეს, 24 სექტემბერს, ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მორიგი სხდომა გაიმართება. თავყრილობა ძირითადად უეფას მოთხოვნით ლიცენზირების საკითხებს შეეხება. სხვათა შორის ახალი მოთხოვნები უკვე მომდევნო სეზონიდან ამოქმედდება. მართალია, იქამდე საკმაო დროა, მაგრამ ქართული კლუბები ამ მოთხოვნებს მზად უნდა შეხვდნენ და ფედერაციამაც თადარიგი დაიჭირა. ასე რომ, დღეს აღმასკომზე ქართული კლუბების ხელმძღვანელები იმ მოთხოვნებს გაეცნობიან, რომელთა განხორციელებაც მოუწევთ.

ქართულ კლუბებში ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრების ფეხბურთელებს ნაკლებად უწევთ თამაში. ადრე ამ მწვავე საკითხს ფედერაციის ხელმძღვანელები და ნაკრების მწვრთნელები არაერთხელ შეეხნენ. ისიც ითქვა, რომ სექტემბერში კლუბებსა და ფედერაციას შორის ერთგვარი მემორანდუმი გაფორმდებოდა, ქართული ფეხბურთის ინტერესების სასარგებლოდ. როგორც შევიტყვეთ, დღეს ფედერაციაში ამ მემორანდუმზეც იქნება მსჯელობა. ცნობა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამაც** დაგვიდასტურა:

*"სხდომა უეფას მოთხოვნების შესაბამისად ლიცენზირების ახალი წესების შემოღებას შეეხება. აგრეთვე საუბარი გვექნება კლუბებსა და ფედერაციას შორის მემორანდუმის გაფორმებაზე. ამასთან სხვა საინტერესო საკითხებსაც შევეხებით".*

**დავით ცაბაძე**


CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

## უდინეზე-რეჯინა 2:0

**უდინეზე**: ჰანდაროვიჩი-6, ზაპოტოჩნი-6, კოდა-6, საპატა-6.5, მესტო-6.5, ინლერი-6, გ. დ'აგოსტინო-6, დოსენა-6.5, კვალიარელა-6, ასამოა-6.5 (75. ფლორო ფლორესი-შ.გ), დი ნატალე-8 (84. პეპე-შ.გ).

**რეჯინა**: კამპანიოლო-5, ლანძარო-5.5, სტადსგაარდი-5.5, არონიკა-6, მოდესტო-5.5, ბარეტო-5 (73. ტონიოცი-შ.გ), კაშონე-5.5, ჰალფრედსონი-6, ვიჯანი-5.5 (46. ჟოელსონი-5.5), ტულბერგი-5 (46. კოცა-5.5), ამორუზო-6.

**გოლები**: 1:0 დი ნატალე (5), 2:0 დი ნატალე (62)

**გაფრთხილება**: 1-1; **კუთხური**: 3-5; **ჯარიმა**: 23-15; **თამაშგარე**: 0-3; **კარში დარტყმა**: 18-10 (10-5); **ბურთის ფლობა**: 49%-51%.

**მაყურებელი**: 8 000

## მილანი-პარმა 1:1

**მილანი**: დიდა-6, ოდო-6.5 (80. კაფუ-შ.გ), ნესტა-6, ბონერა-6, იანკულოვსკი-6.5, ბროკი-5.5 (67. ემერსონი-5.5), ამბროზინი-6.5, პირლო-6, ზეედორფი-6.5 (75. ჯილარდინო-შ.გ), კაკა-6, ინძაგი-6.

**პარმა**: პავარინი-6.5, ფალკონე-6, კასტელინი-5.5, დ. ძენონი-6.5, ფერნანდო კოუტუ-6, მორონე-5.5, პარავიჩინი-5.5 (60. ჩიგარინი-6), დესენა-6 (64. მატეინი-შ.გ), პიზანუ-7 (80. კოლი-შ.გ), რეჟინალდო-6.5, კორადი-5.

**გოლები**: 1:0 ზეედორფი (44), 1:1 პიზანუ (73)

**გაფრთხილება**: 1-5; **კუთხური**: 6-4; **ჯარიმა**: 16-24; **თამაშგარე**: 4-5; **კარში დარტყმა**: 23-14 (13-5); **ბურთის ფლობა**: 64%-36%.

**მაყურებელი**: 51 026

## რომა-იუვენტუსი 2:2

**რომა**: ა. დონი-6, კასეტი-6 (28. სისინიო-6), მექსე-6, ჟუანი-6.5, ტონეტო-5.5, დე როსი-6.5, აკვილანი-6.5, ტადეი-5.5 (84. ბრიგი-შ.გ), პეროტა-5.5, მანსინი-6 (62. ჟიული-6), ტოტი-7.

**იუვენტუსი**: ბუფონი-7.5, გრიგერა-5.5, ანდრადე-5.5 (54. ბირინდელი-6), კრიშიტო-5 (45. ლეგროტალიე-6), კიელინი-6.5, კ. ძანეტი-6.5, ნოჩერინო-6, ნედვედი-5, დელ პიერო-6 (74. პალადინო-6), იაკუინტა-7.5, ტრეზეგე-6.

**გოლები**: 0:1 ტრეზეგე (17), 1:1 ტოტი (30), 2:1 ტოტი (36), 2:2 იაკუინტა (88)

*50-ე წუთზე დელ პიერომ ვერ გაიტანა პენალტი (მიზანს მიღმა)*

**გაფრთხილება**: 2-3; **კუთხური**: 6-4; **ჯარიმა**: 20-22; **თამაშგარე**: 12-2; **კარში დარტყმა**: 23-10 (16-5); **ბურთის ფლობა**: 59%-41%.

**მაყურებელი**: 72 658

## ლივორნო-ინტერი 2:2

**ლივორნო**: ამელია-7, კნეჟევიჩი-5.5, პავანი-5.5 (71. რეზაეი-5.5), გალანტე-7, ბალერი-6.5 (69. გრანდონი-5.5), პულცეტი-6.5, ლოვიზო-6.5, დე ვეცე-6.5 (54. ე. ფილიპინი-6), პასკუალე-5.5, ბოგდანი-6.5, დიამანტი-7.

**ინტერი**: ჟულიო სეზარი-7.5, მაიკონი-6.5, კორდობა-5.5, ბურდისო-5, მაქსველი-5.5 (55. ხიმენესი-6), ხ. ძანეტი-6, კამბიასო-6, სეზარი-6, სტანკოვიჩი-5.5, იბრაჰიმოვიჩი-7.5, ადრიანო-6 (68. კრუსი-შ.გ).

**გოლები**: 1:0 დე ვეცე (2), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (35), 2:1 ლოვიზო (62-პენ), 2:2 იბრაჰიმოვიჩი (72-პენ)

**გაძევება**: მაიკონი (78. ინტერი)

**გაფრთხილება**: 4-2; **კუთხური**: 6-2; **ჯარიმა**: 17-19; **თამაშგარე**: 2-2; **კარში დარტყმა**: 16-23 (11-16); **ბურთის ფლობა**: 35%-65%.

**მაყურებელი**: 10 000

## ემპოლი-ნაპოლი 0:0

**ემპოლი**: ბალი-6.5, რაჯი-6, ადანი-6, ვანილი-5.5 (53. მარძორატი-6), ტოსტო-6, ბუშე-6, ჯაკომაცი-6, მორო-6, ჯოვინკო-6 (53. მარკიზიო-6), ვანუკი-5 (75. პოცი-6), საუდატი-6.

**ნაპოლი**: ჯანელო-6.5, კუპი-6, კანავარო-6, დომიცი-6, გრავა-6 (89. კონტინი-შ.გ), ჰამსიკი-5.5 (76. ბოლიაჩინო-შ.გ), გარგანო-5.5, ბლაზი-6.5, სავინი-6, სალაიეტა-5.5, ლავეცი-6.5 (67. კალაიო-6).

**გაფრთხილება**: 4-5; **კუთხური**: 2-2; **ჯარიმა**: 23-16; **თამაშგარე**: 1-3; **კარში დარტყმა**: 12-8 (7-5); **ბურთის ფლობა**: 52%-48%.

**მაყურებელი**: 14 000

## ატალანტა-ლაციო 2:1

**ატალანტა**: ფ. კოპოლა-6.5, რივალტა-6.5, ტალამონტი-7 (67. პელეგრინო-6), კაპელი-6, ბელინი-6 (58. ბელერი-6), პინტუ-6.5, დე აშენტისი-6.5, ტისონე-6, ლანჯელა-7 (73. ს. ინძაგი-შ.გ), კ. დონი-6.5, ძამპანია-7.5.

**ლაციო**: მუსლერა-5, ბეჰრამი-5.5, სტენდარდო-5, კრიბარი-5.5, ძაური-5.5, მუდინგაი-5.5 (68. მუტარელი-6.5), ლედესმა-5.5, მაური-5, მანფრედინი-5, პანდევი-6.5 (70. როკი-5.5), მაკინვა-6 (84. დე სილვესტრი-შ.გ).

**გოლები**: 1:0 ლანჯელა (43), 1:1 მუტარელი (70), 2:1 ძამპანია (93)

**გაფრთხილება**: 5-2; **კუთხური**: 3-7; **ჯარიმა**: 24-17; **თამაშგარე**: 3-8; **კარში დარტყმა**: 10-16 (5-6); **ბურთის ფლობა**: 40%-60%.

**მაყურებელი**: 23 000

## კატანია-ფიორენტინა 0:1

**კატანია**: პოლიტო-6, სარდო-5.5 (82. სილვესტრი-შ.გ), ტერლიცი-5.5, სტოვინი-6, ხ. ვარგასი-7, ბაიოკო-6.5, ედუსეი-5.5 (68. ბაბუ-6), მარტინესი-6.5 (81. საბატო-შ.გ), ჯაკ. ტედესკო-6.5, მასკარა-7, სპინეზი-6.

**ფიორენტინა**: ფრეი-7.5, უიფალუში-6.5, კროლდრუპი-6, დაინელი-6.5, ბალცარეტი-6, კუჟმანოვიჩი-6, მონტოლივო-6 (58. პაციენცა-5.5), დონადელი-6, სანტანა-6 (62. სემიოლი-5.5), პაცინი-5 (68. ვიერი-5.5), მუტუ-6.

**გოლი**: 0:1 მუტუ (4)

**გაძევება**: ბაიოკო (77. კატანია)

**გაფრთხილება**: 4-2; **კუთხური**: 5-4; **ჯარიმა**: 19-29; **თამაშგარე**: 3-1; **კარში დარტყმა**: 12-12 (8-6); **ბურთის ფლობა**: 62%-38%.

**მაყურებელი**: 18 000

## კალიარი-პალერმო 0:1

**კალიარი**: ფორტინი-6.5, ფერი-6, კანინი-6, ბიანკო-6, დელ გროსო-6, ფოჯა-6, კონტი-6.5, პაროლა-6 (78. მარკინი-შ.გ), ა. დ'აგოსტინი-6 (59. ბუდელი-6.5), მატრი-6, ლარივეი-6 (59. აკვაფრესკა-6.5).

**პალერმო**: ა. ფონტანა-6, დიანა-6.5, რინაუდო-6 (78. კასანი-შ.გ), ბარძალი-6, ძაკარდო-7, ბრეშანო-6, მილიაჩო-6, სიმპლისიუ-6, კაზერტა-6 (62. გუანა-6), მიკოლი-6 (68. კავანი-შ.გ), ამაური-6.

**გოლი**: 0:1 ძაკარდო (15)

**გაფრთხილება**: 1-1; **კუთხური**: 5-3; **ჯარიმა**: 12-26; **თამაშგარე**: 1-2; **კარში დარტყმა**: 18-10 (9-7); **ბურთის ფლობა**: 47%-53%.

**მაყურებელი**: 12 000

## ტორინო-სიენა 1:1

**ტორინო**: სერენი-7.5, კომოტო-6, ნატალი-5, დელაფიორე-6.5, ლანა-6 (80. რუბინი-შ.გ), გრელა-6, კორინი-6 (69. პ. ძანეტი-შ.გ), ბარონე-6, როზინა-6, რეკობა-6 (62. მალონგა-შ.გ), ბელანოვიჩი-6.

**სიენა**: ელეფთეროპულოსი-6, როსეტინი-6 (85. ალბერტო-შ.გ), გრიმი-6, პორტანოვა-6.5, ლორია-6.5, ვერგასოლა-6, კოდრეა-5, გალოპა-6, ლოკატელი-6 (63. ბუკი-შ.გ), მაკარონე-6.5 (78. იაროლიმი-შ.გ), დე ჩელიე-6.

**გოლები**: 1:0 დელაფიორე (25), 1:1 მაკარონე (53)

*31-ე წუთზე და 53-ე წუთებზე მაკარონემ ვერ გაიტანა პენალტები (მეკარე)*

**გაძევება**: კოდრეა (78. სიენა)

## სამპდორია-ჯენოა 0:0

**სამპდორია**: მირანტე-6, კამპანიარო-6, სალა-6, გასტალდელო-5.5 (79. ლუკინი-5), კ. ძენონი-6, პალომბო-5.5, ვოლპი-5.5, პიერი-6 (82. ციგლერი-შ.გ), დელვეკიო-6, ბელუჩი-5, მონტელა-5 (76. კასანო-შ.გ).

**ჯენოა**: რუბინიო-6 (68. სკარპი-შ.გ), ბეგა-6, ბოვო-6, ა. ლუკარელი-6, მ. როსი-6.5, მილანეტო-5.5 (50. სკული-5.5), კონკო-5, ფაბიანო-5.5, მ. კოპოლა-6, ბორიელო-6, დი ვაიო-5 (57. ლეონი-6.5).

**გაფრთხილება**: 4-3; **კუთხური**: 5-5; **ჯარიმა**: 29-33; **თამაშგარე**: 5-1; **კარში დარტყმა**: 12-5 (3-1); **ბურთის ფლობა**: 56%-44%.

**მაყურებელი**: 36 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რომა | 4 | 3 | 1 | 0 | 9-2 | 10 |
| 2. ინტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| 3. ატალანტა | 4 | 2 | 2 | 0 | 7-4 | 8 |
| 4. ფიორენტინა | 4 | 2 | 2 | 0 | 7-4 | 8 |
| 5. ნაპოლი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-2 | 7 |
| 6. იუვენტუსი | 4 | 2 | 1 | 1 | 10-6 | 7 |
| 7. პალერმო | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 8. უდინეზე | 4 | 2 | 1 | 1 | 4-6 | 7 |
| 9. მილანი | 4 | 1 | 3 | 0 | 6-3 | 6 |
| 10. სამპდორია | 4 | 1 | 2 | 1 | 2-3 | 5 |
| 11. ტორინო | 4 | 0 | 4 | 0 | 6-6 | 4 |
| 12. კალიარი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-5 | 4 |
| 13. ლაციო | 4 | 0 | 3 | 1 | 3-4 | 3 |
| 14. პარმა | 4 | 0 | 3 | 1 | 4-6 | 3 |
| 15. ჯენოა | 4 | 0 | 3 | 1 | 1-4 | 3 |
| 16. კატანია | 4 | 0 | 2 | 2 | 2-5 | 2 |
| 17. რეჯინა | 4 | 0 | 2 | 2 | 3-7 | 2 |
| 18. სიენა | 4 | 0 | 2 | 2 | 3-7 | 2 |
| 19. ემპოლი | 4 | 0 | 2 | 2 | 1-5 | 2 |
| 20. ლივორნო | 4 | 0 | 2 | 2 | 6-12 | 2 |

**ბომბარდირები**: 5 - ტრეზეგე (იუვენტუსი); 4 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), ტოტი (რომა); 3 - დი ნატალე (უდინეზე), ფოჯა (კალიარი), იაკუინტა (იუვენტუსი), კაკა (მილანი), მუტუ (ფიორენტინა), სალაიეტა (ნაპოლი), ძამპანია (ატალანტა).

## სერია B

### V ტური

**ასკოლი-სპეცია 1:0**

გოლი: 1:0 ჩოფი (42)

**აველინო-ლეჩე 0:2**

გოლები: 0:1 ვალდესი (36-პენ), 0:2 მუნარი (83)

გაძევება: ანჯელო (71. ლეჩე), მაიეტა (90. ასკოლი)

**ბარი-რავენა 4:2**

გოლები: 0:1 სუჩი (9), 1:1 სანტორუვო (34), 2:1 დონდა (36-პენ), 2:2 ალოე (53), 3:2 სტელინი (61), 4:2 ბონანი (63)

გაძევება: ნიკოლა (36. რავენა)

**ბრეშა-მესინა 3:1**

გოლები: 1:0 დალამანო (1), 2:0 დალამანო (36), 2:1 ბიანკოლინო (66), 3:1 ტაკინარდი (70-პენ)

**ჩეზენა-ვიჩენცა 3:3**

გოლები: 1:0 კორტელინი (8), 2:0 ფეუდისი (13), 2:1 სკარდინა (18), 2:2 შვოხი (73), 3:2 მოსკარდელი (80), 3:3 ნასტოსი (87)

გაძევება: მოროზინი (64. ვიჩენცა), სერაფინი (67. ვიჩენცა)

**ფროზინონე-კიევო 1:2**

გოლები: 0:1 სეზარი (40), 1:1 პეკია (42), 1:2 გრეკო (62)

**გროსეტო-რიმინი 2:1**

გოლები: 0:1 მილონე (2), 1:1 კარპარელი (54), 2:1 კარპარელი (58)

გაძევება: კონსონი (90. გროსეტო)

**მანტოვა-პიზა 0:1**

გოლი: 0:1 კასტილიო (43)

**მოდენა-ალბინოლეფე 2:3**

გოლები: 0:1 რუოპოლო (36), 1:1 ლონგო (51), 1:2 ჩელინი (52), 2:2 ბრუნო (57), 2:3 ჩელინი (87)

გაძევება: ბრუნო (58. მოდენა)

**ტრევიზო-პიაჩენცა 1:0**

გოლი: 1:0 ბარეტო (81-პენ)

**ტრიესტინა-ბოლონია 1:3**

გოლები: 0:1 ადაილტონი (32-პენ), 0:2 ადაილტონი (46-პენ), 1:2 გრანოკე (49), 1:3 მარაცინა (58)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრეშა | 5 | 5 | 0 | 0 | 11-1 | 15 |
| 2. ალბინოლეფე | 5 | 4 | 1 | 0 | 11-6 | 13 |
| 3. კიევო | 5 | 3 | 2 | 0 | 7-2 | 11 |
| 4. ლეჩე | 5 | 3 | 2 | 0 | 6-2 | 11 |
| 5. ბოლონია | 5 | 3 | 1 | 1 | 7-3 | 10 |
| 6. პიზა | 5 | 3 | 0 | 2 | 5-6 | 9 |
| 7. მანტოვა | 5 | 2 | 2 | 1 | 6-2 | 8 |
| 8. მოდენა | 5 | 2 | 2 | 1 | 9-6 | 8 |
| 9. ასკოლი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-3 | 8 |
| 10. რიმინი | 5 | 2 | 2 | 1 | 5-4 | 8 |
| 11. ფროზინონე | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 7 |
| 12. ბარი | 5 | 2 | 0 | 3 | 8-7 | 6 |
| 13. ტრევიზო | 5 | 2 | 0 | 3 | 3-4 | 6 |
| 14. ტრიესტინა | 5 | 1 | 2 | 2 | 4-8 | 5 |
| 15. მესინა | 5 | 1 | 2 | 2 | 3-8 | 5 |
| 16. რავენა | 5 | 1 | 1 | 3 | 5-9 | 4 |
| 17. გროსეტო | 5 | 1 | 1 | 3 | 3-7 | 4 |
| 18. ჩეზენა | 5 | 0 | 3 | 2 | 5-7 | 3 |
| 19. ვიჩენცა | 5 | 0 | 3 | 2 | 4-8 | 3 |
| 20. აველინო | 5 | 1 | 0 | 4 | 2-6 | 3 |
| 21. პიაჩენცა | 5 | 1 | 0 | 4 | 3-9 | 3 |
| 22. სპეცია | 5 | 0 | 1 | 4 | 4-9 | 1 |

**ბომბარდირები**: 6 - ჩელინი (ალბინოლეფე); 4 - ადაილტონი (ბოლონია), ლონგო (მოდენა), პოსანცინი (ბრეშა); 3 - კარპარელი (გროსეტო), კასტილიო (პიზა), გრანოკე (ტრიესტინა), ლოდი (ფროზინონე).

## სერია C1/A

### V ტური

პრო პატრია-ფოჯა 0:0; ტერნანა-კრემონეზე 1:2; კავეზე-ვერონა 1:1; ვენეცია-სასუოლო 2:0; ჩიტადელა-ნოვარა 2:1; ფოლინიო-პადოვა 1:1; ლეკომონცა 2:1; მანფრედონია-ლენიანო 1:0; პაგანეზე-პრო სესტო 1:3.

## სერია C1/B

### V ტური

სამბენედეტეზე-სორენტო 1:1; ანკონა-მასეზე 2:1; სანჯოვანეზე-ლუკაზე 1:1; გალიპოლი-პისტოიეზე 1:1; იუვე სტაბია-პესკარა 1:3; მარტინა-კროტონე 1:5; პოტენცა-ლანჩანო 0:0; სალერნიტანა-ტარანტო 3:2; პერუჯა-არეცო დღეს.



რომა-იუვენტუსი. ტოტის წინ გაჰყავს რომა

იტალია. სერია A. IV ტური

# გადამწყვეტი თავები

"მილანმა" ზედიზედ მესამე ფრე ითამაშა და აქედან ორი, საკუთარ მოედანზე. რა თქმა უნდა, ჯერ ადრეა იმის თქმა, რომ "როსონერი" საჩემპიონო მარათონს ჩამორჩა, მაგრამ დროა, **კარლო ანჩელოტიმ** ბიჭებს დაუცაცხანოს. სულ სხვა იყო "მილანი" "ბენფიკასთან" და სულ სხვა შაბათს, "პარმასთან", რომელსაც ცოტა რომ გამართლებოდა, მოიგებდა კიდეც. უკანასკნელ წუთზე, გაქვავებულმა **დიდამ კორადის** თავურს მხოლოდ თვალი გააყოლა...

პირველ ტაიმში "მილანი," ასე თუ ისე, უტევდა, თითქოს მომენტებსაც ქმნიდა, **ინძაგიმ** ძელსაც მოარტყა ბურთი, მაგრამ მეტი სიმწვავე იყო საჭირო. მოგვეჩვენა, რომ კარლეტოს შეგირდები თამაშის ცოტა ზერელედ მიუდგნენ. შეიძლება ისიც ითქვას, რომ **ზეედორფის** მიერ პირველი ტაიმის მიწურულს ლამის კარის ხაზიდან გატანილმა გოლმა "მილანს" ცუდი სამსახური გაუწია. მეორე ნახევარში გუნდმა უფრო მოუკლო სიჩქარეს და სტუმარს ბურთის კონტროლის საშუალებაც კი მისცა. ჰოდა, დაისაჯა კიდეც: 73-ე წუთზე **რეჟინალდომ** ფლანგზე თავგზა აუბნია **ოდოს** და გამოზომილი გადაცემა გაუკეთა **პიზანუს**, რომელმაც ერთი შეხებით ბურთი დიდასგან შორეულ კუთხეში მოათავსა. აი, მერე კი გამოიფხიკეს ყურები მასპინძლებმა, მაგრამ ქაოტურ შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია. ისე, ერთ ეპიზოდში შეიძლებოდა გოლის გატანაც, მაგრამ **ჯილარდინომ** სამიოდ მეტრიდან ბურთი მეკარეს "აჩუქა". ანჩელოტიმ კი ნამატჩევს ეს თქვა:

*"პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მეორეში კი მოვდუნდით და მეტოქეს სივრცე დავუთმეთ. ცხადია, რომ ყველა შეხვედრას მაღალ დონეზე ვერ ჩავატარებთ. სამწუხაროდ, მომენტებში კონცენტრაციას ვკარგავთ და ამისთვის ყოველთვის ვისჯებით. არის პატარა ნიუანსები, რომელიც დროზე უნდა გამოვასწოროთ, თორემ საერთო ჯამში, სულაც არ ვფიქრობ, რომ ცუდად ვითამაშეთ".*

**დი ნატალე** დაფრინავს: დუბლი იტალიის ნაკრებში (უკრაინასთან), გამარჯვების გოლი ტურინში და აი, კიდევ ერთი წყვილი გოლი, ამჯერად "რეჯინის" კარში. მადაზე მოსული ფორვარდის ინდივიდუალიზმთან ერთად, ზოგადად, მის პარტნიორთა გუნდურ მოქმედებასაც უნდა გავუსვათ ხაზი. ორივე გოლი მახვილგონივრულ გადაცემებს მოჰყვა. ჩინებული იყო **ასამოას** ქუსლური, რის შემდეგაც დი ნატალემ, ფაქტობრივად, პირითი ხაზიდან, ბურთი პირდაპირ შორეულ კუთხეში ჩასვა. მეორე ნახევარში **დ'აგოსტინომ** გაუკეთა შესანიშნავი პასი, თავად კი ლამაზად ჩამოილო ბურთი და მეკარის საჯარიმოს კუთხიდან შორეული ძელისკენ დასცხო - 2:0 და "უდინეზეს" პირველი საშინაო გამარჯვება. მწვრთნელ **პასკუალე მარინოს** უდავო დამსახურებაა, რომ მეორე ტურში "ნაპოლისთან" შინ წაგებული 0:5-ის შემდეგ, ფრიულელები დროულად გამოვიდნენ შოკიდან. ახლა, მარინო ელოდება, თუ როდის დაიწყებს გოლების გატანას დიდი ამბით მოყვანილი **კვალიარელა**. "უდინეზეს" საევროპო ამბიციებს ეს ერთიორად გაზრდიდა...

კვირას დიდი იყო რომაული მატჩის მოლოდინი. სეზონის პირველი დიდი ჯახი, "რომა"-"იუვე". თამაშმა მოლოდინი გაამართლა. საინტერესო, დინამიური დაპირისპირება ლოგიკური შედეგით დასრულდა, თუმც გამარჯვება ორივე გუნდს შეეძლო და არც ეს იქნებოდა უსამართლობა. შეეძლო "იუვენტუსს", რომლის კაპიტანმა **დელ პიერომ** მეორე ტაიმის დასაწყისშივე პენალტი ააცილა, შეეძლო "რომას", რომელსაც უხეირო ტურინული დაცვის წყალობით, რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა, მაგრამ ხან **ბუფონი** ვარგოდა, ხან კიდევ ბურთი კარს სცდებოდა. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ "ქალბატონმა" ბრძოლისუნარიანობა დაამტკიცა, "ჯალოროსიმ" კი პირველი ქულები დაკარგა და პირველი გოლებიც გაუშვა...

ანგარიში მე-17 წუთზე გაიხსნა, როცა **იაკუინტას** ჩაწოდებულს **ტრეზეგემ** თავი წაჰკრა და ბურთი ახლო კუთხეში შეაგდო (მე-100 გოლი სერია A-ში). 30-ე წუთზე წონასწორობა **ტოტიმ** აღადგინა. "პუპონემ" ლამაზად ჩამოიცილა დაბნეული **კრიშიტო** და ბუფონს შორეულ კუთხეში აუღელვებლად დაურტყა. ჯიჯი უძლური იყო - 1:1. გავიდა 6 წუთი და ტოტი თავის თანაგუნდელებთან ერთად მეორე გოლს ზეიმობდა. **მანსინის** მიერ ახლოდან დარტყმული ბუფონმა სასწაულით მოიგერია, მაგრამ უკუგდებულ ბურთთან ყველაზე ადრე "რომას" კაპიტანი გაჩნდა და 2:1.

აშკარა იყო, რომ "იუვეს" დაცვა კიდევ არაერთ შეცდომას დაუშვებდა და **კლაუდიო რანიერიმ** კრიშიტოს ნაცვლად გამოცდილი **ლეგროტალიე** შეუშვა მოედანზე. თითქოს სიტუაცია გამოსწორდა, მაგრამ მეორე ნახევარში სწორედ ლეგროტალიე იყო დამნაშავე **პეროტას** ეპიზოდში, როცა ეს უკანასკნელი აბსოლუტურად დაუცველი სიტუაციიდან ურტყამდა. "იუვენტუსს" კიდევ ერთი მინუსი ჰქონდა. ძალიან ცუდად ითამაშა **ნედვედმა**, თუ არ ჩავთვლით იმ იშვიათ მომენტს, როცა მისი წყალობით ტურინელებმა პენალტის უფლება მოიპოვეს. სხვა მხრივ, ჩეხი ვეტერანი აბსოლუტური ნული იყო...

მაგრამ სტუმრებმა მაინც შეძლეს გათანაბრება. 88-ე წუთზე **კიელინიმ** გრძელი "აუტი" მოაწოდა და იაკუინტამ თავურით ბურთი კარში გადაგზავნა - 2:2. ლამაზი ეპიზოდი იყო, როცა საფინალო სასტვენის შემდეგ იაკუინტა **ლუჩანო სპალეტისთან** მიიჭრა და ყოფილ მწვრთნელს გადაეხვია...

მე-2 წუთზე **კორდობამ** ბურთი **დე ვეცეს** ჩააბარა და "ლივორნო" "ინტერთან" შეხვედრაში დაწინაურდა. "ფენერბაჰჩესთან" წაგების შემდეგ "ნერაძურის" ტიფოზების თვალში რეაბილიტაცია სჭირდებოდა, მაგრამ ტოსკანური კლუბი მაგრად იდგა და მოგებაც შეეძლო, ხოლო ასე რომ არ მოხდა, **იბრაჰიმოვიჩის** პირადი დამსახურებაა. "ლივორნო" ნელ-ნელა გონზე მოდის, ჩემპიონი კი საჩემპიონო თამაშისგან ძალიან შორსაა. სხვათა შორის, ლივორნოელთა დამრიგებელი **ფერნანდო ორსი რობერტო მანჩინის** ყოფილი ასისტენტია...

გადამწყვეტი იყო თავური კატანიაშიც, სადაც **მუტუს** მიერ დასაწყისშივე გატანილმა გოლმა 3 ქულა "ფიორენტინას" არგუნა. აღვნიშნოთ, რომ ფლორენციელთა გამარჯვებაში მეკარე **ფრეისაც** მიუძღვის დიდი წვლილი. ერთი გოლი ეყო "პალერმოსაც" კალიარიში გასამარჯვებლად. ბერგამოს დრამას კი მსაჯის მიერ დამატებული დროის მე-3 წუთზე წერტილი **ძამპანიამ** დაუსვა. ასე რომ, "ლაციოს" ჯერაც მოგება არ აქვს. მეკარე იყო მთავარი პერსონაჟი "ტორინო"-"სიენის" მატჩშიც. მასპინძელთა მეციხოვნე **სერენიმ მაკარონეს** ორი პენალტი აუღო, თუმც მეორე შემთხვევაში ფორვარდმა უკუგდებულ ბურთს მიუსწრო და 1:1 გახადა. არცთუ უინტერესო გამოდგა თამაში ემპოლიში, სადაც ადგილობრივი გუნდი "ნაპოლის" უგოლოდ დაუზავდა.

### მომდევნო ტური

26 სექტემბერი: **კატანია-ემპოლი, ფიორენტინა-რომა, ჯენოა-უდინეზე, ინტერი-სამპდორია, იუვენტუსი-რეჯინა, ლაციო-კალიარი, ნაპოლი-ლივორნო, პალერმო-მილანი, პარმა-ტორინო, სიენა-ატალანტა.**

## ჰოლანდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

### V ტური

## ვენლო-ბრედა 1:3

**გოლები**: 0:1 ლურლინგი (1), 0:2 ცვანსიიკი (68), 1:2 ლინსენი (82), 1:3 დე გრააფი (88-პენ)

## ვილემი-როდა 1:0

**გოლი**: 1:0 კარგბო (45)

## სპარტა-ჰერაკლესი 1:1

**გოლები**: 1:0 ბუხარი (32), 1:1 და სილვა (63)

## ვიტესი-გრააფსხაპი 0:2

**გოლები**: 0:1 ფრანკელი (68), 0:2 პაუელი (90)

## ალკმაარი-აიაქსი 2:3

**გოლები**: 0:1 ჰუნტელაარი (33), 0:2 სუარესი (44), 1:2 დე ზეუვი (45), 1:3 სუარესი (65), 2:,3 დემბელე (90)

## ექსელსიორი-გრონინგენი 1:3

**გოლები**: 1:0 დენ ოუდენი (40), 1:1 ნევლანდი (45), 1:2 ბერგი (55), 1:3 ლევჩენკო (63-პენ)

## ტვენტე-ნიიმეგენი 3:0

**გოლები**: 1:0 ვიელაერტი (9), 2:0 ნ'კუფო (13), 3:0 ვილკშირი (57)

## ეინდჰოვენი-ფეიენოორდი 4:0

**გოლები**: 1:0 პერესი (35), 2:0 მენდესი (39), 3:0 პერესი (44), 4:0 კოვერმანსი (88)

## ჰერენვეენი-უტრეხტი 2:3

**გოლები**: 0:1 ნელისე (2), 1:1 ბრედლი (50), 1:2 ნელისე (83), 2:2 სულეიმანი (85), 2:3 როსინი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აიაქსი | 5 | 4 | 1 | 0 | 18-6 | 13 |
| 2. ეინდჰოვენი | 5 | 4 | 1 | 0 | 12-0 | 13 |
| 3. ფეიენოორდი | 5 | 4 | 0 | 1 | 13-5 | 12 |
| 4. ტვენტე | 5 | 3 | 2 | 0 | 10-3 | 11 |
| 5. გრააფსხაპი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-12 | 10 |
| 6. ვიტესი | 5 | 3 | 0 | 2 | 4-4 | 9 |
| 7. ბრედა | 5 | 3 | 0 | 2 | 8-10 | 9 |
| 8. უტრეხტი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-9 | 8 |
| 9. ალმაარი | 5 | 2 | 1 | 2 | 11-6 | 7 |
| 10. გრონინგენი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 7 |
| 11. როდა | 5 | 2 | 1 | 2 | 9-9 | 7 |
| 12. ჰერენვეენი | 5 | 1 | 2 | 2 | 11-12 | 5 |
| 13. ვილემი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |
| 14. სპარტა | 5 | 0 | 4 | 1 | 9-10 | 4 |
| 15. ვენლო | 5 | 1 | 0 | 4 | 9-16 | 3 |
| 16. ჰერაკლესი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-10 | 1 |
| 17. ნიიმეგენი | 5 | 0 | 1 | 4 | 1-11 | 1 |
| 18. ექსელსიორი | 5 | 0 | 0 | 5 | 4-16 | 0 |

**ბომბარდირები**: 7 - ჰუნტელაარი (აიაქსი); 6 - სუარესი (აიაქსი); 5 - ნ'კუფო (ტვენტე), დე გროოტი (გრააფსხაპი); 4 - დენ ოუდენი (ექსელსიორი), მაკაი (ფეიენოორდი); 3 - სიბონი (ჰერენვეენი), დე გუსმანი (ფეიენოორდი).

## II დივიზიონი

### IX ტური

**კამბური-ეინდჰოვენი II 1:1; დენ ჰააგი-იგლზი 1:2; დენ ბოში-ემენი 1:1; დორდრეჰტი-ვაალვიკი 0:1; ვოლენდამი-ჰაარლემი 1:0; ცვოლე-ტოპ ოსი 1:0; ფორტუნა-ომნივორლდი 3:1; ჰელმონდი-ტელსტარი 2:1; როსენდალი-მაასტრიხტი 1:2; ვეენდამი-აპელდოორნი 5:1.**

## პორტუგალია

### V ტური

## ნავალი-გიმარაეში 1:4

**გოლები**: 1:0 პაულაო (13), 1:1 ფ. მეირელესი (31), 1:2 ფახარდო (33), 1:3 მრდაკოვიჩი (49), 1:4 გილასი (77)

## ლეიქსოეში-ნასიონალი 1:1

**გოლები**: 0:1 ლიპატინი (15), 1:1 დიოგო (79)

## ბრაგა-ბენფიკა 0:0

## მარიტიმუ-ბელენენსეში 2:0

**გოლები**: 1:0 ე. კანუ (26), 2:0 მაკუკულა (90)

## ფერეირა-პორტუ 0:2

**გოლები**: 0:1 ლ. ლოპესი (11), 0:2 ლ. ლოპესი (67)

## ლეირია-ამადორა 0:0

## სპორტინგი-სეტუბალი 2:2

**გოლები**: 0:1 ელიაში (41), 1:1 მუტინიო (65-პენ), 1:2 მატეუსი (78), 2:2 პუროვიჩი (86)

## ბოავიშტა-აკადემიკა დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 5 | 5 | 0 | 0 | 9-1 | 15 |
| 2. მარიტიმუ | 5 | 4 | 0 | 1 | 9-2 | 12 |
| 3. სპორტინგი | 5 | 3 | 1 | 1 | 9-4 | 10 |
| 4. ბენფიკა | 5 | 2 | 3 | 0 | 7-1 | 9 |
| 5. გიმარაეში | 5 | 2 | 3 | 0 | 8-4 | 9 |
| 6. სეტუბალი | 5 | 1 | 4 | 0 | 7-5 | 7 |
| 7. ბრაგა | 5 | 2 | 1 | 2 | 6-6 | 7 |
| 8. ლეიქსოეში | 5 | 0 | 5 | 0 | 5-5 | 5 |
| 9. ამადორა | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 |
| 10. ბელენენსეში | 5 | 1 | 1 | 3 | 3-7 | 4 |
| 11. აკადემიკა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 4 |
| 12. ბოავიშტა | 4 | 0 | 3 | 1 | 1-3 | 3 |
| 13. ნასიონალი | 5 | 0 | 3 | 2 | 2-6 | 3 |
| 14. ლეირია | 5 | 0 | 3 | 2 | 2-6 | 3 |
| 15. ფერეირა | 5 | 0 | 2 | 3 | 3-7 | 2 |
| 16. ნავალი | 5 | 0 | 2 | 3 | 3-11 | 2 |

**ბომბარდირები**: 4 - მაკუკულა (მარიტიმუ), ლისანდრო ლოპესი (პორტუ), ფახარდო (გიმარაეში); 3 - ლიედსონი (სპორტინგი), მატეუსი (სეტუბალი), კანუ (მარიტიმუ); 2 - კუარეშმა (პორტუ), სეკტიუი (პორტუ), პეიშოტო (ბრაგა), პაულაო (ნავალი), ლიპატინი (ნასიონალი), ჟოაო პაულო (ლეირია), რუი კოშტა (ბენფიკა), კარდოსო (ბენფიკა).

## II დივიზიონი

### V ტური

**ოლანენსე-ბეირა მარი 0:0; პენაფიელი-ეშტორილი 1:2; სანტა კლარა-პორტიმონენსე 2:1; ვიზელა-რიუ ავე 2:0; ავეში-ვარზიმი 2:1; ფატიმა-გონდომარი 3:2; ფრეამუნდე-ტროფენსე 0:2; ჟილ ვისენტე-ფეირენსე 1:0.**

**ბოხუმი-აინტრახტი 0:0**

**ბოხუმი**: ლასტუვკა-3.5, კონჩა-3, მალტრიტცი-3.5, იაია-3, პ. ბიონიგი-3.5, დაბროვსკი-4, ცდებელი-4, სესტაკი-3.5 (58. მიჩიელი-4), დ. ფუხსი-3 (86. გროტე), ეპალე-4.5, ბეხმანი-3.5 (74. ო. შრიოდერი).

**აინტრახტი**: პრიოლი-3.5 (46. ნიკოლოვი-3.5), მაჰდავიკია-4, რუსი-3, კირიაკოსი-3.5, შპიხერი-3.5, ინამოტო-4.5, მ. ფინკი-3.5, ა. შტრაიტი-3, ა. მაიერი-4, ვაისენბერგერი-3.5 (46. ტაკაჰარა-4), ამანატიდისი-3.

**გაფრთხილება**: 1-2; **დარტყმა**: 20-8; **კუთხური**: 9-2; **ჯარიმა**: 21-17; **ბურთის ფლობა**: 58%-42%.

**მაყურებელი**: 21 000.

**შალკე-არმინია 3:0**

**შალკე**: ნოიერი-3, რაფინია-2.5, ვესტერმანი-2.5, ბორდონი-3, პანდერი-2.5 (68. როდრიგესი-3.5), ფ. ერნსტი-3.5, ჯონსი-2.5, ბაირამოვიჩი-2, რაკიტიჩი-4, კურანი-2 (75. ჰალილ ალთინთოფი), ასამოა-2 (75. ლოვენკრანდსი).

**არმინია**: ჰაინი-2.5, შულერი-4.5, მიატოვიჩი-5, ლანგკამპი-5, რაუ-4, კუჩერა-5, მასმანიდისი-4 (61. კამპერი-4), კაუფი-4, ბიომე-4 (79. ნკოსი), აიგლერი-5, ვიხნიარეკი-5 (61. კამპანტაისი-4.5).

**გოლები**: 1:0 კურანი (24), 2:0 ასამოა (54), 3:0 რაფინია (65-პენ).

**გაფრთხილება**: 0-2; **დარტყმა**: 32-2; **კუთხური**: 13-1; **ჯარიმა**: 14-13; **ბურთის ფლობა**: 59%-41%.

**მაყურებელი**: 61 482.

**ვერდერი-შტუტგარტი 4:1**

**ვერდერი**: ვიზე-4, პასანენი-4, მერტეზაკერი-2.5, ნალდო-3, ტოშიჩი-4, ბაუმანი-3.5, ვრანიეში-3.5, დ. იენსენი-2, დიეგო-1.5, სანოგო-3 (84. ჰარნიკი), უგო ალმეიდა-1.5 (37. როზენბერგი-4).

**შტუტგარტი**: რ. შეფერი-4, ოსორიო-5 (46. ფარნერუდი-3), ტასკი-5, მეირა-5, მანინი-4.5, პარდო-5 (54. ა. და სილვა-4), ჰილბერტი-3.5, ხედირა-3.5, ბაშტურქი-5 (71. მარიკა), გომესი-3, კაკაუ-3.5.

**გოლები**: 1:0 უგო ალმეიდა (3), 2:0 უგო ალმეიდა (4), 2:1 გომესი (13), 3:1 სანოგო (15), 4:1 დიეგო (89).

**გაფრთხილება**: 1-4; **დარტყმა**: 21-12; **კუთხური**: 2-3; **ჯარიმა**: 8-22; **ბურთის ფლობა**: 52%-48%.

**მაყურებელი**: 39 282.

**ჰამბურგი-ნიურნბერგი 1:0**

**ჰამბურგი**: ფ. როსტი-3, ბრეკო-4, ბ. რაინჰარდტი-3.5, მატიისენი-2.5, ჯ. ბოატენგი-4, იაროლიმი-2, დე იონგი-3, კასტელენი-3.5 (75. ტროხოვსკი), ვან დერ ვაარტი-2.5, ოლიჩი-2.5 (89. ო. ადო), გერერო-3.5 (50. ჩუპო-მოტინგი-3).

**ნიურნბერგი**: ბლაჟეკი-2.5, დ. რაინჰარდტი-3, ა. ვოლფი-2.5, სპირანოვიჩი-4.5, პინოლა-3.5, გალაშეკი-3.5, მნარი-4 (58. ნ. ადლერი-3.5), კრისტიანსენი-3.5 (84. ბენკო), მინტალი-4 (40. ენგელჰარდტი-4), მიშიმოვიჩი-4, ხარისტეასი-4.5.

**გოლი**: 1:0 ვან დერ ვაარტი (53).

**გაფრთხილება**: 1-1; **დარტყმა**: 19-14; **კუთხური**: 10-2; **ჯარიმა**: 19-15; **ბურთის ფლობა**: 52%-48%.

**მაყურებელი**: 52 365.

**ჰერტა-ბორუსია 3:2**

**ჰერტა**: დრობნი-3.5, ჩაჰედი-3.5, ა. ფრიდრიხი-3, შიმუნიჩი-3.5, ფათი-3, დარდაი-3.5, ჟილბერტო-2, ებერტი-3 (87. მინეირო), ლუსიო კარლოსი-2.5 (75. ფონ ბერგენი), პანტელიჩი-1.5, ლიმა-4 (73. ოკორონკვო).

**ბორუსია**: ვაიდენფელერი-3.5, კრინგე-3.5, ბრჟენსკა-4.5, ვიორნსი-5, დედე-4, კრუსკა-4, ბლაშჩიკოვსკი-3 (91. ამედიკი), ტინგა-4, ფედერიკო-4.5 (58. ბაკლი-2.5), კლიმოვიჩი-3.5 (71. ვალდესი), პეტრიჩი-2.

**გოლები**: 0:1 პეტრიჩი (31), 1:1 პანტელიჩი (43), 2:1 ლუსიო კარლოსი (54), 3:1 ოკორონკვო (76), 3:2 პეტრიჩი (88).

**გაფრთხილება**: 3-1; **დარტყმა**: 21-23; **კუთხური**: 7-4; **ჯარიმა**: 15-19; **ბურთის ფლობა**: 50%-50%.

**მაყურებელი**: 52 237.

**კოტბუსი-ვოლფსბურგი 1:2**

**კოტბუსი**: პიპლიცა-3, ვ. და სილვა-4, მიტრესკი-4, კუკიელკა-4, კვიტანოვიჩი-4.5 (70. ციბიგი), ტ. როსტი-4.5, სკელა-4, ალონეფტისი-4 (84. ბაუმგარტი), ს. ანგელოვი-4, დ. სიორენსენი-3, რანგელოვი-3.5 (67. შაო-3).

**ვოლფსბურგი**: იენტცში-2.5, რიტერი-3.5, შიმუნეკი-4, კიროგა-3.5, მ. შეფერი-4 (64. დეჟაგა-4), ჟოსუე-4, ტიამი-4, ბაიერი-3.5, მარსელინიო-3.5 (87. მუნტეანუ), კრჟინოვეკი-3, ჯეკო-3 (76. რადუ).

**გოლები**: 0:1 ჯეკო (22), 1:1 დ. სიორენსენი (31), 1:2 კრჟინოვეკი (83).

**გაფრთხილება**: 2-0; **დარტყმა**: 15-8; **კუთხური**: 9-5; **ჯარიმა**: 11-16; **ბურთის ფლობა**: 55%-45%.

**მაყურებელი**: 15 269.

**ჰანზა-დუისბურგი 2:0**

**ჰანზა**: ვეხტერი-3, ლანგენი-3, სებასტიანი-3, ორესტესი-3, მ. შტაინი-3.5, ბიულოვი-3.5, რათგები-3.5, კერნი-2.5, რანი-3 (90. დიეგო მორაიში), აგალი-3 (73. მენგა), ჰენგე-2.5 (87. დორნი).

**დუისბურგი**: შტარკე-2.5, ლამეი-4.5 (35. ვილი-4), ფერნანდო-4.5, შლიკე-5, კასერესი-4.5, გრლიჩი-4, ტარარაჩე-4 (58. დაუნი-4), იდრისუ-4.5 (58. მაიკონი-3.5), გეორგიევი-4, იშიაკუ-5, ლავრიჩი-5.

**გოლები**: 1:0 ჰენგე (34), 2:0 კერნი (53-პენ).

**გაფრთხილება**: 1-5; **დარტყმა**: 17-19; **კუთხური**: 1-4; **ჯარიმა**: 28-24; **ბურთის ფლობა**: 45%-55%.

**მაყურებელი**: 15 000.

**კარლსრუე-ბაიერნი 1:4**

**კარლსრუე**: მ. მილერი-4, გიორლიტცი-3 (62. კაპლანი-3.5), ეგიმანი-4, ფრანცი-4.5, აიხნერი-4, პორცელო-3.5, მუტცელი-4, ტიმი-4, ჰაინალი-3.5, კარნელი-3.5 (44. იაშვილი-3.5), ფრაისი-4.5 (79. შტაფელდტი).

**ბაიერნი**: კანი-3.5, ლელი-4, ლუსიო-3, დემიკელისი-3.5, იანსენი-3, ვან ბომელი-3.5 (46. ზე რობერტო-3), ოტლი-3.5, ჰამით ალთინთოფი-2, რიბერი-3.5 (78. შვაინშტაიგერი), კლოზე-2, ტონი-2 (67. პოდოლსკი-3.5).

**გოლები**: 0:1 ტონი (5), 0:2 კლოზე (20), 0:3 ჰამით ალთინთოფი (49), 1:3 პორცელო (52), 1:4 ზე რობერტო (75).

**გაფრთხილება**: 2-0; **დარტყმა**: 15-14; **კუთხური**: 7-3; **ჯარიმა**: 17-15; **ბურთის ფლობა**: 49%-51%.

**მაყურებელი**: 30 702.

**ჰანოვერი-ლევერკუზენი 0:3**

**ჰანოვერი**: ენკე-4.5, ჩერუნდოლო-4.5, კლაინე-4, ფარენჰორსტი-4.5, ვინიციუსი-5, ბალიტში-5, ლალა-4.5 (65. ჰაშემიანი-5), როზენტალი-4 (81. იანკოვი), შტაინერი-5 (46. ლაუთი-4), ჰუშტი-4.5, ჰანკე-4.

**ლევერკუზენი**: რ. ადლერი-3.5, კასტრო-3.5, ჰაგი-3, მ. ფრიდრიხი-3, შარპეი-3, ვიდალი-1.5, როლფესი-3.5, ბარბარესი-2.5, ბარნეტა-2.5 (87. სინკიევიჩი), კისლინგი-2.5 (79. გრეშკო), გეკასი-2.5 (84. პაპადოპულოსი).

**გოლები**: 0:1 კისლინგი (50), 0:2 ვიდალი (68), 0:3 გეკასი (74-პენ).

**გაფრთხილება**: 1-0; **დარტყმა**: 10-15; **კუთხური**: 3-5; **ჯარიმა**: 15-20; **ბურთის ფლობა**: 53%-47%.

**მაყურებელი**: 32 000.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 6 | 4 | 2 | 0 | 16-3 | 14 |
| 2. ჰერტა | 6 | 4 | 0 | 2 | 10-8 | 12 |
| 3. ლევერკუზენი | 6 | 3 | 2 | 1 | 9-2 | 11 |
| 4. აინტრახტი | 6 | 3 | 2 | 1 | 7-5 | 11 |
| 5. შალკე | 6 | 2 | 4 | 0 | 12-6 | 10 |
| 6. ჰამბურგი | 6 | 3 | 1 | 2 | 6-5 | 10 |
| 7. არმინია | 6 | 3 | 1 | 2 | 11-11 | 10 |
| 8. ვერდერი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-11 | 10 |
| 9. ბორუსია | 6 | 3 | 0 | 3 | 11-10 | 9 |
| 10. კარლსრუე | 6 | 3 | 0 | 3 | 7-10 | 9 |
| 11. ბოხუმი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-9 | 8 |
| 12. ვოლფსბურგი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-10 | 7 |
| 13. შტუტგარტი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-10 | 7 |
| 14. ჰანოვერი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-12 | 7 |
| 15. დუისბურგი | 6 | 2 | 0 | 4 | 8-9 | 6 |
| 16. ნიურნბერგი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-8 | 5 |
| 17. ჰანზა | 6 | 1 | 0 | 5 | 5-11 | 3 |
| 18. კოტბუსი | 6 | 0 | 2 | 4 | 3-11 | 2 |

**ბომბარდირები**: 5 - კლოზე (ბაიერნი); 4 - იშიაკუ (დუისბურგი), ვიხნიარეკი (არმინია), ა. მაიერი (აინტრახტი), ბეხმანი (ბოხუმი), ჰანკე (ჰანოვერი), ტონი (ბაიერნი), პანტელიჩი (ჰერტა), ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი), პეტრიჩი (დორტმუნდი).

## II ბუნდესლიგა

VI ტური

**ფიურტი-ალემანია 2:0**

გოლები: 1:0 ნერიგი (36), 2:0 ლანიგი (69)

**ბორუსია (მ)-აუგსბურგი 4:2**

გოლები: 1:0 ნოივილი (43), 2:0 ნოივილი (51), 2:1 დრესლერი 53), 3:1 ფრინდი (60), 3:2 დიაბანგი (71), 4:2 რაფაელი (86)

**მიუნხენი-სტ. პაული 2:1**

გოლები: 1:0 დი სალვო (13), 2:0 გიოქთანი (29), 2:1 ბრაუნი (33)

**ოსნაბრიუკი-აუე 2:1**

გოლები: 1:0 ჰიდრიხი (32), 2:0 რაიხენბერგერი (68), 2:1 ნემეცი (80)

**პადერბორნი-ჰოფენჰაიმი 0:2**

გოლები: 0:1 იაისლი (26), 0:2 კოპადო (45)

**ფრაიბურგი-კაიზერი 1:0**

გოლი: 1:0 კრმასი (78)

**ოფენბახი-მაინცი 2:0**

გოლები: 1:0 ტურკერი (41), 2:0 იუდტი (73)

**კობლენცი-კიოლნი 1:2**

გოლები: 1:0 ძაკა (31), 1:1 ნოვაკოვიჩი (37), 1:2 ნოვაკოვიჩი (71)

**ვეენი-კარლ ცაისი 5:1**

გოლები: 1:0 დიაკიტე (10), 2:0 დიაკიტე (11), 3:0 ზიგერტი (21), 4:0 ნიკუ (41), 5:0 ნიკუ (73), 5:1 სიმაკი (82-პენ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მიუნხენი | 6 | 4 | 2 | 0 | 15-5 | 14 |
| 2. ფიურტი | 6 | 4 | 2 | 0 | 9-2 | 14 |
| 3. ოფენბახი | 6 | 4 | 0 | 2 | 9-9 | 12 |
| 4. კიოლნი | 6 | 3 | 2 | 1 | 9-6 | 11 |
| 5. ფრაიბურგი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-6 | 11 |
| 6. ბორუსია (მ) | 6 | 3 | 2 | 1 | 11-10 | 11 |
| 7. მაინცი | 6 | 3 | 1 | 2 | 11-9 | 10 |
| 8. ვეენი | 6 | 3 | 1 | 2 | 13-12 | 10 |
| 9. სტ. პაული | 6 | 3 | 0 | 3 | 7-7 | 9 |
| 10. ალემანია | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 8 |
| 11. ოსნაბრიუკი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-8 | 8 |
| 12. აუე | 6 | 2 | 1 | 3 | 10-9 | 7 |
| 13. ჰოფენჰაიმი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-10 | 7 |
| 14. კობლენცი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-11 | 7 |
| 15. აუგსბურგი | 6 | 1 | 1 | 4 | 11-15 | 4 |
| 16. კაიზერი | 6 | 0 | 3 | 3 | 4-8 | 3 |
| 17. პადერბორნი | 6 | 0 | 2 | 4 | 0-6 | 2 |
| 18. კარლ ცაისი | 6 | 0 | 1 | 5 | 8-16 | 1 |

**ბომბარდირები**: 5 - ნოვაკოვიჩი (კიოლნი), დი სალვო (მიუნხენი); 4 - ფოილნერი (მაინცი), ჰდიუადი (აუგსბურგი), გიუნკელი (მაინცი), ნოივილი (ბორუსია), ნიკუ (ვეენი).

## რეგიონალლიგა (ჩრ)

X ტური

ალენი-მაგდებურგი 3:1; ბაბელსბერგი-ვერდერი II 1:2; დორტმუნდი II-ფერლი 1:0; ბრაუნშვაიგი-კოტბუსი II 5:0; ფორტუნა-ლიუბეკი 0:1; ემდენი-დინამო (დრ) 2:1; ერფურტი-ვუპერტალი 5:1; უნიონი-ესენი 2:2; ვოლფსბურგი II-ჰამბურგი II 2:2.

## რეგიონალლიგა (სამ)

IX ტური

შტუტგარტი II-ზიგენი 2:2; ბაიერნი II-პფიულენდორფი 2:1; როიტლინგენი-მიუნხენი 1:4; ბურგჰაუზენი-უნტერჰახინგი 2:0; ოგერშაიმი-შტ. კიკერსი 1:2; კასელი-რეგენსბურგი 4:0; კარლსრუე II-ინგოლშტადტი 1:1; ზანდჰაუზენი-ელვერსბერგი 1:2; ალენი-ფრანქფურტი 1:0.

გერმანია. ბუნდესლიგა. VI ტური

# ბაიერნის მკაცრი და ლამაზი ტონი

## მეექვსე ტურმა პირველი მწვრთნელი შეიწირა

ორტურიანი შესვენების შემდეგ (ფრეები "ჰამბურგთან" და "შალკესთან"), "ბაიერნმა" ისევ იფრინა. გუშინ მიუნხენელებმა **ოლივერ კანის** მშობლიური "კარლსრუე" მისსავე "ვილდპარკშტადიონზე"4:1 გაანადგურეს. **ოტმარ ჰიტცფელდის** გუნდმა ბადენელთა გვემა მე-5 წუთზე, **ლუკა ტონის** ულამაზესი გოლით დაიწყო - იტალიელმა **მარკ ვან ბომელის** პასით ისარგებლა, KSC-ს მცველები პირშიჩალაგამოვლებული დატოვა და მეკარე **მილერს** ბურთი თავს ზემოთ მოხდენილად გადაატარა. ტონის, ჩვეულებისამებრ, არც **მირო კლოზე** ჩამორჩა, მე-3 და მე-4 გოლები კი **ჰამით ალთინთოფმა** და **ზე რობერტომ** გაიტანეს. ერთადერთი, რაც **ალექსანდრე იაშვილის** გუნდმა მოახერხა, **პორცელოს** კინკილა გოლი გახლდათ. გუშინვე, "ლევერკუზენმა" "ჰანოვერში" იბატონა (3:0) და მე-3 ადგილზე წამოსკუპდა.

შაბათის შეხვედრებიდან, ყველაზე საინტერესო და დაძაბული, როგორც მოსალოდნელი იყო, "ვერდერისა" და "შტუტგარტის" ჯახი გამოდგა. ბრემენელებმა მოქმედი ჩემპიონი გააცამტვერეს და მერე როგორ?! 15 წუთის შემდეგ ანგარიში უკვე 3:1 გახლდათ. მე-3 და მე-4 წუთებზე, დაახლოებით ერთი და იგივე პოზიციიდან, იდენტურ სტილში, გოლები **უგო ალმეიდამ** გაიტანა და მოქმედი ჩემპიონები შოკში ჩააგდო. მე-13 წუთზე **მარიო გომესმა** სწრაფადვე გაქვითა ერთი ბურთი, მაგრამ ზუსტად ორ წუთში, **ბოუბაკარ სანოგომ პასანენის** ჩაწოდებით ისარგებლა და "ვერდერი" ისევ ორი ბურთით დააწინაურა. ისევ და ისევ, შესანიშნავი იყო **დიეგო**, რომელმაც მატჩის წინ "ვერდერთან" კონტრაქტი 2011 წლამდე გააგრძელა. ბრაზილიელი ახლა 2 მილიონი ევროს ნაცვლად, წლიურად 3.5 მილიონს მიიღებს. როგორც იცით, მისი გადაბირება "რეალს" უნდა, მაგრამ "მუსიკოსთა" მენეჯერ **კლაუს ალოფსის** თქმით, "ვერდერი" ბრაზილიელი დრიბლიორის გასხვისებას არ აპირებს. ახალი კონტრაქტის გაფორმებით დიეგომაც დაამტკიცა, რომ ბრემენში თავს შესანიშნავად გრძნობს. "შტუტგარტმა" მეორე ტაიმში მედგრად კი შეუტია, მაგრამ უშედეგოდ. ერთადერთი, რაც შვაბებმა მოახერხეს, ის გახლდათ, რომ გომესმა ბურთი ხარიხას მოარტყა. 89-ე წუთზე კი, შეხვედრის საბოლოო ანგარიში სწორედ დიეგომ დააფიქსირა, რომლის დარტყმის შემდეგ, ბურთი **ანტონიო და სილვას** მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და **რაფაელ შეფერის** კარში აღმოჩნდა. ამრიგად, "მუსიკოსები" გამოცოცხლდნენ, ჩემპიონი კი მძიმე მდგომარეობაშია (მხოლოდ 7 ქულა 6 თამაშში).

ბერლინის "ჰერტამ" თამაში გამოასწორა, თანაც იმდენად, რომ დედაქალაქელები შაბათის შემდეგ პირველ ადგილზე იყვნენ, დაამარცხეს რა დორტმუნდის "ბორუსია" (3:2). ამრიგად, **ლუსიენ ფავრის** გუნდი, ყველასთვის მოულოდნელად, ძალიან კარგად ათამაშდა და ვინძლო სერიოზული მიზნებისთვისაც იბრძოლოს. შვეიცარიელ მწვრთნელს ბერლინში უკვე ყველა პატივს სცემს, არადა, თავიდან მაგრად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ გუნდიდან 13 ფეხბურთელი გაუშვა და 7 ისეთი მოთამაშე მიიყვანა, მათი გვარები არავის რომ არ ჰქონდა გაგონილი. მაგრამ ნახეთ, ფავრის ცვლილებები ამართლებს! ანგარიში **მლადენ პეტრიჩმა** გახსნა და ეს ბიჭი ნელ-ნელა "დორტმუნდის" ლიდერად ყალიბდება, მაგრამ მერე ბერლინელებმა სამჯერ იხეირეს და 89-ე წუთამდე 3:1-ს იგებდნენ. თუმცა ხსენებულ დროს პეტრიჩმა მეორე გოლიც გაიტანა და უნდა ითქვას, რომ "ბორუსიამ" დედაქალაქური კლუბი ბოლო წუთებზე მაგრად ანერვიულა. თუნდაც იმის თქმა რად ღირს, რომ შეცვლაზე შესულ **დელრონ ბაკლის** ორჯერ შეეძლო "ჰერტას" მეკარე **დრობნის** დამწუხრება. საერთო ჯამში, **თომას დოლის** ნაქებმა გუნდმა ხარისხიანი ფეხბურთი მხოლოდ პირველ 30 წუთში ითამაშა. და საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი: "ბორუსიას" ამ თამაშში ხომ **რომან ვაიდენფელერი** დაუბრუნდა. დაუბრუნდა და BVB-მაც ისევ გაუშვა გოლები, თანაც, ერთბაშად 3! და ეს მაშინ, როცა წინა სამ თამაშში, სადაც ვესტფალიელთა კარს **მარკ ციგლერი** იცავდა, დორტმუნდელებს არცერთი ბურთი არ მიუღიათ...

"შალკემ" "არმინიასთან" დაამტკიცა, რომ "ბაიერნის" უმთავრესი კონკურენტის სტატუსი მას უფრო ეკუთვნის, ვიდრე ბილეფელდურ კლუბს, რომელიც, რა თქმა უნდა, დროებით იყო რეკორდმაისტერის უპირველესი მდევარი. გელზენკირხენელებმა მეტოქე გაანადგურეს (3:0), მაგრამ განადგურება მაინც რბილი სიტყვაა იმასთან შედარებით, რაც **მირკო სლომკას** გუნდმა **ერნსტ მიდენდორპისას** უქნა - მასპინძლებს მეტი იღბალი რომ ჰქონოდათ, მატჩი 6:0 დამთავრდებოდა. არადა, მიდენდორპი თამაშის წინ "შალკეზე" ირონიულად საუბრობდა, მე სულაც არ მჭირდება 13 ასისტენტი, სლომკას არ ვგევარო. მაგრამ მოედანზე გამოჩნდა, ვინ რისი მაქნისია - ბილეფელდელებმა პირველი კუთხური 91-ე წუთზე ჩააწოდეს, იმ დროს "შალკეს" უკვე 13 ჰქონდა ჩაწოდებული. გელზენკირხენელებს ასეთი სოლიდური გამარჯვება ძალიან სჭირდებოდათ. ერთი ეგაა, რომ ტრავმის გამო ისევ ვერ ითამაშა **ლევან კობიაშვილმა**, მისმა შემცვლელმა **ჯერმეინ ჯონსმა** კი კვლავ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

"ჰამბურგმა" გადაღლილ "ნიურნბერგს" მინიმალური ანგარიშით მოუგო და როგორ გგონიათ, ვინ გაიტანა ის ერთადერთი გოლი? რა თქმა უნდა, **რაფაელ ვან დერ ვაარტმა**, რომელიც კიდევ ერთხელ, ვინ მოთვლის მერამდენედ მოევლინა HSV-ს მხსნელად. **ჰუუბ სტევენსის** გუნდს სულ 6 გოლი აქვს გატანილი და აქედან 4 სწორედ ჰოლანდიელი კაპიტნის ანგარიშზეა. **ფელიქს მაგათის** "ვოლფსბურგმა". სტუმრად "კოტბუსს" მოუგო, რის გამოც "ენერგის" თავკაცმა **პეტრიკ ზანდერმა** სამსახური დაკარგა. "ენერგის" ბოსებმა მწვრთნელი საფინალო სასტვენის შემდეგ გაათავისუფლეს. როსტოკის "ჰანზამ" კი სეზონის პირველი გამარჯვება იზეიმა (დუისბურგთან 2:0).

**მომდევნო ტური**

25 სექტემბერი. **ბორუსია (დ)-ჰამბურგი, ჰერტა-ჰანზა, ვოლფსბურგი-ვერდერი, დუისბურგი-შალკე. 26 სექტემბერი. შტუტგარტი-ბოხუმი, ბაიერნი-კოტბუსი, ნიურნბერგი-ლევერკუზენი, არმინია-ჰანოვერი, აინტრახტი-კარლსრუე.**



რიბერი ტონის ულამაზეს გოლს ულოცავს

## ბელგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII ტური

**გენტი-რუზელარე 1:1**

გოლები: 0:1 დისა (2), 1:1 ოლუფადე (38)

**სერკლი-ბეერსხოტი 1:1**

გოლები: 0:1 დოსუნმუ (9), 1:1 პორტიე (30)

**ბრიუსელი-სტ. ტრუიდენი 2:0**

გოლები: 1:0 ფორტი (70), 2:0 გორიუსი (83)

**დენდერი-მონსი 0:3**

გოლები: 0:1 ვ. დალმა (1), 0:2 ტუბი (50), 0:3 რუსელი (70)

**მუსკრონი-ლოკერენი 2:0**

გოლები: 1:0 საპინა (9), 2:0 კუსტოვიჩი (77-პენ)

**ვარეგემი-მეხელენი 2:0**

გოლები: 1:0 ჰაემერსი (70), 2:0 როელანდტსი (73)

**შარლერუა-ბრიუგე 1:1**

გოლები: 1:0 აკპალა (51), 1:1 სტერშელი (82)

**გენკი-ანდერლეხტი 1:1**

გოლები: 1:0 ბარდა (78), 1:1 აქინი (87)

**სტანდარდი-ვესტერლო დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტანდარდი | 6 | 5 | 1 | 0 | 19-5 | 16 |
| 2. ანდერლეხტი | 7 | 4 | 3 | 0 | 12-6 | 15 |
| 3. გენკი | 7 | 4 | 2 | 1 | 9-9 | 14 |
| 4. სერკლი | 7 | 4 | 1 | 2 | 14-9 | 13 |
| 5. მუსკრონი | 7 | 4 | 1 | 2 | 13-9 | 13 |
| 6. გენტი | 7 | 3 | 3 | 1 | 15-8 | 12 |
| 7. ბრიუგე | 7 | 3 | 3 | 1 | 10-8 | 12 |
| 8. შარლერუა | 7 | 3 | 2 | 2 | 9-6 | 11 |
| 9. ლოკერენი | 7 | 3 | 2 | 2 | 7-6 | 11 |
| 10. ვარეგემი | 7 | 3 | 2 | 2 | 9-10 | 11 |
| 11. ბეერსხოტი | 7 | 2 | 2 | 3 | 6-7 | 8 |
| 12. მონსი | 7 | 2 | 1 | 4 | 9-11 | 7 |
| 13. ვესტერლო | 6 | 2 | 1 | 3 | 2-4 | 7 |
| 14. რუზელარე | 7 | 1 | 4 | 2 | 5-9 | 7 |
| 15. დენდერი | 7 | 1 | 2 | 4 | 5-13 | 5 |
| 16. ბრიუსელი | 7 | 1 | 1 | 5 | 4-12 | 4 |
| 17. მეხელენი | 7 | 0 | 3 | 4 | 5-11 | 3 |
| 18. სტ. ტრუიდენი | 7 | 0 | 0 | 7 | 5-15 | 0 |

**ბომბარდირები**: 7 - იოვანოვიჩი (სტანდარდი); 5 - კუსტოვიჩი (მუსკრონი), აკპალა (შარლერუა), გრეგუარი (გენტი); 4 - გომბამი (სერკლი), იაშჩუკი (სერკლი), მბოკანი (სტანდარდი); 3 - დესტორმი (დენდერი), ფელენი (სტანდარდი), ტამბვე (ლოკერენი), ტომუ (მუსკრონი), ჰასანი (ანდერლეხტი), იელავიჩი (ვარეგემი), ბარდა (გენკი), სტერშელი (ბრიუგე).

## II დივიზიონი

VI ტური

ანტვერპენი-ოლიმპიკ შარლერუა 1:1; დანიცე-ლომელი 1:1; ეუპენი-ტინენი 1:0; გეელი-ტურნე 0:1; ნამენი-ტუბეკე 0:0; სტ. ჟილი-კორტრიიკი 3:5; ჰამე-ოსტენდე 4:0; ჰეველე-ლიერსი 2:0.

## შოტლანდია

VII ტური

**ფალკირკი-მოზერველი 1:0**

გოლი: 1:0 ლატაპი (74)

**გრეტნა-დანდი იუნ 3:2**

გოლები: 0:1 ბობენი (9), 1:1 კოუენი (14), 2:1 კოუენი (36), 2:2 უილკი (65), 3:2 ჯენკინსი (86)

**ინვერნესი-პართსი 2:1**

გოლები: 0:1 ი. ბლეკი (34-საკ. კარში), 1:1 უინესი (64), 2:1 ბრიუსტერი (90)

**კილმარნოკი-სტ. მირენი 0:0**

**ჰიბერნიანი-სელტიკი 3:2**

გოლები: 1:0 ფლეტჩერი (5), 1:1 მაკგიდი (26), 2:1 გატუესი (41), 2:2 კოლდუელი (66), 3:2 შილსი (87)

**რეინჯერსი-აბერდინი 3:0**

გოლები: 1:0 მაკალოხი (46), 2:0 ნეისმიტი (65), 3:0 ბოიდი (88)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 7 | 6 | 0 | 1 | 23-7 | 18 |
| 2. სელტიკი | 7 | 5 | 1 | 1 | 24-6 | 16 |
| 3. ჰიბერნიანი | 7 | 4 | 3 | 0 | 13-8 | 15 |
| 4. დანდი იუნ | 7 | 4 | 1 | 2 | 11-5 | 13 |
| 5. მოზერველი | 7 | 4 | 0 | 3 | 8-8 | 12 |
| 6. კილმარნოკი | 7 | 3 | 2 | 2 | 7-6 | 11 |
| 7. პართსი | 7 | 2 | 2 | 3 | 9-12 | 8 |
| 8. ფალკირკი | 7 | 2 | 1 | 4 | 9-15 | 7 |
| 9. სტ. მირენი | 7 | 2 | 1 | 4 | 4-11 | 7 |
| 10. აბერდინი | 7 | 1 | 2 | 4 | 7-13 | 5 |
| 11. გრეტნა | 7 | 1 | 1 | 5 | 8-19 | 4 |
| 12. ინვერნესი | 7 | 1 | 0 | 6 | 4-17 | 3 |

**ბომბარდირები**: 5 - ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (სელტიკი); 4 - ფლეტჩერი (ჰიბერნიანი), ბრიუსტერი (ინვერნესი), კუზენი (რეინჯერსი); 3 - ჰიგდონი (ფალკირკი), დარშევილი (რეინჯერსი), ფერგიუსონი (რეინჯერსი), მილერი (სელტიკი), რობსონი (დანდი იუნ), ზემანა (ჰიბერნიანი), ნაკამურა (სელტიკი), დონატი (სელტიკი), ჰანტი (დანდი იუნ), ბოიდი (რეინჯერსი).

## I დივიზიონი

VII ტური

კლაიდი-დანფერმლაინი 2:1; ჰამილტონი-ლივინგსტონი 1:1; მორტონი-სტ. ჯონსტონი 2:2; პარტიკი-ქუინი 2:0; სტირლინგი-დანდი 2:2.

## II დივიზიონი

VII ტური

ეირდრი-ბრეჩინი 2:1; ალოა-კოუდენბითი 3:2; ბირუიკი-როსი 0:1; პიტერჰედი-ქუინზ პარკი 1:0; რეითი-ეირი 2:3.

## III დივიზიონი

VII ტური

არბროა-ალბიონი 1:0; დამბარტონი-ისტ ფაიფი 1:1; ელჯინი-ისტ სტირლინგი 6:0; ფორფარი-მონროუზი 1:4; სტენჰაუზმური-სტრანრარი 1:4.

## არსენალი-დერბი 5:0

**არსენალი:** ალმუნია, კლიში, სანია, სენდეროსი, კოლო ტურე, დიაბი, ფაბრეგასი (71. პერეირა ნევესი), ფლამინი (77. სონგი), ადებაიორი, ედუარდო, უოლკოტი (72. ლასანა დიარა).

**დერბი:** ბაივოტერი, კლოდ დევისი, გრიფინი, ლიკოკი, მიერსი, ლიუისი, ოუკლი (56. ფეილჰაბერი), პირსონი, ტილი, სტივ ჰოვარდი (75. ბარნესი), მილერი (84. მაკევილი).

**გოლები:** 1:0 დიაბი (10), 2:0 ადებაიორი (25), 3:0 ადებაიორი (50-პენ), 4:0 ფაბრეგასი (70), 5:0 ადებაიორი (79).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 16(9)-5(3); **ჯარიმა:** 9-12; **კუთხური:** 5-4; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 60 122

## ლივერპული-ბირმინგემი 0:0

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, კარაგერი, ჰიიპია, ჯერარდი, მასკერანო, პენანტი (87. ფინენი), რიისე, ბაბელი (60. ტორესი), კუიტი, ვორონინი (74. კრაუჩი).

**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, ჯურუ, კელი, კუოდრო, რიჯველი, კაპო, ლარსონი, მელენდესი (13. მაკშეფრი), ნაფტი, პალასიოსი (68. ოკონორი), ჯერომი (80. შმიტცი).

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 19(4)-5(2); **ჯარიმა:** 3-10; **კუთხური:** 11-2; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 44 215

## მიდლსბრო-სანდერლენდი 2:2

**მიდლსბრო:** შვარცერი, ენდრიუ ტეილორი, ვიტერი, ვუდგეიტი, იანგი, არკა (27. ბოატენგი), დაუნინგი, ონილი, როშემბაკი, მიდო (58. კატერმოული), თუნჯაი (12. ლი).

**სანდერლენდი:** გორდონი, ჰალფორდი, ჰიგინბოთემი, მაკშეინი, კოლინზი, ეტუჰუ (53. მილერი), ლიდბიტერი, უოლესი (76. ოდონოვანი), ჩოპრა, ჯონსი, იორკი (67. სტოუკსი).

**გოლები:** 0:1 ლიდბიტერი (2), 1:1 არკა (15), 2:1 დაუნინგი (67), 2:2 მილერი (89).

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 16(5)-11(6); **ჯარიმა:** 19-11; **კუთხური:** 7-2; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 30 674

## რედინგი-ვიგანი 2:1

**რედინგი:** ჰანემანი, დაბერი, ინგიმარსონი, მერტი, როსენორი (63. კონვი), შორი, გუნარსონი, ჰარპერი, ჰანტი, დოილი (90. ბიკი), კიტსონი.

**ვიგანი:** კერკლანდი, ბრემბლი, გრანკვისტი, მელხიოტი, შარნერი, ბრაუნი, კილბეინი, კუმასი, სიბირსკი (79. აგაჰოვა), სკოკო, მარკუს ბენტი.

**გოლები:** 1:0 კიტსონი (29), 1:1 მარკუს ბენტი (50), 2:1 ჰარპერი (90).

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 15(7)-11(5); **ჯარიმა:** 17-13; **კუთხური:** 6-7; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 21 379

## ფულჰემი-მანჩესტერ სიტი 3:3

| 10. შატორუ | 8 | 3 | 2 | 3 | 9-9 | 11 |
| 11. ანჟერსი | 8 | 3 | 2 | 3 | 7-8 | 11 |
| 12. აიაჩო | 8 | 2 | 4 | 2 | 7-7 | 10 |
| 13. ნიორი | 8 | 3 | 1 | 4 | 6-7 | 10 |
| 14. ბასტია | 8 | 3 | 1 | 4 | 9-12 | 10 |
| 15. რეიმსი | 8 | 3 | 1 | 4 | 8-14 | 10 |
| 16. გინგამი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-9 | 8 |
| 17. ბულონი | 8 | 2 | 2 | 4 | 11-14 | 8 |
| 18. ამიენი | 8 | 2 | 1 | 5 | 5-9 | 7 |
| 19. ლიბურნი | 7 | 1 | 1 | 5 | 8-14 | 4 |
| 20. გენიონი | 8 | 1 | 1 | 6 | 8-15 | 4 |

## რუსეთი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ხიმკი–როსტოვი | 1:0 |
| ყუბანი–ლუჩ ენერგია | 0:1 |
| მოსკოვი–დინამო | 4:1 |
| ნალჩიკი–სატურნი | 1:3 |
| ლოკომოტივი–სპარტაკი | 4:3 |
| კრილია–ტომი | 1:1 |
| ცსკა–ამკარი | 1:0 |
| რუბინი–ზენიტი | 1:4 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 24 | 13 | 7 | 4 | 42-30 | 46 |
| 2. სპარტაკი | 24 | 12 | 7 | 5 | 38-27 | 43 |
| 3. მოსკოვი | 24 | 12 | 6 | 6 | 33-25 | 42 |
| 4. ცსკა | 24 | 9 | 11 | 4 | 31-20 | 38 |
| 5. სატურნი | 24 | 9 | 10 | 5 | 28-22 | 37 |
| 6. დინამო | 24 | 10 | 6 | 8 | 33-29 | 36 |
| 7. ლოკომოტივი | 24 | 10 | 6 | 8 | 34-34 | 36 |
| 8. ამკარი | 24 | 8 | 10 | 6 | 24-19 | 34 |
| 9. ხიმკი | 24 | 6 | 10 | 8 | 22-23 | 28 |
| 10. რუბინი | 23 | 8 | 4 | 11 | 25-27 | 28 |
| 11. ნალჩიკი | 23 | 6 | 8 | 9 | 23-28 | 26 |
| 12. ტომი | 24 | 5 | 10 | 9 | 29-31 | 25 |
| 13. ლ-ენერგია | 24 | 6 | 7 | 11 | 20-27 | 25 |
| 14. ყუბანი | 24 | 5 | 10 | 9 | 19-28 | 25 |
| 15. კრილია | 24 | 6 | 7 | 11 | 23-33 | 25 |
| 16. როსტოვი | 24 | 1 | 11 | 12 | 15-36 | 14 |

## უნგრეთი

IX ტური

| | |
|---|---|
| ტატაბანია–დიოშდიორი | 2:2 |
| ჰონვედი–ზალაეგერსეგი | 2:1 |
| ნირედიაზა–დებრეცენი | 1:1 |
| დიორი–ფეჰერვარი | 4:1 |
| რეაკ–უიპეშტი | 1:1 |
| კაპოშვარი–მტკ | 0:3 |
| სოპრონი–პაკსი | 1:1 |
| ვაშაში–შიოფოკი | დღეს |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰონვედი | 9 | 7 | 1 | 1 | 22-10 | 22 |
| 2. მტკ | 9 | 5 | 4 | 0 | 21-9 | 19 |
| 3. დებრეცენი | 9 | 5 | 2 | 2 | 18-11 | 17 |
| 4. ვიდეოტონი | 9 | 5 | 1 | 3 | 20-14 | 16 |
| 5. უიპეშტი | 9 | 4 | 4 | 1 | 16-9 | 16 |
| 6. დიორი | 9 | 4 | 3 | 2 | 12-9 | 15 |
| 7. ზალაეგერსეგ | 9 | 4 | 2 | 3 | 16-13 | 14 |
| 8. ნირედიაზა | 9 | 3 | 3 | 3 | 7-8 | 12 |
| 9. კაპოშვარი | 9 | 3 | 3 | 3 | 12-16 | 12 |
| 10. ვაშაში | 8 | 3 | 2 | 3 | 11-13 | 11 |
| 11. სოპრონი | 9 | 2 | 4 | 3 | 7-10 | 10 |
| 11. რეაკ | 9 | 3 | 1 | 5 | 10-14 | 10 |
| 13. პაკსი | 9 | 2 | 1 | 6 | 13-20 | 7 |
| 14. დიოშდიორი | 9 | 0 | 6 | 3 | 9-16 | 6 |
| 15. შიოფოკი | 8 | 1 | 2 | 5 | 11-15 | 5 |
| 16. ტატაბანია | 9 | 0 | 1 | 8 | 8-26 | 1 |

## ფინეთი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ოულუ–ვაასა | 3:3 |
| მარიეჰამნი–იარო | 1:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტამპერე | 19 | 12 | 5 | 2 | 35-21 | 41 |
| 2. ჰაკა | 20 | 12 | 4 | 4 | 32-16 | 40 |
| 3. ჰონკა | 20 | 9 | 8 | 3 | 28-19 | 35 |
| 4. ტურკუ | 20 | 10 | 2 | 8 | 30-27 | 32 |
| 5. ლაჰტი | 20 | 8 | 5 | 7 | 33-24 | 29 |
| 6. მარიეჰამნი | 21 | 6 | 9 | 6 | 25-25 | 27 |
| 7. ვაასა | 22 | 6 | 9 | 7 | 22-32 | 27 |
| 8. მიუპა | 20 | 7 | 5 | 8 | 20-21 | 26 |
| 9. კტპ | 22 | 7 | 4 | 11 | 26-32 | 25 |
| 10. ინტერი | 21 | 6 | 6 | 9 | 26-23 | 24 |
| 11. ჰიკ | 20 | 4 | 12 | 4 | 24-21 | 24 |
| 12. იარო | 22 | 6 | 5 | 11 | 24-37 | 23 |
| 13. ვიკინგიტი | 20 | 4 | 6 | 10 | 22-33 | 18 |
| 14. ოულუ | 21 | 4 | 6 | 11 | 24-40 | 18 |

## ხორვატია

IX ტური

| | |
|---|---|
| მედიმურიე–სიბალია | 0:1 |
| ზაგრები–ინტერი | 3:0 |
| ოსიეკი–შიბენიკი | 1:1 |
| სლავენი–ზადარი | 4:2 |
| რიეკა–ჰაიდუკი | 4:0 |
| ვარტექსი–დინამო | 4:3 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 9 | 8 | 0 | 1 | 32-9 | 24 |
| 2. რიეკა | 9 | 6 | 2 | 1 | 20-9 | 20 |
| 3. ზადარი | 9 | 5 | 2 | 2 | 20-14 | 17 |
| 4. სლავენი | 9 | 5 | 1 | 3 | 18-10 | 16 |
| 5. ჰაიდუკი | 9 | 4 | 4 | 1 | 16-10 | 16 |
| 6. ზაგრები | 9 | 3 | 2 | 4 | 11-10 | 11 |
| 7. სიბალია | 9 | 3 | 2 | 4 | 8-11 | 11 |
| 8. ოსიეკი | 9 | 3 | 2 | 4 | 9-15 | 11 |
| 9. შიბენიკი | 9 | 2 | 5 | 2 | 15-20 | 11 |
| 10. ინკერი | 9 | 2 | 1 | 6 | 7-21 | 7 |
| 11. მედიმურიე | 9 | 1 | 1 | 7 | 9-21 | 4 |
| 12. ვარტექსი | 9 | 1 | 0 | 8 | 11-26 | 3 |

## სლოვაკეთი

X ტური

| | |
|---|---|
| კოშიცე–ნიტრა | 2:1 |
| რუჟომბეროკი–ბისტრიცა | 2:2 |
| სლოვანი–შენეცი | 3:0 |
| ტრენჩინი–მორავცე | 4:0 |
| ჟილინა–დუბნიცა | 4:1 |
| არტმედია–ტრნავა | 3:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არტმედია | 10 | 7 | 1 | 2 | 25-11 | 22 |
| 2. ჟილინა | 10 | 7 | 1 | 2 | 24-12 | 22 |
| 3. ნიტრა | 10 | 7 | 1 | 2 | 15-6 | 22 |
| 4. ტრნავა | 10 | 5 | 2 | 3 | 19-12 | 17 |
| 5. რუჟომბეროკი | 10 | 5 | 2 | 3 | 14-12 | 17 |
| 6. კოშიცე | 10 | 4 | 3 | 3 | 13-9 | 15 |
| 7. სლოვანი | 10 | 4 | 1 | 5 | 14-13 | 13 |
| 8. დუბნიცა | 10 | 2 | 5 | 3 | 11-15 | 11 |
| 9. მორავცე | 10 | 3 | 2 | 5 | 8-22 | 11 |
| 10. ბისტრიცა | 10 | 2 | 2 | 6 | 13-17 | 8 |
| 11. ტრენჩინი | 10 | 2 | 1 | 7 | 13-28 | 7 |
| 12. შენეცი | 10 | 0 | 3 | 7 | 6-18 | 3 |

## არგენტინა

X ტური

| | |
|---|---|
| ურაკანი–კოლონი | 2:2 |
| როსარიო–სან ლორენსო | 1:3 |
| ხიმნასია (ლ)–ბანფილდი | 0:1 |
| არგ. ხუნიორსი–ნიუელსი | 4:0 |
| სან მარტინი–ველესი | 3:2 |
| ინდეპენდიენტე–ოლიმპო | 3:0 |
| ტიგრე–რივერი | 4:1 |
| ბოკა–ხიმნასია (ხ) | 2:2 |
| არსენალი–რასინგი | გვ. დასრულდა |
| ლანუსი–ესტუდიანტ | გვ. დასრულდა |

## იაპონია

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ოიტა–იოკოჰამა | 2:0 |
| ომიია–იჩიჰარა | 0:1 |
| კობე–ნაგოია | 5:0 |
| კოფუ–ჰიროშიმა | 2:1 |
| კაშიმა–ნიიგატა | 3:1 |
| იოკოჰამა მარინოსი–ურავა | 0:1 |
| ტოკიო–შიმიცუ | 2:0 |
| ივატა–გამბა | 1:1 |
| კაშივა–კავასაკი | 4:0 |

## უკრაინა

X ტური

| | |
|---|---|
| ნაფტოვიკი–მეტალურგი (დ) | 2:2 |
| ტავრია–დინამო | 1:4 |
| ვორსკლა–კარპატი | 0:0 |
| ზაკარპატია–კრივბასი | 2:3 |
| ზარია–ხარკოვი | 2:1 |
| მეტალისტი–მეტალურგი (ზ) | 2:1 |
| არსენალი–ჩერნომორეცი | 1:2 |
| შახტარი–დნიპრო | 4:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 10 | 9 | 1 | 0 | 25-6 | 28 |
| 2. დნიპრო | 10 | 7 | 1 | 2 | 19-9 | 22 |
| 3. დინამო | 10 | 6 | 3 | 1 | 21-11 | 21 |
| 4. მეტალისტი | 10 | 5 | 2 | 3 | 15-12 | 17 |
| 5. მეტალურ (ზ) | 10 | 4 | 3 | 3 | 9-8 | 15 |
| 6. ჩერნომორეც | 10 | 4 | 2 | 4 | 6-8 | 14 |
| 7. ტავრია | 10 | 4 | 2 | 4 | 12-17 | 14 |
| 8. ზარია | 10 | 4 | 1 | 5 | 11-15 | 13 |
| 9. ვორსკლა | 10 | 2 | 6 | 2 | 8-8 | 12 |
| 10. კარპატი | 10 | 3 | 3 | 4 | 11-12 | 12 |
| 11. ხარკოვი | 10 | 3 | 3 | 4 | 7-9 | 12 |
| 12. მეტალურ (დ) | 10 | 2 | 5 | 3 | 14-14 | 11 |
| 13. კრივბასი | 10 | 3 | 1 | 6 | 11-17 | 10 |
| 14. ზაკარპატია | 10 | 2 | 3 | 5 | 6-15 | 9 |
| 15. არსენალი | 10 | 2 | 2 | 6 | 18-18 | 8 |
| 16. ნაფტოვიკი | 10 | 0 | 2 | 8 | 4-18 | 2 |

## ისლანდია

XVII ტური

| | |
|---|---|
| აკრანესი–ვიკინგური | 1:0 |
| ფრამი–რეიკიავიკი | 1:1 |
| ფილკირი–კეფლავიკი | 4:0 |
| ჰაფნარი–ვალური | 0:2 |
| ჰკ–ბრეიდაბლიკი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალური | 17 | 10 | 5 | 2 | 40-20 | 35 |
| 2. ჰაფნარი | 17 | 10 | 4 | 3 | 39-25 | 34 |
| 3. აკრანესი | 17 | 8 | 5 | 4 | 31-24 | 29 |
| 4. ფილკირი | 17 | 8 | 4 | 5 | 22-17 | 28 |
| 5. ბრეიდაბლიკი | 17 | 5 | 8 | 4 | 27-18 | 23 |
| 6. კეფლავიკი | 17 | 5 | 5 | 7 | 23-29 | 20 |
| 7. ჰკ | 17 | 4 | 4 | 9 | 17-34 | 16 |
| 8. ფრამი | 17 | 3 | 6 | 8 | 23-29 | 15 |
| 9. რეიკიავიკი | 17 | 3 | 6 | 8 | 16-29 | 15 |
| 10. ვიკინგური | 17 | 3 | 5 | 9 | 14-27 | 14 |

## სერბეთი

VI ტური

| | |
|---|---|
| ჩუკარიჩკი–ოფკ | 0:2 |
| მლადოსტი–პარტიზანი | 1:4 |
| ნაპრედაკი–ბანატი | 0:2 |
| სმედერევო–ბორაცი | 0:1 |
| ჰაიდუკი–ბეჟანია | 1:0 |
| ცრვენა ზვეზდა–ვოივოდინა | 1:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პარტიზანი | 6 | 6 | 0 | 0 | 16-4 | 18 |
| 2. ოფკ | 6 | 3 | 1 | 2 | 8-5 | 10 |
| 3. ცრ. ზვეზდა | 5 | 2 | 3 | 0 | 4-1 | 9 |
| 4. ვოივოდინა | 6 | 2 | 3 | 1 | 6-5 | 9 |
| 5. ჰაიდუკი | 5 | 2 | 2 | 1 | 4-2 | 8 |
| 6. ბანატი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-8 | 8 |
| 7. ბორაცი | 6 | 2 | 2 | 2 | 2-3 | 8 |
| 8. სმედერევო | 6 | 2 | 1 | 3 | 2-4 | 7 |
| 9. მლადოსტი | 6 | 1 | 3 | 2 | 3-6 | 6 |
| 10. ჩუკარიჩკი | 6 | 1 | 2 | 3 | 3-8 | 5 |
| 11. ბეჟანია | 6 | 1 | 1 | 4 | 3-6 | 4 |
| 12. ნაპრედაკი | 6 | 1 | 0 | 5 | 2-9 | 3 |

## სლოვენია

IX ტური

| | |
|---|---|
| პრიმორიე–ინტერბლოკი | 2:0 |
| ლივარი–გორიცა | 0:1 |
| კოპერი–ნაფტა | 1:1 |
| დომჟალე–დრავა | 4:1 |
| მარიბორი–პუბლიკუმი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დომჟალე | 9 | 6 | 2 | 1 | 20-5 | 20 |
| 2. პუბლიკუმი | 9 | 5 | 3 | 1 | 14-4 | 18 |
| 3. კოპერი | 9 | 5 | 3 | 1 | 12-7 | 18 |
| 4. მარიბორი | 9 | 4 | 2 | 3 | 11-12 | 14 |
| 5. პრიმორიე | 9 | 4 | 1 | 4 | 13-8 | 13 |
| 6. ნაფტა | 9 | 3 | 4 | 2 | 13-16 | 13 |
| 7. გორიცა | 9 | 3 | 2 | 4 | 10-11 | 11 |
| 8. ინტერბლოკი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-11 | 8 |
| 9. დრავა | 9 | 2 | 1 | 6 | 9-22 | 7 |
| 10. ლივარი | 9 | 1 | 0 | 8 | 8-23 | 3 |

## ბრაზილია

XXVII ტური

| | |
|---|---|
| გოიაში–ამერიკა | 1:1 |
| გრემიო–სანტოსი | 1:0 |
| სან პაულუ–ფიგუერენსე | 2:0 |
| ატ. მინეირო–ინტერნასიონალი | 2:2 |
| ჟუვენტუდე–ფლამენგო | 2:2 |
| ნაუტიკო–სპორტ რესიფე | 2:0 |
| პალმეირასი–კორინთიანსი | 1:0 |

## მექსიკა

IX ტური

| | |
|---|---|
| ვერაკრუსი–პაჩუკა | 3:0 |
| კრუს ასული–ატლანტე | 2:2 |
| სან ლუისი–ამერიკა | 2:1 |
| მორელია–პუმასი | 0:3 |
| ტიგრესი–მონტერეი | 1:0 |
| ატლასი–ხაგუარესი | 0:1 |
| ნეკაქსა–ტეკოსი | 1:1 |
| ტოლუკა–გვადალახარა | 1:0 |

## მსოფლიო ჩემპიონატი

### ქალები. 1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| გერმანია–კორეა | 3:0 |
| აშშ–ინგლისი | 3:0 |
| ნორვეგია–ჩინეთი | 1:0 |
| ბრაზილია–ავსტრალია | 3:2 |

### 1/2 ფინალი

გერმანია–ნორვეგია

აშშ–ბრაზილია

## პოლონეთი

VIII ტური

| | |
|---|---|
| კორონა–ლეგია | 1:0 |
| ბელხატოვი–იაგიელონია | 2:0 |
| გურნიკი–ოდრა | 1:0 |
| ვიძევი–კრაკოვია | 2:0 |
| ზაგლებე–ლკს | 2:1 |
| ლეხი–რუხი | 6:2 |
| ვისლა–პოლონია | 5:0 |
| სოსნოვეცი–ვროცლავი | 1:3 |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეგია | 8 | 7 | 0 | 1 | 16-2 | 21 |
| 2. ვისლა | 8 | 6 | 2 | 0 | 21-5 | 20 |
| 3. კორონა | 8 | 5 | 1 | 2 | 10-7 | 16 |
| 4. ლეხი | 8 | 4 | 2 | 2 | 19-12 | 14 |
| 5. ზაგლებე | 8 | 4 | 2 | 2 | 11-9 | 14 |
| 6. ბელხატოვი | 8 | 3 | 4 | 1 | 8-3 | 13 |
| 7. ვროცლავი | 8 | 4 | 1 | 3 | 12-10 | 13 |
| 8. გურნიკი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-10 | 13 |
| 9. კრაკოვია | 8 | 3 | 1 | 4 | 6-6 | 10 |
| 10. რუხი | 8 | 2 | 2 | 4 | 12-15 | 8 |
| 11. იაგელონია | 8 | 2 | 2 | 4 | 6-12 | 8 |
| 12. ლოძი | 8 | 1 | 3 | 4 | 6-8 | 6 |
| 13. ვიძევი | 8 | 1 | 3 | 4 | 8-12 | 6 |
| 14. ოდრა | 8 | 1 | 3 | 4 | 8-14 | 6 |
| 15. სოსნოვეცი | 8 | 2 | 0 | 6 | 7-18 | 6 |
| 16. პოლონია | 8 | 1 | 1 | 6 | 2-18 | 4 |

განსაკუთრებული კაცი

# პორტუგალია არა, იტალია ან გერმანია...

## ჟოზე ინგლისში კიდევ დაბრუნდება. აბრამოვიჩი ახალ მწვრთნელს 100 მილიონს უბოძებს, რუს ოლიგარქს რონალდინიოსა და კაკას შეძენა სურს...

**ჟოზე მოურინიო** ინგლისში მომავალშიც სიამოვნებდით იმუშავებს, მაგრამ მისი მომდევნო სამსახური ნისლიან ალბიონზე არ იქნება. გასული კვირის მიწურულს პორტუგალიელი სპეციალისტი "ჩელსის" გამოეთხოვა. ოფიციალურ განცხადებაში ამოვიკითხეთ, რომ მან კონტრაქტი კლუბთან შეთანხმების საფუძველზე გაწყვიტა. ჟოზეს "ტოტენჰემში" დანიშვნა უწინასწარმეტყველეს. მწვრთნელმა კი სპეკულაციებს სასწრაფოდ დაუსვა წერტილი: *"ინგლისში აუცილებლად დავბრუნდები, მაგრამ მინდა, მომდევნო სამსახური სხვა ქვეყანაში მოვძებნო. ინგლისური ფეხბურთი ძალიან მიყვარს, 44 წლის ვარ და ვფიქრობ, პრემიერლიგაში მუშაობას კიდევ მოვასწრებ."*

"ჩელსის" ყოფილ ბოსს არც ის დაუმალავს, რომ პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს არ უმიზნებს: *"მინდა, კარგად განვმარტო. პორტუგალიელებს წარმატებას ვუსურვებ, მინდა, მშვიდად და ნაყოფიერად იშრომონ. მივმართავ სკოლარის, ნუ იფიქრებს, რომ ჩასაფრებული ვარ და მის დათხოვნას ველოდები. პორტუგალიურ ფეხბურთში მუშაობა არ მსურს."*

მოურინიო, ინგლისურის გარდა, ესპანურად და ფრანგულადაც ჩინებულად ლაპარაკობს. სანამ ახალ სამსახურს იშოვიდეს, ის კიდევ ერთი ენის შესწავლას აპირებს, მაგრამ ვერ გადაუწყვეტია, იტალიური აირჩიოს თუ გერმანული. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ის იტალიაში ან გერმანიაში წასასვლელად ემზადება? არის კიდევ ერთი პასუხგაუცემელი კითხვა: რატომ არ რჩება მოურინიო ინგლისში? მას ხომ ალბიონზე ყველაზე მეტი თაყვანისმცემელი ჰყავს. მიმომხილველთა ვარაუდით, პასუხი "ჩელსისთან" კონტრაქტში უნდა ვეძებოთ. შესაძლოა, კონკურენტ კლუბში მუშაობას მას ლონდონური ხელშეკრულება უკრძალავდეს. აკრძალვა, რა თქმა უნდა, დროებითია. მასში შეიძლება ეწეროს, რომ ჟოზე ინგლისში მიმდინარე სეზონის ბოლომდე არ ითამაშებს, სანაცვლოდ კი მას სოლიდურ კომპენსაციას მიუთვლიან.

"ჩელსიში" **აბრაამ გრანტის** წარდგენისას ლონდონელთა თავმჯდომარე **ბრუს ბაკს** ჰკითხეს, არსებობდა თუ არა მოურინიოს კონტრაქტში რაიმე ამკრძალველი პუნქტი. ბაკმა მიუგო, დოკუმენტის დეტალები კონფიდენციალურია და მათი გამჟღავნების უფლება არ მაქვსო: *"თუმცა შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ თავისი არსით ეს კონტრაქტი არაფრით განსხვავდება სხვა ანალოგიური კონტრაქტებისაგან. მე, როგორც კორპორატიული იურისტი, მოურინიოს ხელშეკრულებაში უჩვეულოს ვერაფერს ვხედავ."*

ჟოზემ "არისტოკრატების" გულშემატკივრებს მოუწოდა, გვერდში დაუდგნენ ახალ მწვრთნელსა და ფეხბურთელებს, რომელთაც მხარდაჭერა ძალიან სჭირდებათ. მოურინიოს გადადგომის შემდეგ "ჩელსის" სტადიონთან ასობით ფანმა მოიყარა თავი. ისინი დირექტორების გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ. მოურინიომ მათ ასე მიმართა: *"არ მინდა, რომელიმე ფეხბურთელმა თქვას, რომ ჩემს გამო კლუბიდან მიდის. არც ის მინდა, რომ ტრიბუნებიდან ჩემი სახელი იყვირონ. ალარაფერს ვამბობ დემონსტრაციებზე. გარწმუნებთ, პროფესიული თვალსაზრისით, არაფერი ექსტრაორდინალური არ მომხდარა. მე თავს კარგად ვგრძნობ. უფრო მეტიც, მიმაჩნია, რომ ჩემი წასვლა საუკეთესო გამოსავალი იყო. კმაყოფილი ვარ იმით, რასაც "ჩელსიში" მუშაობისას მივაღწიე."*

მოურინიოსა და "ჩელსის" თემას სამი პატარა ინფორმაციით გავაგრძელებთ. ესპანური სააგენტოების ცნობით, მადრიდის "რეალი" **დიდიე დროგბათი** დაინტერესდა. კოტდივუარელი თავდამსხმელი ერთ-ერთი იმათგანი იყო, რომელმაც ჟოზეს წასვლის გემო ლონდონიდან აბარგება არ გამორიცხა. თუ მას ტრანსფერზე დააყენებენ, იანვრის ფანჯრის გახსნისთანავე სამეფო კლუბი კონტრაქტის გაფორმებას შეეცდებაო, ვკითხულობთ გაზეთ "ასში". სხვათა შორის, მადრიდელებს მიხაელ ბალაკიც სურთ. "დეილი მეილმა" გვაუწყა, რომ **რომან აბრამოვიჩი** ახალ მწვრთნელ აბრაამ გრანტს შემადგენლობის გასაძლიერებლად 100 მილიონ გირვანქას გამოუყოფს. რუს ოლიგარქს სურს, ამ ფულით პირველ რიგში, **რონალდინიო** და **კაკა** შეიძინონ. ცნობას მოსალოდნელი გრანდიოზული ტრანსფერების შესახებ "ნიუ ოფ ზე უორლდიც" ადასტურებს. იანვრის ფანჯრისას ტაბლოიდი გაცხოველებულ ვაჭრობას ვარაუდობს.



# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ინტერვიუ მთავარ მწვრთნელ ზაზა ცაგარეიშვილთან

# დინამო გამაღლდა



ზაზა ცაგარეიშვილი

2007-08 სეზონის წინ ქართული გუნდების შემადგენლობებში სერიოზული ცვლილებები მოხდა. მაგალითად თსუ და რუსთავის "აზოტი" შედარებით დასუსტდნენ, "მაკაბი" გაძლიერდა, სტუ საერთოდ დაიშალა და მას "ვითა" ჩაენაცვლა. თბილისის "დინამოში" კი სიტუაცია თითქმის არ შეცვლილა - მატერიალურად ისეთივე მდგომარეობაა, რაც შაშან იყო. შემადგენლობაც თითქმის იგივეა. მეტს არ გავაგრძელებთ, "დინამოს" შესახებ ჩვენზე უკეთ მთავარი მწვრთნთელი, ზაზა ცაგარეიშვილი ისაუბრებს.

- გუნდი 15 აგვისტოს შევკრიბეთ და მას შემდეგ დილმის ბაზაზე ვვარჯიშობთ. ახალი სეზონისთვის აქტიურად ვემზადებით და ვიმედოვნებთ, რომ დადიანის მემორიალისთვის სათანადო ფორმაში ვიქნებით.

**- "დინამოს" ახალწვეულებზე რას იტყვით?**

- განსაკუთრებით წინა ხაზი გავაძლიერეთ. დავიმატეთ ტანმაღალი რეზო ათანელიშვილი, რომელმაც შარშან დუდუ დადიანის თასი "დინამოში" ითამაშა, მერე კი ირანში წავიდა. სტუ-დან ერთბაშად ორი მეფარე გადმოვიყვანეთ - დავით მაისურაძე და გულივერ ახალკაცი. დათო შარშან ლიტვიდან ჩამოვიდა, ხოლო გულივერს საკმარისი გამოცდილება აქვს და ორივე ძალიან დაგვეხმარება.

**- უკანა ხაზში ცვლილებები არ მომხდარა?**

- გუნდი დატოვა ნიკო ნოზაძემ, თუმცა ჩემს გვერდითაა არჩილ ჟღენტი, რომელიც მწვრთნელადაც მუშაობს და თამაშის სურვილიც გამოთქვა. მას კალათბურთისთვის თავი ჰქონდა დანებებული და დიდი ხნის უვარჯიშებელი იყო, თუმცა ახლა აქტიურად ემზადება და ნელ-ნელა ფორმაშიც შედის. თუ სათანადო კონდიციებს მიაღწევს, ისიც დაგვეხმარება.

**- ნიკო ნოზაძის გარდა, კლუბი კიდევ ვინ დატოვა?**

- დავით გვიმრაძემ, რომელიც "ვითაში" გადავიდა. დაგვტოვა ვიქტორ კოლუაშვილმაც. იგი კარიერას "მაკაბიში" გააგრძელებს. ასევე, ჩვენთან აღარ ვარჯიშობს დავით მურჯიკნელი. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ მათ შემცვლელებზე. აქ მინდა დავამატო, რომ როგორც ყოველთვის, "დინამოში" წლეულსაც ბევრი ახალგაზრდა ვარჯიშობს და ვინც თავს გამოიჩენს, ჩემპიონატში თამაშის საშუალებაც მიეცემა.

**- შარშანდელთან შედარებით, შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებები არ მომხდარა. წელსაც ისეთივე მიზნები გექნებათ, როგორც გასულ სეზონში?**

- წინა ჩემპიონატში ისე ვერ ვიასპარეზეთ, როგორც გვინდოდა. ამიტომ ბიჭებთან ერთად გადავწყვიტე, წლეულს უფრო სერიოზულად მოვემზადოთ, რათა რასაც ვიმსახურებთ, იმას მივაღწიოთ.

**- ალბათ, ჩემპიონატიც უკეთესი იქნება.**

- მეც ასე მგონია, რადგან გამოკვეთილი აუტსაიდერები აღარ იქნებიან. მაგალითად, "მაკაბიში" ტყუპი ბერიშვილები გადავიდნენ და უკანა ხაზი საგრძნობლად გააძლიერეს. არადა, მაკაბელთა მთავარი მინუსი სწორედ პერიმეტრის მოთამაშეების არყოლა იყო. თუკი "მაკაბის" ფარქვეშ შერმადინი ეყოლება, თსუ-ს წინა ხაზს რიჩარდ მათიაშვილი გააძლიერებს. სტუდენტებს კვლავ შიო ხეცურიანი გაუძღვება და ცხადია, რომ არც თსუ იქნება ხელწამოსაკრავი გუნდი. ვერც მათთან, ვერც "მაკაბისთან" და ვერც "დინამოსთან" ფავორიტები ვერ გაისეირნებენ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, 4 ოქტომბერს ყველაფერი ნათლად გამოჩნდება. ამ დღეს დადიანის თასის გათამაშება იწყება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# მეტრეველის დებიუტი

**ახალგაზრდა** ქართველი ცენტრი **ნიკა მეტრეველი** იტალიურ "მონტეპასკიში" დებიუტს დიდხანს ელოდა. იგი პირველი გუნდის შემადგენლობაში ჯერ "უნიკახასთან" მატჩში გამოჩნდა, შემდეგ - ცსკა-სთან, მაგრამ მწვრთნელმა მოედანზე არ შეუშვა.

"მონტეპასკიში" ნიკას დებიუტი ახალგაზრდულ გუნდში შედგა. სიენელთა 19-წლამდელებმა ანდრეა პედრიალის მემორიალის ფინალში მეტრეველის ყოფილი კლუბი რიმინის "კრაბსი" დაამარცხეს - 97:85. სხვათა შორის, "კრაბსი" ამ ტურნირის შარშანდელი გამარჯვებულია. კურნონისთან ერთად, ქართველი ცენტრი "მონტეპასკის" შეტევის მთავარი ფიგურა იყო. პირველმა 31 ქულა ჩააგდო, ნიკამ - 15.



ნიკა მეტრეველი

# მეორე მარცხი საბერძნეთში

საბერძნეთში შეკრებაზე მყოფმა იტალიურმა "ტერამომ" "ლარისაასთან" მარცხს აელ-თან წაგება მიაყოლა - შეხვედრის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა. მასპინძლებმა 69:67 იმარჯვეს. **ნიკა ცქიტიშვილმა** წინა მატჩის მონაგარი 3 ქულით გააუმჯობესა - 7 ქულა. "ტერამოს" მწვრთნელ **ბიანკის** კომენტარი ასეთია: *"ხვალ პაოკ-თან სერიოზული ბრძოლა გველის, ამიტომ ზოგიერთ კალათბურთელს დასვენების საშუალება მივეცი. ცქიტიშვილი ხვალ უფრო დაგვჭირდება".*

## ჩოგბურთი საერთაშორისო ტურნირები

# სამი ბადეში, დანარჩენები კვალიფიკაციაში




ანა ჯიქიამ პირველი წრე გაიარა

**ბათუმი**

ბათუმი უკვე მეთერთმეტედ მასპინძლობს ქალთა საერთაშორისო ტურნირს. წლეულს ტურნირის საპრიზო ფონდი გასულ წლებთან შედარებით ნაკლებია (25 000 დოლარი. ადრე 50 000 იყო, ერთხელ - 75 000), თუმცა, შემადგენლობა მაინც სოლიდური იქნება.

ვერცერთი ქართველი ჩოგბურთელი რეიტინგით ძირითად ბადეში ვერ მოხვდა. სამი მათგანი ორგანიზატორებმა პერსონალურად მიიწვიეს, დანარჩენები კი საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაებნენ (აქ პირველ ნომრად **სოფიო შაფათავაა** განთესილი). "უაილდ ქარდი" ერგოთ **სოფიო ქვაცაბაიას, ოქსანა კალაშნიკოვასა** და **ეკატერინე გორგოძეს** (მეოთხე მოწვეულია 17 წლის რუსი **ჟანა პანფილკინა**).

კვალიფიკაციაში თამაშობდნენ: **სოფიო შაფათავა (1), მანანა შაფაქიძე (4), თინათინ ყავლაშვილი (9), მარიამ ქურდაძე (15), თათია მიქაძე, მაგდა ოქრუაშვილი, თეონა ცერცვაძე, სოფიო შარანგია, ნონა მოწყობილი, ნინო მებუკე, ნინო სუჯაშვილი, სალომე ალადაშვილი, ანა ჯიქია.**

გუშინ კვალიფიკაციის პირველი წრე გაიმართა და მეორეში მხოლოდ ოთხმა ქართველმა გააღწია - **შაფათავამ, მიქაძემ, ჯიქიამ** და **ყავლაშვილმა.** ჯიქიამ თანამემამულე, ქურდაძე დაამარცხა - 6:3, 6:2. სამწუხაროდ, ქართულ "დუელს" ვერც მეორე წრეში ავცდით. შაფათავა და მიქაძე დაწყვილდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ძირითად ბადეში მხოლოდ ერთი მათგანი მოხვდება. **ანა ჯიქია ალექსანრა მალიარჩიკოვას** ეთამაშება (7), **თინათინ ყავლაშვილი - ელინა ჰასანოვას** (8).

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

# პირველი ტურნირი იტალიელმა მოიგო

**თელავი**

თელავის ახალ კორტებზე დასრულდა 25-ათასიანი საპრიზო ფონდის ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. ტურნირის პირველი გამარჯვებულია 18 წლის იტალიელი **კორინა დენტონი** (384), რომელმაც ფინალში მესამე ნომრად განთესილ ბერძენ **ანა გერასიმუს** (280) მოუგო - 6:2, 1:6, 6:0. დენტონი ერთ-ერთი პერსპექტიული ჩოგბურთელია ევროპაში, შარშან ახალგაზრდულ რეიტინგში ის მე-13 ჩოგანი იყო, წლეულს კი უკვე მხოლოდ დიდებში თამაშობს. მანამდე ნახევარფინალში მე-7 ნომრად განთესილმა დენტონიმ ერთადერთ შემორჩენილ ქართველს, **სოფიო შაფათავას** მოუგო - 6:2, 7:5. მეორე ნახევარფინალში გერასიმუმ უკრაინელ **ვერონიკა კაპშაის** აჯობა - 6:4, 6:1.

ტურნირის წყვილთა თანრიგის ფინალში გერმანელი **რია დოირნემანისა** და ყირგიზი **ქსენია პალკინას** მეოთხე ნომრად განთესილმა წყვილმა მეორე ნომრად განთესილი რუსული დუეტი (**მარინა შამაიკო, ვასილისა დავიდოვა**) დაამარცხა - 6:2, 6:2.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## სუმო

# კოკაი გავარდნის პირას, გაგამარუ უკვე გავარდა

გუშინ სექტემბის ბაშოზე ქართველი **ლევან ცაგურიასთვის** გადამწყვეტი დღე იყო - თუკი **კოკაი** ბოლო შეხვედრას მოიგებდა, ტურნირს დადებითი ბალანსით დაასრულებდა და რეიტინგშიც წინ წაიწევდა, წაგების შემთხვევაში მისთვის ყველაფერი სავალალოდ დასრულდებოდა. ერთმანეთს ორი ნულოვანბალანსიანი რიკიში დაუპირისპირდა, კოკაი და მეშვიდე მაეგაშირა **ტამანოშიმა**. კოკაიმ სცადა, ფონს ოშიდაშით გასულიყო, თუმცა კონტრშეტევა გაეპარა და დოჰიოს მიღმა პირველმა დააბიჯა ფეხი. მე-12 მაეგაშირა კოკაიმ 7-8 ბალანსით დაასრულა ტურნირი და მას დაქვეითება ელის. ჯერ მხოლოდ რანგით, თუმცა შემდეგ ტურნირსაც თუ უარყოფითი ბალანსით დაასრულებს - ალბათ მეორე დივიზიონში, ძურიოში გავარდება. 26 წლის ქართველს მაკუუჩის დივიზიონში 167 მოგება და 178 წაგება აქვს.

ბაშო იოკოძუნა **ჰაკუჰომ** მოიგო 13 გამარჯვებით. **ასაშორიუს** არყოფნაში შემდეგ ბაშოზეც მონღოლი ჰაკუჰო იქნება უპირველესი ფავორიტი. მაკუშიტას დივიზიონში ასპარეზობა 5-2 ბალანსით დაასრულა **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)**, რაც მას ეგრევე ძურიოში გადასვლის უფლებას ვერ მისცემს, თუმცა ტოჩინოშინი პირველი ან მეორე მაკუშიტა გახდება და შემდეგ ბაშოზე მხოლოდ დადებითი ბალანსიც ეყოფა წინსვლისთვის. სამწუხაროდ, ამავე დივიზიონში ადგილი ვერ შეინარჩუნა **თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ), რომელმაც ბაშო 2-5 ბალანსით დაასრულა. მომავალ ბაშოზე ის სანდანმეს დივიზიონში იასპარეზებს, რომელიც რანგით მეოთხეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**აკი ბაშო**

სექტემბრის სუპერტურნირი
9-23 სექტემბერი, ტოკიო (იაპონია)

**საბოლოო მდგომარეობა**

**13-2: ჰაკუჰო (იოკოძუნა); 12-3: კიოკუტენჰო (მაეგაშირა 12); 11-4: გოეიდო (მ 14); 10-5: კოტომიცუკი (ოძეკი), ამინიშიკი (სეკივაკე), ამა (კომუსუბი), კოტოშოგიკუ (მ 3), კასუგაო (მ 10), იოშიკაძე (მ 15).**

იმპერატორის თასი: **ჰაკუჰო (მეოთხედ).**

ბრწყინვალე ასპარეზობა: **ამა და ტოიონოშიმა (პირველად).**

მებრძოლი სული: **კიოკუტენჰო (მეხუთედ) და გოეიდო (პირველად).**

ტექნიკური რიკიში: **არავის.**

ძურიოს ჩემპიონი: **ბარუტო (მესამედ).**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გააგრძელებს თუ არა კარიერას ჩემპიონი?



ათენი 2004. იქნება თუ არა პეკინი?

პირველი გვერდიდან

ჩიანმაის ფიცარნაგზე ასანიძე მოერია 160 კილოს, მაგრამ მარჯვენა მტკივანმა ხელმა უსიამოვნოდ შეახსენა თავი და მარჯვნივ დაქაჩა. გიას იდაყვის სახსარი ტკივა, რის გამოც ხელს ბოლომდე ვერ შლის, მარჯვენა ხელის ნეკსა და არათითზე კი მგრძნობელობა შემცირებული აქვს და პერმანენტულად უბუჟდება. იმის გამო, რომ ხელის ბოლომდე გაშლა არ შეეძლო, იარაღთან მისვლის წინ მთავარ მსაჯს ყოველთვის მიანიშნებდა ხოლმე - ჩემი ტრავმა გქონდეთ მხედველობაშიო. ასე მოხდა ახლაც -ასანიძემ ხელი ბოლომდე ვერ გამართა, მაგრამ 160 კილო ჩაეთვალა.

მეორე მისვლა ასანიძემ 164 კილოზე გადაწყვიტა. წონა კარგად კი წამოიღო, კარგადაც შევიდა შტანგის ქვეშ და დაიჩირა, მაგრამ იდაყვმა უმტყუნა - საშინელმა ტკივილმა წონა დააგდებინა. ეს იყო მთავარი მომენტი - ტკივილისაგან საბოლოოდ ვერ გათავისუფლდა და შედეგად მესამე მისვლაც გააფუჭა. საბოლოოდ, 160 კილოგრამით ასანიძემ ატაცში მე-14 ადგილი დაიკავა.

მოსაცდელ დარბაზში შესვლის უფლება არ მაქვს, ამიტომ არ ვიცოდი, რა სირთულის ტრავმა მიიღო გიამ და შეძლებდა თუ არა აკვრაში გამოსვლას. იმას კი მივხვდი, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, საწყის წონას - 190 კილოს შეამცირებდა, საკითხავი იყო - რამდენით. ასეც მოხდა: **ვანო გრიქუროვმა** 187 კილოგრამი შეუკვეთა.

ვიფიქრე, არც ისე საშიშია ტრავმა, შეძლებს გაგრძელებას-მეთქი და იქნებ ათეულისთვისაც გაიბრძოლოს-მეთქი, თუმცა კულისებში სულ სხვანაიად ყოფილა საქმე: თურმე გიას 140 და 150 კილოგრამი მოთელვის დროს მკერდამდეც ვერ ამოჰქონდა, იმდენად სტანჯავდა ტკივილი. ამ მიზეზით პირველ ცდაზე გაუხურებლად გასვლამ მოუწია.

როგორც ჩანს, ასანიძეს საკუთარი შემართების იმედი ჰქონდა და მოსალოდნელ მარცხს არ ეპუებოდა. ჯიბრი ამ შემთხვევაში კარგია, მაგრამ უფრო ძლიერი ტკივილი აღმოჩნდა და მუხლებამდეც არ ჰქონდა ამოტანილი შტანგა, რომ ძირს დააგდო. ნულის მიღების საშიშროებამ მეტად შემართა ასანიძე და ორიოდ წუთში, მეორე მისვლაზე მკერდზე აილო, მაგრამ ფეხზე ვერ ადგა - ტკივილმა იდაყვიდან მარჯვენა ბეჭზე გადაინაცვლა და ამდენის გაძლება შეუძლებელი გახდა. დარჩენილი იყო ერთი სვლა და მარცხის შემთხვევაში საქართველოს ნაკრები ფაქტობრივად ემშვიდობებოდა 4 ოლიმპიურ ლიცენზიაზე ფიქრს. გია უფრო გაახელა ასეთმა პერსპექტივამ და არაადამიანური შემართებით მკერდზე აილო და ფეხზე ადგა. აკრა კიდეც, მაგრამ ველარ დაიმორჩილა - კვლავ ტკივილმა არ დაანება.

**როგორც გითხარით, ეს გიორგისთვის კარიერაში პირველი ნული იყო და ამან კიდევ უფრო დაწყვიტა გული. მაგრამ სპორტში ყველაფერი ხდება და ასეთი რამ კარგ ფორმაში მყოფ და ჯანმრთელ სპორტსმენებსაც, თანაც დიდ ძალოსნებსაც მოსვლიათ.**

**შეჯიბრის დასრულების შემდეგ ცხელ გულზე ვესაუბრე ასანიძეს და ხუმრობით შევახსენე - ნული ისეთ უდიდეს ძალოსნებსაც მიუღიათ - ალექსეევს, ვარდანიანს, რიგერტს, სულეიმანოღლუს, კახიაშვილს, შენ კი ამ კოჰორტაში ჩაეწერე-მეთქი.**

**კი გაიცინა, მაგრამ შევატყე, ეგ კარიერის დასრულებას არ უნდა აპირებდეს. აგერ, მისი პასუხები და თავად განსაჯეთ.**

- ასეთი ხალხის კომპანიაში ყოფნა ამ ნიშნითაც სასიამოვნოა, მაგრამ კარიერა დავასრულებ თუ არა, ჯერ დანამდვილებით ვერ გეტყვით. ვგრძნობ, რომ ჯანი ჯერ კიდევ მომდევს - შტანგა თითქოს არ იყო მძიმე და აწევა მხოლოდ ტკივილის გამო ვერ შევძელი. ჯანმრთელობა თუ შემიწყობს ხელს, ვფიქრობ, რომ მაღალ დონეზე გამოსვლას კვლავ შევძლებ.

**- არცთუ იოლი მოსარჩენია მარჯვენა ხელი, მით უფრო, რომ ორი ოპერაცია გაქვს გადატანილი...**

- საქართველოში დავბრუნდები თუ არა, ქუთაისში, ახალ სამედიცინო ცენტრში გავიკეთებ ოპერაციას. ასეთ ოპერაციებს იტალიელი ქირურგი ატარებს, რომელიც რამდენიმე დღით ჩამოდის. თუ რეაბილიტაცია კარგად წავიდა და ვარჯიში შევძელი, წინ არაფერი დამიდგება.

**- ასაკი მაინც თავისას შვება. და რა გარანტიაა, რომ სხვა რამ არ გეტკინება ან და უმძიმეს დატვირთვებს გაუძლებ?**

- ტკივილების სიმცირეს მართლა არ ვუჩივი - კარიერაში ასეთი ბევრი მქონია და ახლაც მაქვს. ამის დაძლევის არ მეშინია. გითხარით, ენერგიას ვგრძნობ და მოტივაციაც საკმარისი მაქვს - ერთ-ერთი იმ სკეპტიკოსთა გაჩუმებაა, რომლებიც ჩემი აქ ჩამოსვლის წინააღდეგი იყვნენ და ამ მარცხის შემდეგ კიდევ უფრო მიეცემათ სალაპარაკო. ჯანმრთელობა თუ ხელს შემიწყობს, კვლავ ვიბრძოლებ დიდ ტურნირებში გამარჯვებისთვის.

**- პოლიტიკურ კარიერაზე რას იტყვი - ეს ხომ დიდი წინაღობაა?**

- არც ეს იქნება პრობლემა - საჭირო დროს საჭირო რაოდენობით აუცილებლად გამოვნახავ.

ოპტიმიზმი აშკარაა, მაგრამ როგორ განვითარდება მოვლენები, მალე გამოჩნდება. - პეკინის ოლიმპიადისთვის უმაღლეს დონეზე რომ იყოს მზად, მინიმუმ ექვსთვიანი მზადებაა საჭირო. ოპერაციის შემდეგ აღდგენითი პერიოდიც გასათვალისწინებელია და 2007 წელს რომ ვერ გადასცდება საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადების ვადა, ფაქტია. ერთიც არის: ძალიან მაღალი შედეგებია ამ მსოფლიო ჩემპიონატზე და 85 კილოშიც ისეთი შტანგისტები არიან, მათი ძლევა ურთულესი საქმე იქნება...

დასტურად ფინალური ეტაპის, ანუ A ჯგუფის შედეგები უნდა ვნახოთ: აქ ბელარუსმა **ანდრეი რიბაკოუმ** გაიმარჯვა ფანტასტიკური შედეგით ატაცში - 187 კილოგრამი დაიმორჩილა და თავისივე მსოფლიო რეკორდი ერთი კილოგრამით გააუმჯობესა. ეს იყო ტურნირზე პირველი მსოფლიო რეკორდი. ანდრეიმ პირველი ცდაზე 200 კილო აჰკრა და ამით ჩემპიონობა გაინაღდა, მეორეზე კი 206 კილო დაიმორჩილა, რაც მსოფლიო რეკორდისთვის მოთელვას ჰგავდა. ბელარუსს რეკორდისთვის 209 კილო სჭირდებოდა და შეუკვეთა კიდეც, მაგრამ ვერ ასწია. სხვათა შორის, ეს ის რიბკაუა, ვინც ათენის ოლიმპიადაზე, სრულიად მოულოდნელად, მეორე ადგილი დაიკავა და კვარცხლბეკზე გიორგი ასანიძესთან და **პიროს დიმასთან** ერთად მოხვდა.

გიორგის ნულით მინიმუმ ათი ქულა დავკარგეთ, მაგრამ ორი კი შევიმატეთ - უფრო სწორად გიას ხელმოცარვით საბოლოო ცხრილში კიდევ ერთი საფეხურით წაიწია წინ ამავე წონაში გამოსულმა **რაულ ცირეკიძემ**, რომელმაც წინა დღით C ჯგუფში 337 კილოგრამით მე-6 ადგილი დაიკავა. A და B ჯგუფში 22 ძალოსანი გამოდიოდა, რაც თეორიულად რაულს 28-ე ადგილს უქადდა, მაგრამ ორ უძლიერეს ჯგუფში ასანიძის დარად კიდევ სამმა მიიღო ნული, ერთს კი რაულმა შედეგით აჯობა და საბოლოოდ 24-ადგილამდე აღზევდა.. ამით ქართულ ყულაბაში 2 ქულა ჩაჩხრიალდა და თუ ამას შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მიღებულ კოეფიციენტზე, 1.2-ზე გავამრავლებთ მივიღებთ 2.4-ს. ამას დავუმატოთ ზვიად სამუკაშვილის (22-ე ადგილი 56 კილოში) 4.8 ქულას, სულ - 7.. შეგახსენებთ, რომ პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები სწორედ გუნდურ ჩათვლაში ნაჩვენები შედეგის მიხედვით რიგდება. შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებით საქართველოს ნაკრები იმ ზონაშია, რომელიც 4 ლიცენზიას იძლევა. როგორც ჩანს, ამ შედეგის გაუმჯობესება ვერ მოხერხდება და ოთხი ლიცენზია გვექნება დასაცავი.

თუმცა, კვირა საღამოს ჯერ კიდევ გვეიმედებოდა "მძიმე არტილერიისა", რომელთაგან საქმეში პირველი, გუშინ საღამოს, ტაილანდური დროით 8 საათზე, **არსენ კასაბიევი** გამოვიდა.

| 85 კგ | |
|---|---|
| 1. ანდრეი რიბაკოუ, ბლრ | 393 (187+206) |
| 2. ასლამბეკ ედიევი, რუს | 372 (172+200) |
| 3. ვაძიმ სტრალცოუ, ბლრ | 370 (170+200) |
| 24. რაულ ცირეკიძე, საქ | 337 (154+183) |
| გიორგი ასანიძე, საქ | 0 (160+0) |

# კასაბიევი მეთერთმეტეა

კვირა საღამოსაც გულნაკლულნი დავრჩით - **არსენ კასაბიევმა** (84 კგ) იმაზე სუსტად იასპარეზა, ვიდრე შეეძლო: ატაცშიც და აკვრაშიც მხოლოდ თითო ცდა გამოიყენა და კიდევ კარგი, რომ ნული არ მიიღო, თორემ ბევრს დავკარგავდით. პირველ მოძრაობაში არსენმა 165 კილოთი დაიწყო. კარგადაც აიტაცა თუმცა სიმძიმე კი ეტყობოდა. მეორე ცდაზე 170 შეუკვეთა და აქ კი მოეცარა ხელი - თითქმის ატაცებული წონა უკან გადაუვარდა. კასაბიევიც მებრძოლ სპორტსმენად იცნობა და მესამე ცდაზე დიდა გვეიმედებოდა მისი ჟინისა. სამწუხაროდ, კვლავ უკან გადაუვარდა თითქმის დაძლეული შტანგა.

კასაბიევს აკვრაში უფრო მეტი შეუძლია და შესაბამისად მაღალი წონით დაიწყო - 208 კილო დაიმორჩილა. აქ კი ნამდვილად გამოჩნდა, რომ არსენს რაღაც ვერ ჰქონდა წესრიგში - ძალიან გაუჭირდა შტანგის მორევა. არადა თუ ათეულში შესვლა სურდა, მინიმუმ 215 უნდა აეკრა. შეუკვეთა კიდეც ქართულმა შტაბმა **(ვანო გრიქუროვი - რამაზ გურგენიძე)** 217. ამის გამო ლამის 20 წუთი მოუწია არსენს მოცდა.

როცა მისმა ჯერმა მოაწია, აღმოჩნდა, რომ ეს წონა აკვრაში ბრინჯაოს მედალს იძლეოდა. სიმართლე გითხრათ, ეჭვი მეპარებოდა, რომ კასაბიევი ამ წონას დაძლევდა, მაგრამ იმედი ხომ ბოლოს კვდება. ასეც მოხდა - მუხლებსაც ვერ ააცილა და კინაღამ უარესიც მოხდა, შტანგა უხერხულად დაუვარდა და მარცხენა მუხლზე დაეცა. ბედად, დროზე გამოაცილა ფეხი და შეხება არცთუ ძლიერი იყო, მაგრამ შემდეგი ცდა მაინც გააუქმა, სწორიც იყო - არსენი წონის ამწევი მაინც არ ჩანდა და შესაძლო იყო სერიოზული ტრავმა მიეღო...

ქართველის მონაგარი ორჭიდის ჯამში 373 კილოგრამი გახდა, რაც A ჯგუფში, სადაც 12 კაცი ასპარეზობდა, მეათე ადგილის სამყოფი იყო. თუმცა არსენის გადასწრება B ჯგუფიდან ერთმა შეძლო და ამიტომ მეთერთმეტე ადგილზე დაასრულა ჩემპიონატი. მეთერთმეტე ადგილი 15 ქულას იძლევა, რაც 1.2-ზე ნამრავლით 18 ქულას უდრის. საერთო ჯამში დღეისთვის საქართველოს ნაკრებს 25.2 ქულა აქვს და კიდევ შერჩენია 4 ლიცენზის მოპოვების შანსი.

წონის ფავორიტებს რაც შეეხება, უშელავათო ბრძოლა გაიმართა და აშკარა ფავორიტის, ვანო გრიქუროვის პოლონელი შეგირდის, პოლონელი **შიმონ კოლეცკის** მარცხით დასრულდა - შიმონი მესამე ადგილზე გავიდა. ჩემპიონობა კი რუსმა **რომან კონსტანტინოვმა** მოიპოვა. ატაცში 177 კილო დაძლია, აკვრაში კი 220. მეორე ადგილზე კუბელი **იოანდრის ერნანდესია**, რომელმაც ორჭიდში 393 კილოგრამი დააგროვა (173+220). კოლეცკიმ ატაცში 173-ით დაიწყო და აიტაცა წონა, შემდეგ კი ორჯერ დააგდო 176. აკვრაშიც იგივე სცენარი განვითარდა - ყველაზე მეტით - 219-ით დაიწყო და გაუჭირდა აწევა, შემდეგ კი 225-ზე ზემოთ აკვრა ვერ მოახერხა.

ერთი სიტყვით, ცუდი უიკენდი გამოგვივიდა. ახლა 105 კილოში ველით ქართველთა გამოსვლას - **გია მაჭავარიანი და ალბერტ კუზილოვი** B ჯგუფში იასპარეზებენ. მათი მიზანი ოცეულში შესვლაა. ტრავმები ამათაც აწუხებთ და როგორ შეძლებენ ამოცანის შესრულებას, ძალზე საინტერესოა. ერთი რამ გვამშვიდებს ამ ქულათა რბოლაში: ჩვენმა ძირითადმა კონკურენტებმა თითქმის დაასრულეს ასპარეზობა, და არც ისე შორს ჩამოგვიტოვეს. ეს კი შანსს გვიტოვებს - თუ, რა თქმა უნდა, მაჭავარიანიც და კუზილოვიც იმ შედეგს აჩვენებენ, რაზეც დღეისთვის არიან მზად...

**ზვიად შათირიშვილი**
ჩიან მაიდან

| 94 კგ | |
|---|---|
| 1. რომან კონსტანტინოვი, რუს | 397 (177+220) |
| 2. იოანდრის ერნანდესი, კუბ | 393 (173+220) |
| 3. შიმონ კოლეცკი, პოლ | 392 (173+219) |
| 11. არსენ კასაბიევი, საქ | 373 (165+208) |



არსენ კასაბიევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლიცენზია არ გვექნება

**მხატვრული ტანვარჯიში.** ბერძნულ პატრასში დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში, სადაც სამი ქართველი ტანმოვარჯიშე მონაწილეობდა. მსოფლიო ჩემპიონატი პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებს იძლეოდა, ოღონდ ამისთვის მოწინავე 20-ეულში მოხვედრა იყო საჭირო. ჩვენმა გოგონებმა ეს ვერ შეძლეს და პეკინში ასპარეზობის იმედიც საბოლოოდ გადაიწურეს. ყველაზე მეტი ქულა საკვალიფიკაციო ტურნირში **მზევინარ სამუკაშვილმა** დააგროვა - 46.700, მაგრამ ეს მხოლოდ 24-ე ადგილზე გასასვლელად ეყო. **თათია დონაძე** 44.950 ქულით მე-40 ადგილზე გავიდა, **ქეთევან ხატიაშვილი** - 43.200 ქულით მხოლოდ 58-ე იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ვერცხლი ბირმინგემში

**ძიუდო.** ბირმინგემში დამთავრდა მსოფლიო თასი ძიუდოში, რომელიც სალიცენზიო ქულებსაც იძლევა. როგორც ადრე გაცნობეთ, ჩვენი ნაკრები იქ შესუსტებული შემადგენლობით გაემგზავრა და შედეგიც არაა ისეთი, როგორითაც ძიუდოისტები გვანებივრებენ - ერთი ვერცხლის მედალი, რომელიც მძიმეწონოსანმა **ადამ ოქრუაშვილმა** მოიპოვა. მან ფინალური შეხვედრა ესტონელ **მარტინ პადართან** წააგო.

ბრინჯაოსთვის იჭიდავა **გრიგოლ შინჯიკაშვილმაც** (81), თუმცა სლოვაკ სედეჩ ალჯაზთან დამარცხდა და მეხუთეზე დარჩა. აქვე გეტყვით, რომ მან ძირითად ბადეში პორტუგალიელ **ჟოაო პინასთან** წააგო. ასევე მეხუთეზე გავიდა **ვახტანგ ხოსიტაშვილიც**, თუმცა მან ზედა წონაში - 66-ში იჭიდავა, დანარჩენები კი ადრევე გავარდნენ.

## ბუნდი ბოლოში, ბომბარდირი მეექვსეზე

**ხელბურთი.** სერგო დათუკიშვილის ბუნდესლიგურმა კლუბმა "ლიუბეკმა" გერმანიის ჩემპიონატის მორიგ ტურში სტუმრად "ვეტცლართან" წააგო - 22:25. 6 ტურის შემდეგ კლუბი, ხუთი ნაგებითა და ერთი ფრით, სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზე იმყოფება. სამწუხაროდ, თავი დიდად ვერც ქართველმა გამოიჩინა. სერგომ "ვეტცლართან" მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში მესამე საფეხურიდან მეექვსემდე ჩამოქვეითდა.

ბომბარდირთა სიას სათავეში უდგას "ფუქსეს" ხელბურთელი **კონრად ვილჩინსკი**, რომლის ანგარიშზეც 44 გოლია (აქედან 24 პენალტით აქვს გატანილი). 42-42 გოლით მას კვალში მიჰყვებიან **მიხაელ კრაუსი** ("ლემგო", 15 პენალტი), **გუდიონ სიგურდსონი** ("გუმერსბახი", 8 პენალტი), **არნე ნეიმაიერი** ("მინდენი") და **სავას კარიპიდისი** ("მელზუნგენი"). დათუკიშვილი 40 გოლით მეექვსეა.

აღსანიშნავია, რომ დათუკიშვილი თანაგუნდელთაგან აშკარად გამოირჩევა. ლიუბეკელთაგან სერგოს შემდეგ, საუკეთესო გოლეადორია **ტორირ ოლაფსონი**, რომელსაც მხოლოდ 22 გოლი აქვს გატანილი.

**კობა ხატისაშვილი**

## თარიღი

**შალვა გორგასლიძე.** 23.09.1917, თბილისი - 23.08.1991, იქვე. კრივი. სსრკ ჩემპიონი პირად (1944) და გუნდურ პირველობებში (1945), სსრკ ჩემპიონატების მეორე (1945) და ოთხგზის მესამე პრიზიორი (1937-40) პირად ასპარეზობაში, საქართველოს 13-გზის ჩემპიონი. რინგზე ჩაატარა 149 ორთაბრძოლა, მოიგო 132, აქედან 24 - ნოკაუტით. წლების განმავლობაში იყო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი. ავარჯიშებდა სსრკ ჩემპიონებს ამირან ხიზანიშვილსა და მურმან თაქთაქიშვილს. იყო საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე (1956-67). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**ჯონდო მუზაშვილი.** დაიბადა 23.09.1970, გალავანი, მცხეთა. სამბო (74 კგ). მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (1995, 96, 97), მეორე (1993) და მესამე (1994) პრიზიორი, მსოფლიოს თასის მფლობელი (1996), ევროპის ჩემპიონი (1994) და მესამე პრიზიორი (1995). საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი (1998-იდან). ღირსების ორდენის კავალერი.

**ბადრი ხასაია.** დაიბადა 24.09.1979, ქუთაისი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (74 და 84 კგ). ევროპის ჩემპიონი (2002) და მესამე პრიზიორი (2005), მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე (2002) და მესამე (2007) პრიზიორი, მსოფლიოს თასის მფლობელი (2004) ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი (1999) და მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1998).

# ყოჩაღი ტონგა და ნაჩუქარი პრემია



ტონგამ ქართველების გმირობა გაიმეორა

ტონგამ მთლად ჩვენისთანა ვერა, მაგრამ მსგავსი გმირობა ჩაიდინა სამხრეთ აფრიკასთან. მთლად ჩვენისთანა იმიტომ ვერა, რომ მათ ბოლო წუთებზე მეტოქესთან მოგების შანსი არ ჰქონიათ, უბრალოდ, სხვაობა შეამცირეს და პრემიალური ქულა მიიღეს - 25:30.

"ქურციკებმა" ტაიმი 7:3 მოიგეს, მაგრამ მას შემდეგ რაც **ანდრე პრეტორიუსმა** 4 საჯარიმო ააცილა, 45-ე წუთზე ტონგა დაწინაურდა - 10:7. 54-ეზე ანგარიში თანაბარი იყო (10:10), მერე აფრიკამ თითქოს გატეხა მეტოქე და 3 ლელოთი 27:10 დაწინაურდა (65-ე წუთი), მაგრამ 70-ე და 72-ე წუთებზე ტონგამ ორი ლელო გაიტანა - 22:27. ფავორიტმა თავი ქუდში **მონტგომერის** საჯარიმოს შემდეგ დაიგულა 76-ე წუთზე (30:22), მაგრამ **პიერ ჰოლამ** 5-ქულიანი სხვაობა ორ წუთში აღადგინა.

ყოჩაღმა ტონგელებმა გაინაღდეს ჯგუფში მესამე ადგილი და ამით - შემდეგ მსოფლიო თასზე შესარჩევი ტურნირის გაუვლელად თამაში, ახლა კი ინგლისს შეებრძოლებიან მეოთხედფინალში გასასვლელად.

ინგლისი კი უკვე გუნდია! **ჯონი ვილკინსონმა** შაბათს ააცილა 2 საჯარიმო, თითო გარდასახვა და არეკნი, მაგრამ უამისოდაც 24 ქულა მოაგროვა და თან თამაში დაალაგა. 30 წუთის შემდეგ ინგლისი 23:6 იგებდა, მაგრამ შესვენებამდე და თამაშის განახლების შემდეგ სამოა ძალიან სახიფათოდ დაუახლოვდა მეტოქეს - 22:26, 47-ე წუთზე. მთელი 20 წუთი ანგარიში არ შეცვლილა სანამ ვილკინსონმა არეკნი არ გაიტანა და ცენტრსგალმიდან - საჯარიმო - 32:22.

82-ე წუთი დაიწყო, როცა გაირკვა, რომ ინგლისს მეოთხე ლელო ვერ გაჰქონდა და პრემიას ვერ იღებდა. არაფერში ეს პრემია არ სჭირდებოდა, თეორიული ვარიანტის გარდა (ვთქვათ და, ინგლისი-ტონგა ფრედ დასრულდა და მაშინ ტონგა ერთი ქულით წინ დარჩებოდა), მაგრამ მსაჯმა მაინც აალებინა! ნამზომი უკვე განითლებული იყო, როცა მსოფლიო ჩემპიონს ჯარიმა ერგო. ერთადერთი შანსი ბურთის გათამაშება იყო, მაგრამ ირლანდიელმა **ალან ლუისმა** ვილკინსონს ნება დართო კიდეზე დაერტყა! დერეფნის შემდეგ ჯონიმ მეტოქე დაფინტა და ბურთი მოკლე ფრთაზე გაატანა **პოლ საკის** - 44:22 39:22-ის ნაცვლად... ინგლისი კონკურენტს დაეწია, მაგრამ ფრის შემთხვევაში მეოთხედფინალში მაინც ტონგა უნდა გავიდეს, რადგანაც ბურთების სხვაობა უკეთესი აქვს.

ნამიბიამ ერთი ტაიმი გაძლო არგენტინასთან (3:25) და მერე განადგურდა, თუმცა მწვრთნელი **ჰაკის ჰუსელმანმა** მაინც დაიქადნა - საქართველოსთან მოსაგებად ვიბრძოლებთო. ნამიბიასთან თამაშამდე 2 დღე დარჩა. დღეს, 20 საათამდე საქართველოს ნაკრების შტაბმა შემადგენლობა უნდა დაასახელოს...



მონატრებული სურათი. ჯონი ვილკინსონი დაბრუნდა!

| ბომბარდირები | თ | ქ | ლ | გ | ს | ა |
|---|---|---|---|---|---|---|
| პერსი მონტგომერი (ს.აფრ) | 3 | 52 | 2 | 9 | 8 | - |
| ფელიპე კონტეპომი (არგ) | 3 | 42 | 1 | 5 | 9 | - |
| ჟან-ბატისტ ელისალდი (საფ) | 3 | 42 | 1 | 11 | 5 | - |
| მეტ გიტო (ავს) | 3 | 40 | 3 | 8 | 3 | - |
| პიერ ჰოლა (ტონგა) | 3 | 34 | - | 5 | 8 | |
| ნიკ ევანსი (ზელ) | 2 | 33 | 1 | 14 | - | - |
| სტირლინგ მორტლოკი (ავს) | 2 | 32 | 1 | 9 | 3 | - |
| დან კარტერი (ზელ) | 2 | 32 | 1 | 9 | 3 | - |
| დაგ ჰაულიტი (ზელ) | 2 | 25 | 5 | - | - | - |
| დრიუ მიჩელი (ავს) | 3 | 25 | 5 | - | - | - |
| ვენსან კლერი (საფ) | 3 | 25 | 5 | - | - | - |
| შეინ ვილიამსი (უელსი) | 3 | 25 | 5 | - | - | - |
| ჯონი ვილკინსონი (ინგ) | 1 | 24 | - | 3 | 4 | 2 |
| ნიკი ლითლი (ფიჯი) | 2 | 24 | - | 6 | 4 | - |
| სტივენ ჯოუნზი (უელსი) | 3 | 24 | - | 9 | 2 | - |
| ქრის პატერსონი (შოტლ) | 2 | 23 | 1 | 9 | - | - |
| გევინ ვილიამსი (სამოა) | 2 | 22 | 1 | 1 | 5 | - |
| შოტარო ონიში (იაპონია) | 2 | 22 | - | 2 | 6 | - |
| დავიდ ბორტოლუსი (იტა) | 3 | 21 | - | 3 | 5 | - |
| ჯეიმზ ჰუკი (უელსი) | 3 | 21 | 1 | 2 | 4 | - |

| ყველა დროის | თ | ქ | ლ | გ | ს | ა |
|---|---|---|---|---|---|---|
| გევინ ჰესტინგსი (შოტ) | 13 | 227 | 9 | 39 | 36 | - |
| **ჯონი ვილკინსონი (ინგ)** | **11** | **206** | **1** | **21** | **43** | **10** |
| მაიკლ ლაინაფი (ავს) | 15 | 195 | 4 | 35 | 33 | 2 |
| გრანტ ფოქსი (ზელ) | 10 | 170 | - | 37 | 31 | 1 |
| ენდი მერთენსი (ზელ) | 10 | 163 | 1 | 25 | 33 | 3 |
| 10. ნიკი ლითლი (ფიჯი) | 10 | 107 | - | 19 | 22 | 1 |
| 11. ფრედერიკ მიშალაკი (საფ) | 9 | 103 | 2 | 18 | 18 | 1 |

**მელელოვეები**

**5** - დაგ ჰაულიტი (ზელ), დრიუ მიჩელი (ავს), შეინ ვილიამსი (უელ), ვენსან კლერი (საფ),

**4** - ბრაიან ჰაბანა (ს.აფრ), რორი ლემონი (შოტ), ქრის ლეითემი (ავს)

**3** - ჯეიკი პიტერსენი (ს.აფრ), ჯერი კოლინზი (ზელ), ალისტერ ჰოგი (შოტ), მეტ გიტო, როკი ელსომი (ავს), რიჩი მაკქოუ (ზელ)

**2** - პოლ საკი, მარტინ ქორი (ინგ), მარტინ ვილიამსი, ალუნ-ვინ ჯოუნზი (უელ), კელე ლეავერე, კამელი რატუვოუ, აკაპუსი ქერა (ფიჯ), ალი ვილიამსი, სიტივენი სივივატუ, აარონ მეიჯერი, ჯო როკოთოკო, კონრად სმითი (ზელ), ადამ ეშლი-კუპერი, ბერიკ ბარნსი (ავს), ლიონელ ნალე, სებასტიან შაბალი (საფ), ხუან ლეგისამონი, იგნასიო კორლეტო, ლუკას ბორხესი (ავს), ლუკ თომპსონი (იაპ), რუან პინარი, ჟუან სმითი, პერსი მონტგომერი (ს.აფრ), ანდრეა მაზი (იტა), ვილიამი ვაკი (ტონ).

**ყველა დროის:** ჯონა ლომუ (ზელ) - 15 (11 თამაშში), **დაგ ჰაულიტი (ზელ) - 12 (9)**, რორი ანდერვუდი (ინგ) - 11 (15), **ქრის ლეითემი (ავს) - 10 (5)**, დევიდ კემპიზი (ავს) - 10 (15), **ბრაიან ლიმა (სამ) - 10 (18)**

**22 სექტემბერი. ლანსი. A**

**სამხ. აფრიკა-ტონგა 30:25**

აფრ: (15-9) პინარი, ვილემსე (ჰაბანა 48 სბ 69), ოლიფიე, იულისი (შტაინი 48 სბ 63), პიტერსენი, პრეტორიუსი (მონტგომერი 60), იანუარი; (1-8) სტენკამპი, გ. ბოთა (ჯ.სმითი 48), ფანდერლინდე (ბრ. ბოთა 48), ბაკის ბოთა, ფანდენბერხი (მეტფილდი 48), ფანჰირდენი, როსუ (ჟ.სმითი 50), სკინსტადი - 4ლ (პინარი 2, ჟ. სმითი, სკინსტადი), 2გ (პრეტორიუსი, მონტგომერი), 2ს (შტაინი, მონტგომერი)

ტონ: (15-9) ლილო, ტუიფუა, ჰუფანგა, ტაიონე (ტუპოუ 77), ვაკა სბ 63 (ჰავილი 73), ჰოლა, ტუიპოლოტუ (ჰავეა 67); (1-8) ს.ტონგაუიჰა, ლუტუი (ტაუფაკა 67), პულუ, ჰეჰეა, კაუჰენგა (აფეაკი 51), ვაკი, ლატუ (ფილიპინე 67), მაკა - 3ლ (პულუ, ჰუფანგა, ვაკი); 2გ,2ს (ჰოლა)

**22 სექტემბერი. ნანტი. A**

**ინგლისი-სამოა 44:22**

ინგ: (15-9) ლუსი, კუეტო, ტეიტი (ჰიპკისი 73), ბარკლი, საკი , ვილკინსონი, გომერსოლი; (1-8) შერიდანი (ფრეშვოტერი 65), ჩატერი, სტივენსი, შოუ (ბორზვიკი 65), ქეი, ქორი, ვორსლი (მუდი 70), ისტერი - 4ლ (ქორი 2, საკი 2); 3გ, 4ს,2ა (ვილკინსონი)

სამ: (15-9) კრიჩტონი, ლემი, მაპუსუა (მეაფოუ 70), ლიმა (ლუი 73), ტუილაგი, ფუიმაონო-საპოლუ, პალუ (სოოიალო 67); (1-8) ლეალამანუა (პალაამო 62), შვალგერი, ჯონსტონი, ტეკორი (პერდი 75), თომპსონი, ლეო, სიტიტი, ჰენრი ტუილაგი (ვაელუაგა 70) - ლ (პოლუ); გ,5ს (კრიჩტონი)

| A ჯგუფი | თ | მ | ფ | ნ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ს.აფრიკა | 3 | 3 | 0 | 0 | 125-32 | 2 | 14 |
| ტონგა | 3 | 2 | 0 | 1 | 69-60 | 1 | 9 |
| ინგლისი | 3 | 2 | 0 | 1 | 72-68 | 1 | 9 |
| სამოა | 3 | 0 | 0 | 3 | 44-122 | 1 | 1 |
| აშშ | 2 | 0 | 0 | 2 | 25-53 | - | 0 |

26 სექ, 22:00 სამოა-აშშ
28 სექ, 23:00 ინგლისი-ტონგა
30 სექ, 22:00 ს.აფრიკა-აშშ

**22 სექტემბერი. მარსელი. D**

**არგენტინა-ნამიბია 63:3**

არგ: (15-9) კორლეტო (სერა-მირასი 65), სენილიოსა, ტიესი, მ. კონტეპომი, აგულა, ფ. კონტეპომი (ტოდესკინი 59), პიშო (ნ. ფერნანდეს-მირანდა 56); (1-8) რონსერო (სკელსო 66), ვერნეტ-ბასუალდო, ჰასანი, ი. ფერნანდეს-ლობე (ალვარესი 66), ალბასეტე, ოსტილია, ხ. ფერნანდეს-ლობე, ლეგისამონი (ლონგო 59) - 9ლ (რონსერო, ლეგისამონი 2, მ.კონტეპომი, ფ.კონტეპომი, ტიესი, კორლეტო, საჯარიმო, ტოდესკინი), 6გ (ფ.კონტეპომი 4, ტოდესკინი 2), 2ს (ფ.კონტეპომი)

ნამ: (15-9) ბოკი, მოუტონი (ლანგენჰოვენი 53), ხრობლერი (ფანზილი 51), პაუელი, აფრიკა, შრიოდერი (ფანტონდერი 73), იანჩისი; (1-8) რედელინგჰოისი, მაიერი (ჰორნი 41), ფისერი (ლენსინხი 41), კაზომბიაზე (სენეკალი 60), ესტერჰოიზე, მაკკენზი (ლინდფელტი 39), ბურხერი, დუპლესი - ს (შრიოდერი)

| D ჯგუფი | თ | მ | ფ | ნ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3 | 3 | 0 | 0 | 113-18 | 2 | 14 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 124-30 | 2 | 10 |
| ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 49-52 | 1 | 9 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 13-47 | 1 | 1 |
| ნამიბია | 3 | 0 | 0 | 3 | 30-182 | - | 0 |

26 სექ, 20:00 TV საქართველო-ნამიბია
30 სექ, 17:00 TV საფრანგ.-საქართველო
30 სექ, 19:00 ირლანდია-არგენტინა

**23 სექტემბერი. მონპელიე. B**

**ავსტრალია-ფიჯი 55:12**

ავს: (15-9) ლეითემი, მიჩელი, ეშლი-კუპერი, გიტო, ტუკირი, ბარნსი (სტანიფორსი 62, ჰაქსლი 68), გრეგანი (კორდინგლი 58); (1-8) დანინგი (ჰოლმსი 58), მური (ფრეიერი 58), შეპერდსონი, ჩიზჰოლმი, ვიკერმანი, ელსომი (მაკმენიმენი 58), ვოო, პალუ (ჰოილზი 66) - 7ლ (გიტო 2, მიჩელი 3, ეშლი-კუპერი, ჰოილზი); 4გ,3ს (გიტო), ა (ბარნსი)

ფიჯ: (15-9) ლიგაირი, დელასაუ, კუნავორე (ლოვობალავუ 65), ბაი, ნეივუა, ლუვენიალი (რაბენი 41), დაუნივუკუ (რაულუნი 41); (1-8) იალაიალატაბუა (რაილომო 60), საუტურაგა, ქიოდრავუ, დომოლაილაი (ლევარავუ 41), რაუაკა, ტალეი (კოიამაიბოლე 63), რატუვა, ქოვუ - 2ლ (ნიევუა, რატუვა); გ (ბაი)

| B ჯგუფი | თ | მ | ფ | ნ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 3 | 3 | 0 | 0 | 178-35 | 3 | 15 |
| უელსი | 3 | 2 | 0 | 1 | 134-67 | 2 | 10 |
| ფიჯი | 3 | 2 | 0 | 1 | 76-102 | 2 | 10 |
| იაპონია | 3 | 0 | 0 | 3 | 52-198 | 1 | 1 |
| კანადა | 2 | 0 | 0 | 2 | 33-71 | - | 0 |

25 სექ, 20:00 კანადა-იაპონია
29 სექ, 17:00 ავსტრალია-კანადა
29 სექ, 19:00 უელსი-ფიჯი

**23 სექტემბერი. ედინბურგი. C**

**შოტლანდია-ზელანდია 0: 40**

შოტ: (15-9) საუსველი, ვოკერი, დიროლო, ჰენდერსონი (დიუი 60), ვებსტერი, პატერსონი (პარქსი 21), კაზიტერი (რ. ლოუსონი 59); (1-8) დიკინსონი (სმითი 66), ს. ლოუსონი (თომსონი 58), სმითი (ქერი 51), მაკლიოდი (ჰემილტონი 69), ს. მარი, ბრაუნი, ბარკლაი, კალემი

ზელ: (15-9) მაკდონალდი (ევანსი 21), ჰაულიტი, სმითი (ტოეავა 65), მაკალისტერი, სივივატუ, კარტერი, კელეჰერი (ლეონარდი 59); (1-8) ვუდკოკი (ჰორ 59), ოლივერი, ჰეიმენი (ტიალატა 65), სორნნი, ვილიამსი (ჯეკი 66), მასოი, მაკქოუ (ლაუაკი 61), სოოიალო - 6ლ (მაკქოუ, ჰაულიტი 2, კელეჰერი, ვილიამსი, კარტერი); 2გ, 2ს (კარტერი)

| C ჯგუფი | თ | მ | ფ | ნ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზელანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 224-27 | 3 | 15 |
| შოტლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 98-50 | 2 | 10 |
| იტალია | 3 | 2 | 0 | 1 | 69-99 | - | 8 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 18-66 | 1 | 1 |
| პორტუგალია | 3 | 0 | 0 | 3 | 28-195 | - | 0 |

25 სექ, 22:00 რუმინეთი-პორტუგალია
29 სექ, 15:00 TV ზელანდია-რუმინეთი
29 სექ, 23:00 TV შოტლანდია-იტალია

## თარიღი



**მალხაზ ურჯუკაშვილი.** დაიბადა 24.09.1980, თბილისი. საქართველოს ნაკრებში ჩაატარა 53 მატჩი (15 ლელო, 272 ქულა). უთამაშია ყველა პოზიციაზე, 10-დან 15 ნომრამდე. 2001 წლის ევროპის ერთა თასის მფლობელი (4 მატჩი, 1 ლელო, 8 ქულა); 2003 (3 მატჩი, 6 ქულა) და 2007 წლების (2 მატჩი) მსოფლიო თასების მონაწილე. ნაკრებში პირველად ითამაშა 1997 წელს, ჯერ კიდევ სკოლის მოწაფემ და 4 საჯარიმო გაუტანა რუსეთს მსოფლიო თასის შესარჩევ მატჩში (12:6). შვიდკაცას მსოფლიო თასის გათამაშების ორგზის მონაწილე (2001, 05).



კეისი სტოუნერი

მოტორბოლა

**მსოფლიო ჩემპიონატი**
იაპონიის გრან-პრი
XV ეტაპი

125 კუბ.სმ (21 წრე - 100.821 კმ)

1. **პაზინი** (იტალია, "აპრილია) - 46:29.900; 2. **ტალმაში** (უნგრეთი, "აპრილია") - +2.985; 3. **ფაუბელი** (ესპანეთი, "აპრილია") - +22.405; 4. **დი მელიო** (საფრანგეთი, "ჰონდა") - +33.751; 5. **ოლივე** (ესპანეთი, "აპრილია") - +37.351.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ტალმაში** - 229 ქულა; 2. **ფაუბელი** - 220; 3. **კოიამა** (იაპონია, KTM) - 156; 4. **პაზინი** - 144; 5. **კორსი** (იტალია, "აპრილია") - 142.

250 კუბ.სმ (23 წრე - 110.423 კმ)

1. **კალიო** (ფინეთი, KTM) - 48:28.585; 2. **დოვიციოზო** (იტალია, "ჰონდა") - +4.893; 3. **ბარბერა** (ესპანეთი, "აპრილია") - +21.527; 4. **ტაკაჰაში** (იაპონია, "ჰონდა") - +23.488; 5. **დე ანჯელისი** (სან მარინო, "აპრილია") - +25.378.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ლორენსო** (ესპანეთი, "აპრილია") - 262 ქულა; 2. **დოვიციოზო** - 226; 3. **დე ანჯელისი** - 208; 4. **ბაუტისტა** (ესპანეთი, "აპრილია") - 161; 5. **ბარბერა** - 146.

მოტოგრანპრი (24 წრე - 115.224 კმ)

1. **კაპიროსი** (იტალია, "დუკატი") - 47:05.484; 2. **დე პიუნიე** (საფრანგეთი, "კავასაკი") - +10.853; 3. **ელიასი** (ესპანეთი, "ჰონდა") - +11.526; 4. **გინტოლი** (საფრანგეთი, "იამაჰა") - +12.192; 5. **მელანდრი** (იტალია, "ჰონდა") - +28.569.

**საერთო ჩათვლა:** 1. **სტოუნერი** (ავსტრალია, "დუკატი") - 297 ქულა; 2. **როსი** (იტალია, "იამაჰა") - 214; 3. **პედროსა** (ესპანეთი, "ჰონდა") - 188; 4. **ჰოპკინსი** (ბრიტანეთი, "სუძუკი") - 156; 5. **ვერმიულენი** (ავსტრალია, "სუძუკი") - 152.

კეისი სტოუნერმა და ვალენტინო როსიმ იაპონიის გრან-პრიში შესაბამისად მეექვსე და მე-13 ადგილები დაიკავეს, რაც იმას ნიშნავს, რომ სეზონის დასრულებამდე სამი ეტაპით ადრე, ავსტრალიელმა სტოუნერმა ვადაზე ადრე გაინალდა ჩემპიონის ტიტული.

კალათბურთი

## პარისის 50 მილიონი

"დალას მავერიქსის" ხელმძღვანელობამ **დევინ ჰარისთან** კონტრაქტის გაფორმების შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა. მართალია, ხელშეკრულების დეტალები არ გახმაურებულა, მაგრამ ამერიკული პრესისთვის ცნობილი გახდა, რომ კონტრაქტი ხუთწლიანია და კალათბურთელი ჯამში 50 მილიონ დოლარს მიიღებს.

ცნობილია, რომ ჰარისი მზად იყო "დალასთან" კონტრაქტის გაგრძელებაზე. 2004 წლის დრაფტის მეოთხე ნომერი, რომელიც "მავერიქსში" "ვაშინგტონიდან" მივიდა, ყოველწლიურად აუმჯობესებდა სტატისტიკურ მაჩვენებლებს.

## რუფინი მილუოკის შეუერთდა

"მილუოკი ბაქსმა" კონტრაქტი გააფორმა თავისუფალ აგენტ **მაიკლ რუფინთან**. პრესას ეს ინფორმაცით კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **დარი ჰარისმა** მიაწოდა, თუმცა მას არ დაუკონკრეტებია ხელშეკრულების ფინანსური დეტალები.

*"შეიძლება მაიკლი NBA-ის ვარსკვლავი არ იყოს, მაგრამ მას მოედანზე ბევრი საჭირო რამის გაკეთება შეუძლია, რაც გუნდს გამარჯვებების მოპოვებაში დაეხმარება"*, - განაცხადა ჰარისმა.

ჰოკეი

## ტორონტოს დანაკლისი აქვს

"ტორონტო მეიპლ ლივზი" მოახლოებულ რეგულარულ ჩემპიონატს თავისი ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდის გარეშე დაიწყებს. ოპერაცია გაიკეთა **კაილ ველვუდმა**, რომელსაც მინიმუმ ერთი თვე მოუწევს იძულებითი დასვენება.

*"ჩვენ მხოლოდ ორი დღის წინათ გავიგეთ, რომ კაილს ოპერაცია სჭირდებოდა. ქირურგიული ჩარევა წარმატებული გამოდგა და მოუთმენლად ველით ყინულზე მის დაბრუნებას"*, - განაცხადა "ტორონტოს" მთავარმა მწვრთნელმა **ჯონ ფერგიუსონმა**.

## შვედეთმა მსოფლიო ჩემპიონატი მიიღო

2013 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება შვედეთმა მოიპოვა. შესაბამისი კენჭისყრა ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა ჩაატარა. 96 დელეგატიდან, 70-მა შვედეთის კანდიდატურას დაუჭირა მხარი.

15 ხმა მიიღო ბელარუსმა, 8 - უნგრეთმა, 3 - ჩეხეთმა, ხოლო ლატვიამ კენჭისყრამდე მოხსნა თავისი კანდიდატურა.

2013 წელს ჩემპიონატი ორ ქალაქში - სტოკჰოლმსა და მალმიოში ჩატარდება. სტოკჰოლმში მატჩებს ცნობილი "გლოუბ არენა" (13 850 მაყურებელი) უმასპინძლებს, მალმიოში კი, 12 ათას მაყურებელზე გათვლილი დარბაზი შენდება.

## მსოფლიო პირველობას რეგლამენტს შეუცვლიან

ზემოთ აღნიშნულ კონგრესზე მსოფლიო ჩემპიონატების რეგლამენტში ერთი მოსალოდნელი ცვლილება განიხილეს. შესაძლოა, ამ ტურნირის მონაწილეთა რიცხვი 16-დან 14-მდე შემცირდეს.

*"ჩვენ განვიხილავთ ამგვარ შესაძლობლობას. ამ პროექტით, 14 გუნდი ორ ჯგუფად დაიყოფა. გარდა ამისა, გამორიცხული არ არის, მსოფლიო ჩემპიონატის რეგლამენტში სხვა ცვლილებებიც შევიტანოთ"*, - განაცხადა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **კალერვო კუმოლამ**.

თუ ფედერაციაში მონაწილეთა რიცხვის შემცირება მოიწონეს, ეს სიახლე 2010 წლიდან შევა ძალაში. წლეულს მსოფლიო ჩემპიონატს გერმანია უმასპინძლებს.

კალათბურთი

ინტერვიუ ლარი ბერდთან

# ჯერმეინ ონილი ინდიანაში რჩება

ეროვნული ბიბლიოთეკა

**"ინდიანა პეისერზის" მფლობელს, დონი უოლშს რომ ჰკითხოთ, გუნდის პერმანენტული წარუმატებლობა ყველაზე ნაკლებად ლარი ბერდის ბრალია. NBA-ის ლეგენდა "პეისერზში" მეორე კაცია და მის გარეშე, ვერც უოლში და ვერც მთავარი მწვრთნელი ტრანსფერის განხორციელებას ვერ ბედავენ. ბერდი გუნდს ჯერ მთავარი მწვრთნელის სტატუსით აშენებდა, მერე კი საკალათბურთო ოპერაციების ვიცე-პრეზიდენტადაც დაინიშნა. ბერდი-მწვრთნელის რანგში გუნდმა გაცილებით ბევრს მიაღწია, ვიდრე ლარის ჩინოვნიკურ სავარძელში მოკალათების შემდეგ, ბოლო წლებში კი "პეისერზი" რეგულარულების მთავარ იმედგაცრუებად იქცა. ლარი "ინდიანას" თავკაცობისას სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს (1997/98), მერე კი რეჯი მილერის, რიკ სმითსისა და მარკ ჯექსონის შესანიშნავი გამოსვლით, გუნდმა გზა სუპერფინალამდე გაიკვალა, სადაც დაძაბულ სერიაში 2:4 შაკილ ონილისა და კობი ბრაიანტის "ლეიკერსთან" დამარცხდა (2000). ამის შემდეგ, ბერდმა სამწვრთნელო კარიერის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. დღევანდელი "ინდიანა" კი რეგრესს განიცდის - შემადგენლობა ძლიერდება, ჯერმეინ ონილის სახით ჰყავს ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მაღალი მოთამაშე, მაგრამ შედეგი არ ჩანს. გაუმჯობესებულ აღმოსავლეთში "ინდიანა" ნელ-ნელა უფსკრულისკენ მიექანება, თუმცა ლარი ბერდი დარწმუნებულია, რომ დამდეგ სეზონში მისი გუნდი, წინა წლებთან შედარებით გაცილებით მაღალი დონის კალათბურთს ითამაშებს და ამის გაკეთება რაიმე განსაკუთრებული ტრანსფერის განხორციელების გარეშეცაა შესაძლებელი.**

**- ლარი, სეზონი ახლოვდება, "ინდიანაში" კი კვლავ ბევრი რამ გაურკვეველია. ჯერმეინ ონილის საკითხით დავიწყოთ. მალიბუზე ყოფნისას, მან საჯაროდ გამოთქვა "ლეიკერსში" გადასვლის სურვილი, მერე აზრი შეიცვალა, თუმცა გუნდის ხელმძღვანელობას კატეგორიულად მოსთხოვა მინიმუმ ერთი სუპერვარსკვლავის აყვანა. ამასთან დაკავშირებით, რა სიტუაციაა?**

- ჯერმეინს ბოლოს ორი კვირის წინათ გავესაუბრე და სიმართლე გითხრათ, მასში მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი გუნდისადმი ერთგულება დავინახე. მშრომელი, ჭკვიანი ახალგაზრდაა, რომელსაც ძალიან დიდი კალათბურთის თამაში შეუძლია. ჯერმეინს აქვს ყველაფერი, რათა პროფესიული კალათბურთის ელიტაში დიდი ხნით დაიმკვიდროს ადგილი. მთავარი, რაც მის წინსვლას ხელს უშლის, ხშირი ტრავმიანობაა, თუმცა მას ისეთი ტიპის ტრავმები აქვს, რომ უყურადღებოდ ვარჯიშში ბრალს ვერ დავდებთ. უბრალოდ, არ უმართლებს და შესაბამისად, მთელ "პეისერზსაც" არ გვიმართლებს, რადგან ჯერმეინი გუნდის საუკეთესო მოთამაშეა. ასე რომ, ონილი ჩვენთან არის და იმედი მაქვს, წლეულს კარიერაში საუკეთესო სეზონს ჩაატარებს.

**- ლარი, 2002/03 წლების რეგულარული გუნდმა 48 მოგებით დაასრულა, რის მერეც საქმეები უკან მიდის. ხომ არ გგონიათ, რომ თქვენი და "ინდიანას" ყოფილი თავკაცის, რიკ კარლაილის მეგობრობა გუნდისთვის საზიანო იყო?**

- მე და რიკი ახლაც ვმეგობრობთ, ხოლო მისი გუნდიდან გაშვება კი, იმ ეტაპზე აუცილებელი გახდა. ამ დასკვნამდე ერთად მივედით და დარწმუნებული ვარ, რომ რიკის დონის სპეციალისტი ახალ სამუშაოს მალე იშოვის. მისი ადგილი ჩვენს ლიგაშია და იგი ძლიერ გუნდთან ერთად ადრე თუ გვიან, ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. კარლაილი არაჩვეულებრივი ფსიქოლოგია, თუმცა მას არ გაუმართლა, რადგან ბოლო დროს თითქმის არცერთხელ არ მიეცა მოედანზე უძლიერესი შემადგენლობის გაყვანის საშუალება. ხან ვინ დაიმტვრა და ხან - ვინ. ასე რომ, რიკის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გათავისუფლება მის სამწვრთნელო ნიჭსა და მომავალს, მის იმიჯს ვერ შეეხება.

**- ბევრმა ვერ გაიგო, თუ რაში დასჭირდა შარშან გუნდს მებრძოლი სტივენ ჯექსონის გაშვება.**

- სტივენმა თავისი ადგილი დონ ნელსონთან ერთად მონახა, ჩვენთან კი იგი ბოლომდე ვერ იხსნებოდა. შეიძლება ეს ჩვენი ბრალი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ გაცვლის შემდეგ, სტივის საქმეები უკეთ მიდის.

**- არ ნანობთ, რომ რონ არტესტი აღარ გყავთ გუნდში?**

- ასეთი დონის მოთამაშის გაშვება, იქნება ეს იძულებითი თუ დაგეგმილი ნაბიჯი, ნებისმიერ შემთხვევაში დიდი დანაკარგია. რონის პრობლემებზე ისედაც ყველა საუბრობს და ცოტა თუ აქცევს ყურადღებას იმას, რომ არტესტი თავდაუზოგავად შრომობს, ვარჯიშებზე ბოლომდე იხარჯება და ყოველთვის ცდილობს, ახალგაზრდებისთვის მისაბაძი მაგალითი იყოს. არტესტმა "პეისერზს" ბევრი კარგი მოუტანა. "საკრამენტოში" იგი ერთ-ერთი ლიდერია და თუ მთლიანად კალათბურთზე იქნება გადართული, ბევრს მიაღწევს.

**- ჯერმეინის შემდეგ, გუნდის ყველაზე ძირადღირებული წევრი ჯამაალ ტინსლია, რომელიც შარშან შედარებით ჯანმრთელი კი იყო (ტინსლიმ 72 შეხვედრით, ბოლო 4 წლის განმავლობაში საუკეთესო შედეგი აჩვენა - რედ.), მაგრამ კატასტროფულად ისროდა თამაშიდან.**

- ისეთი მონაცემების მქონე მოთამაშე, როგორიც ჯამაალია, ბურთს გაცილებით აკურატულად უნდა ისროდეს, თუმცა ჩვენ მისგან, პირველ რიგში, შეტევის სწორად ორგანიზებას ვითხოვთ და თუ ტინსლი 7-8 შედეგიან გადაცემას გააკეთებს, გუნდისთვის ესეც დიდი ბონუსი იქნება.

**- არ შეგვიძლია არ გკითხოთ ამერიკის ნაკრების უკანასკნელ გამოსვლაზე. რა აზრი დაგრჩათ "ოცნების გუნდზე"?**

- მხოლოდ საუკეთესო. არაჩვეულებრივი გუნდი გვყავდა და თუ ამ შემადგენლობას შევინარჩუნებთ, საერთაშორისო ტურნირებზე არანაირი პრობლემა არ უნდა გვქონდეს. როდესაც გუნდში გყავს კობი ბრაიანტი, ლებრონ ჯეიმსი, კარმელო ენტონი და ამარე სტაუდმაიერი, გამარჯვებაზე არ უნდა ფიქრობდე, გამარჯვება ისედაც მოვა. რაც შეიძლება ლამაზი, ეფექტური კალათბურთი უნდა ითამაშო და სპორტის ისტორიაში შენი ადგილი დაიმკვიდრო. იმედი მაქვს, ამერიკის ეს ნაკრები ჩვენს კალათბურთს ძველ დიდებასა და ტიტულებს დაუბრუნებს.

**- ბოლო სუპერფინალზე რას გვეტყვით?**

- არ მომეწონა, მძიმე სერია იყო, თუმცა ყველა შეეჩვია იმას, რომ დღევანდელ კალათბურთში ფეთქებად, იმპროვიზირებულ შეტევაზე მეტად, საბოლოო გამარჯვებისთვის ბევრად მნიშვნელოვანი ძლიერი დაცვაა.

**- დაბოლოს, თქვენს ყოფილ გუნდზე, "ბოსტონ სელტიქსზეც" გკითხავთ. საკმარისია თუ არა კევინ გარნეტი, რეი ალენი და პოლ პირსი ჩემპიონობისთვის?**

- სავსებით საკმარისი იქნება, თუ ამ გუნდს კიდევ 9-10 კარგი მოთამაშე ეყოლება. როგორც ვიცი, "სელტიქსმა" დაიმატა ჯეიმს პოუსი, რაც გუნდის დაცვას გააძლიერებს, მაგრამ "სელტიქსს" ძალიან ბევრი შეუვსებელი ადგილი აქვს დარჩენილი. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს გუნდი მინიმუმ პლეიოფისთვის იბრძოლებს.

**ზურაბ თალაკვაძე**



## მძლეოსნობა

მძლეოსანთა მსოფლიო ფინალი

# პაუელი რეკორდამდე ქარმა არ მიუშვა

გერმანიის ქალაქი შტუტგარტის **გოტლიბ დაიმლერის** სახელობის სტადიონი მძლეოსანთა მსოფლიო ფინალს მასპინძლობს, რომელიც ბევრი ძლიერი მძლეოსნისთვის ამ სეზონის ბოლო ტურნირია. ბუნებრივია, ისინი აქ თავის გამოჩენას ცდილობენ. პარალელურად, დაინტერესებას მაღალი საპრიზო ფონდიც ზრდის, რომელიც ამჯერად 3 მილიონ დოლარს შეადგენს.

რა თქმა უნდა, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ას მეტრზე სპრინტი იყო, სადაც მართალია, მსოფლიოს ახალი ჩემპიონი, ამერიკელი **ტაისონ გაი** არ მონაწილეობდა, სამაგიეროდ, იამაიკელი **ასაფა პაუელისგან** ბევრი მსოფლიოს ახალ რეკორდს ელოდა. მით უმეტეს, მსოფლიო რეკორდსმენი თავადაც ამ მოლოდინს აღვივებდა.

ნარბოლევს ასაფამ თავის შტუტგარტულ გამოსვლას კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო უწოდა, თუმცა მსოფლიო რეკორდს ამჯერად ვერ შესწვდა - დისტანცია 9.83 წამში გაირბინა და სოლიდური განსხვავებით აჯობა მეორეზე გასულ ნორვეგიელ **ჯაიასუმა საიდი ნდურეს**.

იმის მიუხედავად, რომ მორბენლებს კარგი შედეგის ჩვენებაში სუსტი პირქარი უშლიდა ხელს და ორჯერ ფალს სტარტიც დაფიქსირდა, პაუელმა მაინც შესანიშნავად იასპარეზა და საბოლოოდ, ცოტა ხნის წინ მის მიერვე იტალიის ქალაქ რიეტიში დაფიქსირებულ რეკორდამდე ოდენ 0.09 წამი დააკლდა.

*"თუ გავითვალისწინებთ, რომ ორჯერ სტარტი გააუქმეს, მართლა ძალიან კარგი შედეგი მქონდა. ჩემი გარბენით ძალიან კმაყოფილი ვარ. ის ერთ-ერთი საუკეთესოა ჩემს კარიერაში"*, - ნაფინიშევს განაცხადა პაუელმა, ვის მიერ შტუტგარტში ნაჩვენები შედეგიც ამ სეზონის მესამე საუკეთესოა.

ას მეტრზე სპრინტისგან განსხვავებით, კაცების ბირთვის კვრაში მსოფლიო ჩემპიონატის ერთგვარი გამეორება ვიხილეთ. პირველობისთვის აქაც ორმა ამერიკელმა - **რიიზი ჰოფამ** და **ადამ ნელსონმა** იბრძოლა. ჰოფა მთელი სეზონის განმავლობაში სჯობდა თანაგუნდელს. ასე იყო ოსაკაშიც, სადაც მან მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მანვე შტუტგარტშიც გაიმარჯვა.

ძალიან დაძაბული გამოდგა ასპარეზობა ქალთა ჭოკით ხტომაში. აქ უდავო ფავორიტი მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს რეკორდსმენი, რუსი **ელენა ისინბაევა** იყო, ვინც ახლახან ოქროს ლიგის ჯეკპოტიც მოიპოვა. მაგრამ ასეთი ძნელი გამარჯვება მას ალბათ მაშინაც არ მოუპოვებია, სანამ სახელს გაითქვამდა.

ამჯერად, ისინბაევას ძალიან გაუჭირდა პოლონელი **მონიკა პირეკის** დამარცხება. ორივე მხტომელი 4.75 მეტრზე გადებულ თამასას იოლად გადაევლო, მაგრამ უფრო მაღლა ორივემ მომდევნო სამი ცდა გააფუჭა. საჭირო გახდა დამატებითი ხტომის შესრულება, რომლითაც ისინბაევა 4.81 მეტრზე გადახტა და გამარჯვებაც მან მოიპოვა.



პლავგომ (მარჯვნივ) ფინიშზე სანტიმეტრებით აჯობა კარტერს

აღსანიშნავია, რომ ტურნირის ორგანიზატორებს გარკვეული საორგანიზაციო პრობლემები შეექმნათ, რის გამოც, ზოგიერთ დისციპლინაში სტარტი რამდენჯერმე გადაიდო. ამას კი სტადიონის ტრიბუნაზე თავშეყრილი 22 000 მაყურებლის უკმაყოფილება მოჰყვა.

ოთხჯერ გადაიდო 200 მეტრზე მორბენალ ქალთა სტარტი. მეხუთე სტარტზე კი ყველაზე მარდი (ბევრისთვის მოულოდნელად) ფრანგი **მურიელ ჰურტის-ჰუაირი** გამოდგა. მან ფინიშის ხაზს 22.73 წამში უწია და უკან მოიტოვა ბაჰამელი **დები ფერგიუსონ-მაკკენზი**.

ფალს სტარტების ფესტივალი "მოეწყო" 100 მეტრზე ქალთა თარჯრბენში. შედეგად, სამი მორბენალი, მათ შორის შვედი ფავორიტი **სუზანა კალური**, ასპარეზობიდან მოიხსნა. მეოთხე ცდაზე სტარტი გამოვიდა, ფინიშს კი პირველმა ამერიკელმა **მიშელ პერიმ** მიაღწია. მას მხოლოდ 0.02 წამით ჩამორჩა ესპანელი **ხოზეფინ ონია**, ვისგანაც შტუტგარტში მეორე ადგილს არავინ ელოდა.

კიდევ უფრო სენსაციური გამოდგა კაცებს შორის 400 მეტრზე თარჯრბენი, სადაც მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების თითო ჩემპიონი გამოდიოდა. გამარჯვება კი პოლონელმა **მარეკ პლავგომ** მოიპოვა, ვინც ფინიშთან 0.01 წამით მიასწრო ამერიკელ **ჯეიმს კარტერს**. თითქმის მთელი დისტანციის მანძილზე ლიდერი მსოფლიოს ჩემპიონი, ამერიკელი **კერონ კლემენტი** იყო, მაგრამ მან ბოლო წინაღობაზე წაიბორძიკა და მოწინავე პოზიცია ზედ ფინიშის ხაზზე დაკარგა.

შტუტგარტში არ უასპარეზია 400 მეტრზე სირბილში მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, ამერიკელ **ჯერემი უორინერს**. მის არყოფნაში კი გამარჯვება მისმა თანაგუნდელმა **ლაშონ მერიტმა** მოიპოვა, ვინც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უორინერის შემდეგ მეორეა მსოფლიოში.

კაცებს შორის ბადროს ტყორცნაში, ესტონელმა **გერდ კანტერმა** ისევ აჯობა ოსაკამდე უძლეველ ლიტველ **ვირგილიუს ალეკნას**, ვინც ბოლო ორ სეზონში სულ მეორე მარცხი იწვნია. ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში გამარჯვება რუსმა **ტატიანა ლებედევამ** მოიპოვა, რომელმაც ლიდერობა ხელთ ბოლოსწინა ცდაზე იგდო. მეორე ადგილი ამერიკელმა **გრეის აპშოუმ** დაიკავა.

ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში ბადალი არ ჰყავდა ხორვატ **ბლანკა ვლასიჩს**, რომელმაც ამ სეზონში მხოლოდ ერთი ტურნირი (18-დან) წააგო. ტურნირის მონაწილეთაგან, ის ერთადერთი გადაახტა ორ მეტრზე გადებულ თამასას, შემდეგ კი მსოფლიო რეკორდზეც გაილაშქრა და თამასა 2.10 მეტრზე ააწევინა. მაგრამ სამივე ცდა უსაზმნოდ შეალია.

ცნობისათვის, შტუტგარტის მძლეოსანთა მსოფლიო ფინალზე საპრიზო ფონდი 3 მილიონი დოლარია. ამ თანხიდან, ყოველი გამარჯვებული 30 000 დოლარს ღებულობს, მსოფლიო რეკორდისთვის კი ჯილდო 100 000 დოლარია.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ველოსპორტი

ვუელტა

# მენშოვმა ვუელტა მეორედ მოიგო

რუსი **დენის მენშოვის** გამარჯვებით დასრულდა ესპანეთის ველომარათონი, რომელსაც სპორტის მოყვარულები ვუელტის სახელით იცნობენ. მენშოვმა გამარჯვება ჯერ კიდევ ბოლოსწინა ეტაპის შემდეგ გაინაღდა, გუშინ კი, ფაქტობრივად, ჩემპიონის რანგში გაიარა ბოლო ეტაპი. ამგვარად, მენშოვი ბოლო სამ სეზონში მეორედ გახდა ვუელტის ჩემპიონი.

ბოლოსწინა ეტაპი, დროზე ინდივიდუალური რბოლა, ესპანელმა **სამუელ სანჩესმა** მოიგო, ვისთვისაც ეს მესამე მოგებული ეტაპია. გუშინ კი, სპრინტერთა პაექრობაში იტალიელმა **დანიელე ბენატიმ** გაიმარჯვა, ვინც წლევანდელ ვუელტაზე ასევე სამი ეტაპის მოგება შეძლო და დამსახურებულად დაეუფლა საუკეთესო სპრინტერის წითელ მაისურს.

სანჩესმა საბოლოო კლასიფიკაციაში მესამე ადგილი დაიკავა. ეს კი პირველი შემთხვევაა, როცა ბასკურ გუნდ "ეუსკალტელ-ეუსკადის" ველომრბოლმა ველომარათონის კვარცხლბეკზე ასვლა შეძლო.

მენშოვმა კი, ვინც ვუელტის ურთულესი, მეათე ეტაპი მოიგო, რომლის ფინიშიც მეზობელ ჯუჯა-სახელმწიფო ანდორაში მდებარეობდა, ოქროსფერი მაისურის გარდა, მთის მეფის წოდებაც მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში "რაბობანკს" ტურ დე ფრანსის მოგების შანსიც ჰქონდა, მაგრამ გუნდმა ასპარეზობიდან მოხსნა თავისი დანიელი ლიდერი **მიქაელ რასმუსენი**, ვინც დოპინგტესტებისგან თავის არიდებაშია ეჭვმიტანილი. არადა, სანამ რბოლიდან მოხსნიდნენ, რასმუსენი სოლიდური უპირატესობით ლიდერობდა.

აღსანიშნავია, რომ პირველი ვუელტის ჩემპიონის ტიტული მენშოვმა მხოლოდ მას შემდეგ მოიპოვა, რაც დოპინგზე ჩავარდა რბოლის ესპანელი გამარჯვებული, ესპანელი **რობერტო ერასი**. ამჯერად კი 29 წლის რუსმა ჩემპიონის წოდება სამართლიან ბრძოლაში მოიპოვა.

მე-20 ეტაპი. ვილალბას გარშემო (20 კმ, დროზე ინდ.რბოლა)

1. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 22:11 (54.09 კმ/სთ); 2. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 0.12; 3. შტეფ კლემენტი (ჰოლანდია, ბუჟე ტელეკომი) 0.14; 4. კარლოს ბარედო (ესპანეთი, ქვიკსტერ-ინერგეტიკი) 0.16; 5. სანტოს გონსალესი (ესპანეთი, კარპინ-გალისია) 0.18...

21-ე ეტაპი. რივას ვასიამადრიდიდან მადრიდამდე (104.2 კმ)

1. დანიელე ბენატი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 2:37.27 (39.71 კმ/სთ); 2. ალესანდრო პეტაკი (იტალია, მილრამი) იგივე დროში; 3. ალექსანდრ უსოვი (ბელარუსი, AG2r პრევოიანსი); 4. მარკ რენშოუ (ავსტრალია, კრედიტ აგრიკოლი); 5. დავიდე ვიგანო (იტალია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი)...

საბოლოო კლასიფიკაცია

1. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 80.59.07; 2. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 3.31; 3. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 3.46; 4. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 3.56; 5. ეზეკიელ მოსკერა (ესპანეთი, კარპინ გალისია) 6.34...

## TV სპორტი

### 24 სექტემბერი. ორშაბათი

#### I არხი

22:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ჩელსი.
14:05 გერმანიის ჩემპიონატი. კარლსრუე-ბაიერნი.
15:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:05 ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-ვალენსია.
17:50 არგენტინის ჩემპიონატი. ტიგრე-რივერ პლეიტი.
19:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:35 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:30 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:30 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ფეიენოორდი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-აინტრახტი.
08:45 სპორტის სამყარო.
09:10 კრივი. რინგ-საიდი.
10:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ბაიერნი.
12:00 ჰოკეი. საერთაშორისო ტურნირი. ლუგანო. შვეიცარია.
13:35 სპორტდოსიე. ჩოგბურთი.
14:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-პორტსმუთი.
15:55 მინი-მოედანი.
16:20 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:50 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-ბელენენსეში.
18:35 მინი-მოედანი.
19:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ფიორენტინა (LIVE).
22:00 სპორტკლუბი.
22:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:55 პროფესიული კრივი. დანიელ პონსე დე ლეონი-ალ სიგერი.
01:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ბაიერნი.
03:15 სპორტდოსიე. ჩოგბურთი.
03:40 ჰოკეი. საერთაშორისო ტურნირი. ლუგანო. შვეიცარია.
05:10 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
05:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-პორტსმუთი.

#### EUROSPORT

10:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
11:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. ინგლისი.
12:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ფინალი. II დღე. შტუტგარტი. გერმანია.
14:00 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 69 კგ. ტაილანდი (LIVE).
16:00 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 94 კგ. ტაილანდი.
17:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ფინალი. II დღე. შტუტგარტი. გერმანია.
19:00 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 69 კგ. ტაილანდი.
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:00 მულტისპორტი.
21:30 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 94 კგ. ტაილანდი.
23:00 ბრძოლა წესების გარეშე.
01:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
02:00 მულტისპორტი.
03:00 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
09:45 სერფინგი. საფრანგეთი.
10:00 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. საფრანგეთი.
11:00 ახალი ამბები.
12:00 ხელბურთი. რუმინეთის სუპერთასი. ქალები. ფინალი.
13:00 ექსტრემალური სპორტი. აზიის თამაშები. შანხაი. ჩინეთი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. აშშ.
16:45 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. აშშ.
18:00 ხელბურთი. რუმინეთის სუპერთასი. ქალები. ფინალი.
19:00 ექსტრემალური სპორტი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
21:00 სერფინგი. ბრიტანეთი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ექსტრემალური სპორტი.
23:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. ინგლისი.
23:30 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
01:00 სერფინგი. საფრანგეთი.
01:15 ახალი ამბები.
01:30 ექსტრემალური სპორტი.
02:30 სერფინგი. საფრანგეთი.
02:45 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ჩილე

| | |
|---|---|
| უნ. კატოლიკა-კობრესალი | 2:0 |
| კოლო კოლო-ლა სერენა | 2:0 |
| უნ. ესპანიოლა-ანტოფაგასტა | 0:0 |
| აუდაქსი-პალესტინო | 2:1 |
| კოკიმბო-ლოტა | 0:1 |
| ო'ჰიგინსი-დ. კონსეფსიონი | 1:1 |
| უნ. კონსეფსიონი-ნუბლენსე | 2:2 |
| ევერტონი-პუერტო მონტი | 1:0 |
| კობრელოა-უონდერერსი | 1:0 |
| უაჩიპატო-უნ. ჩილე | 2:3 |

#### ურუგვაი

| | |
|---|---|
| პროგრესო-ბელა ვისტა | 0:2 |
| დანუბიო-სენტრალი | 3:1 |
| ნასიონალი-ხუვენტუდი | 0:0 |
| სერო-უონდერერსი | 4:3 |
| ლივერპული-დეფენსორი | 0:0 |
| რამპლა-ფენიქსი | 0:0 |
| ტაკუარემბო-რივერ პლეიტი | 2:3 |
| პენიაროლი-მირამარი | 1:0 |

#### აშშ

| | |
|---|---|
| ტორონტო-კოლამბუსი | 1:2 |
| ნიუ იორკი-ნიუ ინგლენდი | 2:2 |
| სოლტ ლეიკი-კოლორადო | 1:0 |
| ჩივასი-კანზას სიტი | 2:1 |
| ჩიკაგო-დი სი იუნაიტედი | 1:1 |
| ლოს ანჯელესი-დალასი | გვ. დასრულდა |

### კალათბურთი

#### იტალიის სუპერთასი

| | |
|---|---|
| მონტეპასკი-ბენეტონი | 96:50 |

### ფრენბურთი

#### ევროპის ჩემპიონატი

ქალები

| | |
|---|---|
| რუსეთი-საფრანგეთი | 3:0 |
| ჩეხეთი-ესპანეთი | 3:0 |
| იტალია-ბელარუსი | 3:1 |
| პოლონეთი-ბულგარეთი | 3:2 |
| სერბეთი-ბელგია | 3:2 |
| თურქეთი-ხორვატია | 3:2 |

### ჰოკეი

#### რუსეთი

| | |
|---|---|
| დინამო-ტრაქტორი | 5:2 |
| მედ-მეტალურგი (მ) | 2:6 |
| ლოკომოტივი-ლადა | 4:5 |
| სევერსტალი-ს. იულაევი | 1:2 |
| აკ ბარსი-სკა | 1:4 |
| ნეფტეხიმიკი-ხიმიკი | 5:2 |
| ავანგარდი-ამური | 6:2 |
| სპარტაკი-ვიტიაზი | 1:2 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| მანჰაიმი-კიოლნი | 1:1 |
| აისბარენი-ვოლფსბურგი | 5:1 |
| დუისბურგი-ჰამბურგი | 4:4 |
| ინგოლშტადტი-დიუსელდორფი | 2:2 პენ.3:2 |
| ნიურნბერგი-კრეფელდი | 7:2 |
| ფრანკფურტი-აუგსბურგი | 4:1 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| კიეკო-იუვიასკიულა | 5:0 |
| ჰპკ-კერპეტი | 1:3 |
| კაიპა-ილვესი | 3:2 |
| საიპა-ლუკო | 1:3 |
| ტაპარა-პელიკანსი | 5:2 |
| ესეტი-ჰიფკ | 2:2 |

#### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| კეჟმაროკი-ნიტრა | 3:0 |
| კოშიცე-მიკულაში | 4:1 |
| მარტინი-ჟილინა | 1:2 |
| სლოვანი-სკალიცა | 3:1 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| სპარტა-სლავია | 4:3 |
| ტრშინეცი-პარდუბიცე | 2:2 |
| ბუდეიოვიცე-ქლინი | 6:1 |
| ზნოიმო-ვიტკოვიცე | 1:2 |
| კარლოვი ვარი-ლიტვინოვი | 3:1 |
| კლადნო-ლიბერეცი | 0:1 |
| სლოვანი-პლზენი | 3:3 პენ. 4:3 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| კლოტენი-ბერნი | 1:1 |
| ლუგანო-რაპერსვილი | 6:3 |
| ცუგი-ბაზელი | 6:0 |
| დავოსი-ამბრი | 6:3 |
| ფრიბურგი-ციურიხი | 3:0 |
| სერვეტი-ლანგნაუ | 7:2 |

### ჩოგბურთი

#### WTA. კოლკატა

| | |
|---|---|
| კირილენკო-კორტიცევა | 6:0, 6:2 |

#### WTA. პეკინი

| | |
|---|---|
| იანკოვიჩი-შავაი | 7:6, 5:7, 2:6 |

#### WTA. პორტოროჟი

| | |
|---|---|
| გოლოვინი-სრებოტნიკი | 2:6, 6:4, 6:4 |

#### დევისის თასი

| | |
|---|---|
| **რუსეთი-გერმანია** | **3:2** |
| იუჟნი-პეტშნერი | 6:4, 6:4, 3:6, 6:3 |
| ანდრეევი-კოლშრაიბერი | 6:3, 3:6, 6:0, 6:3 |
| **შვედეთი-აშშ** | **1:4** |
| ბიორკმანი-როდიკი | 2:6, 6:7, 4:6 |
| ასპელინი-ბლეიკი | 1:6, 3:6 |

# სხვადასხვა

## ფორმულა 1

### ვინ ჩაიბარებს პროფკავშირს?

ფორმულა 1-ის პილოტთა პროფკავშირი, იაპონიის ქალაქ ფუჯიში საკუთარი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის შეცვლას აპირებს. შეგახსენებთ, რომ შარშან, ჩინეთში გამართულ სხდომაზე პროფკავშირების ლიდერებად **რალფ შუმახერი, ფერნანდო ალონსო** და **მარკ უებერი** აირჩიეს.

*"ყველაფერს იაპონიაში გავარკვევთ. თუმცა გადაწყვეტილების სწრაფად მიღების საფუძველი არ არსებობს. დღეს ყველა კმაყოფილია არსებული მდგომარეობით. კარგი იქნება, თუ ხელმძღვანელობაში ალონსო დარჩება - ის მსოფლიო ჩემპიონია და ყველა შანსი აქვს, წლეულსაც პირველი იყოს. ვნახოთ, რა მოხდება შუმახერთან მიმართებაში. თუ ის ფორმულაში არ დარჩება, ახალი ლიდერის არჩევა მოგვიწევს"*, - განაცხადა მარკ უებერმა.

## მძლეოსნობა

### გევარა პეკინის ბოიკოტირებას აპირებს

მექსიკელი მორბენალი **ანა გევარა** პეკინის ოლიმპიადას ბოიკოტს გამოუცხადებს, თუ პოსტიდან არ გაათავისუფლებენ მექსიკის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტს. გევარა **მარიანო ლარას** იმაში ადანაშაულებს, რომ პრეზიდენტი მექსიკელ მძლეოსნებს არც სპორტული ტანსაცმლითა და არც ინვენტარით არ ამარაგებს. ცნობილი მორბენალი სათავეში უდგას იმ 25 მძლეოსნისგან შემდგარ ჯგუფს, რომელმაც წერილობით მიმართა მექსიკის ეროვნული სპორტული კომისიის პრეზიდენტს **კარლოს ერმოსილიოს** და მას კონფლიქტში ჩარევა სთხოვა. თუ ეს დავა მძლეოსნების სასარგებლოდ არ მოგვარდება, ისინი პეკინის ოლიმპიადაზე არ გაემგზავრებიან.

### სუფთა მსოფლიო ჩემპიონატი

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ოფიციალური დოკუმენტი გამოაქვეყნა, სადაც წერია, რომ ოსაკაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის დროს, დოპინგის მიღების არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

სულ იაპონიაში 1 132 დოპინგ-ტესტი ჩატარდა, მათ შორის 82 სპორტსმენი ჩემპიონატის წინ დაუგეგმავად შეამოწმეს. სწორედ ასეთი შემოწმებისას, პირველობის დაწყებამდე ორი კვირით ადრე, 400 მეტრზე თარჯრბენში მორბენალ ფრანგ **ნამან კეიტას** ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი - ტესტოსტერონი აღმოუჩინეს. კეიტა უკვე დასაჯეს ორწლიანი დისკვალიფიკაციით.

ოსაკაში ჩატარებული სატესტო სერია - ყველაზე მასშტაბურია მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში. ფედერაციის პრეზიდენტის **ლამინ დიაკის** განცხადებით, იაპონიაში იმაზე მეტი დოპინგ-ტესტი ჩატარდა, ვიდრე თავდაპირველად ვარაუდობდნენ.

## გოლფი

### ავსტრალია რეკორდების წიგნს უმიზნებს

მომავალ წელს, ავსტრალიას გინესის რეკორდების წიგნში შესვლა აქვს განზრახული. ქვეყნის მთავრობა დიდი რაოდენობით ტურისტების მოზიდვას მსოფლიოში გოლფის ყველაზე დიდი მოედნის აშენებით აპირებს.

ინჟინერთა ჩანაფიქრით, სტადიონის მთლიანი ფართობი 1200 კვადრატული კილომეტრი იქნება. 18-ორმოიანი მინდორი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში განთავსდება და ის სამხრეთი და დასავლეთი ავსტრალიის შტატების საზღვარს გადაკვეთს. იმ ქალაქებში, რომლებიც ამ უზარმაზარ მოედანში მოექცევა, თითო ორმო იქნება განლაგებული. ერთ-ერთი ორმო კი, ამ სტადიონის "ღირსშესანიშნაობა" უნდა გახდეს, რადგან მას ცხვრების განცალკევებულ ფერმაში დაამონტაჟებენ. დღეისთვის, 18-დან 4 ორმო მთლიანად მზად არის, დანარჩენი კი, მომავალი წლისთვის შევა ექსპლუატაციაში.

ექსპერტთა წინასწარი შეფასებით, ფედერალურ ბიუჯეტს პროექტი ასობით ათასი დოლარი დაუჯდება, მაგრამ მთავრობა ოპტიმისტურად არის განწყობილი და სჯერა, რომ ეს ჩანაფიქრი მალე მოიტანს მოგებას.

## ცურვა

### სირიელმა 110 კილომეტრი გაცურა

სირიელმა მოცურავემ **ფირას მაალიამ** ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან 42 საათის განმავლობაში 110 კილომეტრი დაფარა. რეკორდსმენის მწვრთნელის **აიმან კურის** ინფორმაციით, მაალიამ სტარტი კვიპროსიდან ხუთშაბათს აიღო და შაბათს დილით, სირიის ერთ-ერთ პორტში დაასრულა დისტანცია.

*"მაალია ერთხელაც არ გაჩერებულა, ცურვისას წვენითა და ყველით იკვებებოდა"*, - განაცხადა მწვრთნელმა.

მოცურავე წინასწარ დაგეგმილ გრაფიკს დაახლოებით შვიდი საათით ჩამორჩა და ეს ზღვის ღელვას დააბრალა. სირიელი საათში საშუალოდ 3.5 კილომეტრს ცურავდა. მას იმედი აქვს, რომ გინესის რეკორდების წიგნში მოხვდება, თუმცა ეს მისი თვითმიზანი არ ყოფილა.

## ჭადრაკი

### მსოფლიო ჩემპიონატი

VIII ტური. **სვიდლერი** (რუსეთი)-**კრამნიკი** (რუსეთი) - 0.5:0.5; **არონიანი** (სომხეთი)-**მოროზევიჩი** (რუსეთი) - 0.5:0.5; **გელფანდი** (ისრაელი)-**ანანდი** (რუსეთი) - 0.5:0.5; **ლეკო** (უნგრეთი)-**გრიშჩუკი** (რუსეთი) - 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 1. **ანანდი** - 5.5 ქულ; 2. **გელფანდი** - 5; 3. **კრამნიკი** - 4.5; 4-5. **გრიშჩუკი, ლეკო** - 4; 6. **არონიანი** - 3.5; 7-8. **მოროზევიჩი, სვიდლერი** - 3.

## ჩოგბურთი

### ნადალს ტრავმა აწუხებს

მსოფლიო კლასიფიკაციის მეორე ნომერი **რაფაელ ნადალი** ბანგკოკის ტურნირში ვერ მიიღებს მონაწილეობას.

ტაილანდის დედაქალაქში დღეს იწყება ATP-ის სერიის მორიგი ტურნირი, საიდანაც ესპანელმა მუხლის ტრავმის გამო გამოიტანა განაცხადი. ეს დაზიანება ნადალს ჯერ კიდევ აშშ-ის ღია პირველობიდან აწუხებს.



რაფაელ ნადალი

# კრივი

ზემძიმე წონა

## მასკაევი დაშავდა



ოლეგ მასკაევი

კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ჩემპიონმა ზემძიმე წონაში, რუსმა **ოლეგ მასკაევმა** ვარჯიშის დროს წელის ტრავმა მიიღო, რის გამოც, გაურკვეველი ვადით გადაიდო მისი სატიტულო ბრძოლა ნიგერიელ პრეტენდენტ **სამუელ პიტერთან**.

მათი ბრძოლა 6 ოქტომბერს, ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენის" ახალ რინგზე უნდა გამართულიყო, მაგრამ როგორც ჩანს, რინგზე მხოლოდ ნიგერიელი ავა, რომელმაც თავის ბანაკს სასწრაფოდ მოსთხოვა ახალი მეტოქის მოძებნა.

*"გაწბილებულები ვართ იმის გამო, რომ მასკაევმა ბრძოლაზე უარი თქვა. ძალიან გვაინტერესებს, რა ტრავმა აქვს ისეთი, რომ ბრძოლისგან თავს იკავებს. პიტერი ამ ბრძოლას დიდხანს ელოდა. მას ჩემპიონობის რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ლოდინი ჯერაც მოუწევს"*, - განაცხადა პიტერის პრომოუტერმა **დინო დუვამ**.

შეგახსენებთ, რომ მასკაევმა (34-5, 26 ნოკაუტი) WBC-ს ჩემპიონის ქამარი შარშან აგვისტოში მას შემდეგ შემოირტყა, რაც ბრძოლის მე-12 რაუნდის ბოლოს, ნოკაუტი აგემა ამერიკელ **ჰასიმ რაჰმანს**. ტიტული კი პირველად და, ჯერჯერობით, უკანასკნელადაც, **პიტერ ოხელოსთან** დეკემბერში მოგებული ბრძოლით დაიცვა.

მასკაევის პრომოუტერ **დენის რაპაპორტის** თქმით, მისმა მოკრივემ ტრავმა ვარჯიშის, კერძოდ კი, სირბილის დროს მიიღო. *"ოლეგი ამ ბრძოლისთვის დიდი მონდომებით ემზადებოდა. ვარჯიშებზე ის მცირე პაუზას გეგმავდა, რის შემდეგაც რამდენიმე სპარინგ შეხვედრა უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ სირბილის დროს წელის ძველი ტრავმა გაუმიზეზდა. ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ დავრწმუნდით, რომ ასეთი ტრავმით ორ კვირაში ბრძოლას აზრი არ აქვს"*, - განაცხადა რაპაპორტმა.

აღნიშნული ტრავმა რუს მოკრივეს, თურმე, პირველად სამი კვირის წინათ მიუღია, მაგრამ ამის მიუხედავად, მასკაევმა მზადება განაგრძო.

პიტერმა (28-1, 22 ნოკაუტი) სატიტულო ბრძოლის უფლება იანვარში, მას შემდეგ მოიპოვა, რაც ამერიკელ **ჯეიმს ტონის** მოუგო. მაგრამ მოგვიანებით, კრივში დაბრუნების შესახებ გამოაცხადა WBC-ს საპატიო ჩემპიონმა, უკრაინელმა **ვიტალი კლიჩკომ**. WBC-ს წესებით, საპატიო ჩემპიონს სპორტში დაბრუნებისთანავე შეუძლია ჩემპიონთან შეხვედრა. რა თქმა უნდა კლიჩკომ ამ უფლების გამოყენება სცადა. რაპაპორტი თანახმა იყო, მასკაევს თავისი ტიტული უკრაინელთან შეხვედრაში დაეცვა, მაგრამ არც პიტერმა და მისმა ბანაკმა დათმო. საბოლოოდ, კლიჩკომ ნიგერიელს მასკაევთან შეხვედრა დაუთმო.

# ძალოსნობა



ანდრეი რიბაკოვი

მსოფლიო რეკორდი

## რიბაკოვმა თავისივე რეკორდი გააუმჯობესა

ტაილანდის ჩიან მაიში მიმდინარე ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე, 85 კგ-მდე წონით კატეგორიაში, მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა ბელარუსმა **ანდრეი რიბაკოვმა**, რომელმაც ატაცში 187 კილოგრამი ასწია და ერთი კილოგრამით გააუმჯობესა მის მიერვე შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე დამყარებული მსოფლიო რეკორდი.

ბელარუსი ძალოსანი ასევე საუკეთესო იყო აკვრაშიც, სადაც მან 206 კილოგრამის აწევა შესძლო და მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო რეკორდს ვერ შესწვდა, ოქროს მცირე მედლის მოპოვება მაინც შესძლო. გარდა ამისა, ჯამშიც საუკეთესო შედეგი - 393 კილოგრამი დააფიქსირა.

ატაცში რიბაკოვმა სოლიდური უპირატესობით ჩამოიტოვა მეორეზე გასული რუსი **ასლამბეკ ედიევი**, ვინც 172 კგ-ზე გაჩერდა. აკვრაში კი ჩემპიონმა მხოლოდ ერთი კილოგრამით ჩამოიტოვა კოლუმბიელი **ოლივერ რუისი**. ორი დისციპლინის ჯამში, მეორე ადგილი ედიევს ერგო, ვინც აკვრაში მხოლოდ 200-ს მოერია. ბრინჯაო კი კიდევ ერთ ბელარუსს - **ვადიმ სტრალცოვს** ერგო, ვისი ჯამური შედეგი 370 კგ-ია (170 და 200 კგ).

*"ყოველ ჩემპიონატზე ჩემი მიზანი წინა შედეგის გაუმჯობესებაა. ამჯერადაც ეს მიზანი მიმოძრავებდა. ტაილანდში გამომგზავრებამდეც დარწმუნებული ვიყავი, რომ გამარჯვება შემეძლო"*, - განაცხადა 25 წლის რიბაკოვმა, ვინც ათენის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალს დასჯერდა.

სხვათა შორის, რიბაკოვმა აკვრაში, მას შემდეგ, რაც სამივე ოქრო განაღდებული ჰქონდა, კიდევ ერთი რეკორდის დამყარება სცადა - 209 კგ შეუკვეთა, მაგრამ ამჯერად მიზანს ველარ მიაღწია.

ქალების 58 კგ-მდე წონით კატეგორიაში ორი ოქრო მოიპოვა ჩინელმა ქუი ჰონმეიმ. ის საუკეთესო იყო აკვრასა (135კგ) და ჯამურ მაჩვენებელში, ატაცში კი 103 კგ-ით მცირე ვერცხლს დასჯერდა. ორი დისციპლინის ჯამში, მას 238 კგ დაუგროვდა. 105 კგ-ის აწევით, ატაცში ოქროს მცირე მედალს რუსი **მარინა შაინოვა** დაეუფლა.

ლელო
სპორტული გაზეთი

განახლებულია
ბადრი პატარკაციშვილის
ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი),
53-39-11
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა